

# ლიტერატურული გაზეთი

№3 12-25 ივნისი 2009

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 50 თეთრი

## აზერბაიჯანის კულტურის დღეები საქართველოში 16-18 ივნისი



ნიზამი

და რომ ყასიდა დაწერო, განგებ, თუ გნებავთ ყასიდად, ისიც ყასიდას მოხლართავს და მერე როგორ ყასიდას! იგავ-არაკებს როცა წერს, მოჰყვება რალაც არაკებს და თუ მის დომხალს არ აქვს, შენზე ძვირს ილაპარაკებს. შენ თუ ნიზამის უყურებ, მას ტვიფრი ტურფად უტიფრავს, შენ კი რალაცას გაჩორკნი და მას გვანონებ უტიფრად. კაცს მაიმუნიც კი ბაძავს, მაგრამ რა, ჭკუა ჰქონია? ტბაში ჩაყრილი ვარსკვლავი ნამდვილი შტერს თუ ჰგონია. კაცი კი არა, მზეც იყავ, თუ გდევს ასეთი ლანდები, ფრთხილად იყავი, იცოდე, ხათაში გაიბლანდები!

... გაქნილი არის, გაგქირდავს: „სწორს ვამბობ, განა ჭორებსო“. თვალი არა აქვს, ვერ იტყვი: თვალს როგორ გამისწორებსო! თუ ოკეანეს სუფთა აქვს და თავანკარა ტალღები, თუნდაც ბინძური პირებით ვით ნაბილწავენ ძაღლები! ქურდია, ჯერ მე გამქურდავს, მერე კი ჩემგან წავა და თავად დამიწყებს გაქირდავს, თუმც საქირდავი თავად აქვს. რას იზამ, ქურდთა წესია, როდესაც ქურდებს მისდევენ, ქურდიო! — ქურდნი ჰყვირიან, მერე ქურდობენ ისევე, მე თვითონ ვდნები სირცხვილით, როცა ქურდს თვალს ვაპარებ, თუმცა მას — ასე გამოდის — ვმფარველობ, ხელებს ვაფარებ. მაგრამ რა გაემტყუნება, საცოდავ მანანალასაც! მოდი, საბრალოვ, ნაილე, არ ვიხმარ შენზე ძალასა. ამათი საცოდაობით, რა ვქნა, მეც გული ამექნა, არ ვყოფილიყავ მდიდარი, არ მომეპარა, რა მექნა! მაგრამ მე განძით სავსე ვარ, დაძეგლილი მაქვს გონება, რაში მჭირდება ქურდობა, რად მინდა სხვისი ქონება! განკითხვა მიყვარს გულუხვად, ვხარობ ღარიბთა ფარვითა, გნებავთ, აშკარად აიღეთ, გნებავთ, ნაილეთ პარვითა. განძის მთა მიდგას, გამიდის თვალ-მარგალიტის რუები, ვირთხებს რას შევეუშინდები, ქურდებს რას შევეუპუები!..


თარგმნა მაგალი თოდუამ

X

\*\*\*  
ადუღდი, გულო, ადუღდი, გულის დუღილის ფამია. რამ დაგადუმა მგოსანი, რა დროს ჩურჩნა და ჩქამია! დღეს მე ვფლობ ლექსის მოედანს, მე გამაქვს ლელო სიტყვითა, სხვამ ჩემისთანა დიდება ქვეყნად რომელმა იტვირთა? მიჭრიდა ჭკუა და ლუკმაც ვიშოვნე, თუმცა მიჭრიდა. მუქთად ვინ მომცა დიდება, — სულ შექნილი ნიჭით მაქვს. ვარ ჯადოქარი სიტყვისა, ლექსის ისეთი ნიჭი მაქვს, ცოდვა ვარ, ჭორის ჭუჭყებით გამთხვაროს ვინმე ჭიჭყინამ! სიტყვებით ისე მოგხიბლო, ლექსის თილისმით ძლეული, მადარო, ვერ შემადარო ზღაპრული სარკე გრძნეული. ხმალივით ბასრი ენა მაქვს და ენა ჩემი მამდიდრებს, ისეთ სასწაულს ჩავიდენ, თვითონ მესიას მადრიდე. სიტყვები გულის ქურაში ისე მაქვს განაცხელები,

ვითა მღვივანმა ლადარმა, დაგინვას მანაც ხელები. ლექსებში ფშანი შევეუშვი ჩემი სიცოცხლის წყაროდან, ვმღეროდი, როგორც შემეძლო, ვითარცა ნიჭი მწყალობდა. ო, ეს უნდოდა გვამები, ეს ბრყვი მუქთახორები, რომ გორაობენ ჩემს ჩრდილში, ვითარცა ლაფში ღორები! ნადირზე ლომი ნადირობს — მისთვის ეს განა ძნელია — ხოლო მის ნახორხალებით თავს ირჩენს ფლიდი მელია. მე თვითონ ჩემს თავს არ ვჩივი, მე ღორმუცელა როდი ვარ. დე, ხალხმა გამომიყენოს, ხალხთან ამისთვის მოვდივარ! მაგრამ სუყველა ამ ქვეყნად როდია ჩემი ყაბული, მე ვგრძნობ, ზურგს უკან მქირდავენ, ჭორობაა გაბმული. ლაზელის წერას რომ ვინყებ, რომ ვმღერი ტკბილ-ტკბილ ყაზალებს, ნამბაძავს, ჭკუას აწვალავს, თითქოს და ვინმე აძალებს,

### ჭაბუა ამირეჯიბი: „ნაბისმიერი ადამიანის ცხოვრება ერთი დიდი ნივანია“



„მგონია, ნებისმიერი, თუნდ საზოგადოებრივად ნაკლებნიშვნელოვანი ადამიანის ცხოვრება ერთი დიდი ნივანია. ეს ნივანები ერთმანეთისგან იმით შეიძლება განსხვავდებოდეს, თუ როგორი იყო ადამიანის ცხოვრება“...

„ჩემმა უკულმართმა თუ არ ვიცი, იქნება, სულაც წაღმართმა ყოფიერებამ მდიდარი ცოდნა მომცა ყველაფრისა, რასაც ადამიანი, ხელოვნება და ლიტერატურათმცოდნეობა ჰქვია, ანუ ჩემში მჩხიბავი, მაძებარი, მაანალიზებელი და დასკვნების გამომტანი ჩამოაყალიბა“...

„ჩემს თავს „XX საუკუნის დიდ მწერლად“ არ ვთვლი. მწერალი ვარ და მორჩა, საკმარისი ღირსებაა...“

„ოთხმოცდამერვე წლისას ახალგაზრდობაში დაძლეული ამოცანების განმეორებას ჩემგან აღარავინ უნდა მოელოდეს, მაგრამ ქალაქსა და კალამს ვერა და ვერ შეველიე, რალაცას ვცოდვილობ, მაგრამ ვიცი, რომ წარსულ გამარჯვებათა აჩრდილიც კი ვეღარ განმეორდება“.

XI

<p><b>კომპანია</b></p> <p>ბივი გაბეჭდვითი</p> <p>V</p>	<p><b>მსემ</b></p> <p>დავით ქართველიშვილი</p> <p>VI-VII</p>	<p><b>პროზა</b></p> <p>ანა კორქანი- სამადაშვილი</p> <p>IX</p>	<p><b>ინტერვიუ</b></p> <p>ბაჩა მალაზონია</p> <p>XII-XIII</p>	<p><b>თარგმანი</b></p> <p>მარიო პარბას ლიოსა</p> <p>XIV-XV</p>
--	---	---	--	--



„თინათის ეს ყველაფერი უკვე ბევრჯერ მოხდა და სულ მეორდება...“ – ფიქრობდა დავითი და ავტობუსის ფანჯრიდან გადახედა ველს გაჰყურებდა. ხედი რომ მოიბეზრა, ავტობუსის სალონი მოათვალიერა და მზერა ორ ვეებერთელა დედაკაცზე შეაჩერა. ჭრელთავსაფრიან დედაკაცებს სქელ ფეხებთან დასკდომამდე დატენილი ბოხჩები ეწყობოდა, ავტობუსის ყოველ შერყევზე ერთმანეთს თანთაღა მკლავებით ეხეთქებოდნენ და უაზროდ ხითხითებდნენ. მეტი ავტობუსში არავინ იყო. დავითი თავის მომცრო ზურგჩანთას დასწვდა და მუხლებზე დაიდო. ცოტა ხანს დაფიქრებით დაჰყურებდა, მერე ისევ ფანჯარაში გაიხედა.

მინდორზე ღრუბლების ჩრდილები მოძრაობდნენ.

დავითი ჩრდილებს დააკვირდა. „მოიცა, დედამინა ბრუნავს, თუ ღრუბლები მიდიან?“ – შეეკითხა თავს. ვიდრე პასუხს გაიხსენებდა, ავტობუსმა დაამუხრუჭა და კარები ხმაურით გახსნა.

დედაკაცები კვლავაც ხითხითით წამოლაგდნენ, ვინრო კარებში გაჭირვებით ჩაბოლდნენ და სალონს მხოლოდ მძლოლი და დავითი შერჩნენ.

„ორივენიცა!“ – იპოვნა პასუხი დავითმა და ავტობუსიც ისევ ძველებურად აჯახყავდა ქვალორიან ვაკეზე.

\*\*\*

– თქვენ საით მიბრძანდებით, ბატონო? – გამოხედა დავითს მართკუთხა სარკიდან უზომოდ მსუქანმა მძლოლმა და დავითმა ახლაღა შეამჩნია, რომ მძლოლი ძალიან ელამი იყო.

„როგორ დაჰყავს ავტობუსი?“ – შიშით გადააცქერდა გზისპირა თხრილს დავითი და პასუხიც იქვე მისცა საჭეს ჩაფრენილ მძლოლს.

– სოფელ ლუჩაევოში. ბონდარენკო გენადისთან!

ამის თქმა იყო და, მძლოლმა ავტობუსი ისევ დაამუხრუჭა, დავითს ძალიან ცოტა დააკლდა, სკამიდან ზურგჩანთიანად რომ არ გადმოვარდა.

მძლოლმა თავი მოატრიალა და ერთადერთ მგზავრს ელამი მზერით გამოხედა.

– სოფელ ლუჩაევოში? – იკითხა წარბშეკრულმა და ამ კითხვაში დავითმა მამინივე გაკვირვება დაიჭირა.

– დიას. სოფელ ლუჩაევოში. ბონდარენკო გენადისთან! – გაიმეორა დავითმა თამამად. – ხომ არ იცნობთ შემთხვევით? არც კი ვიცი, სად უნდა ჩამოვიდე...

ელამი მძლოლი დავითს კიდევ რამდენიმე ხანს მდუმარედ შემოსცქეროდა.

დავითი ვერაფრით მიხვდა, კერძოდ რომელი თვალთ შემოჰყურებდა მძლოლი, ამიტომ განზე გაიხედა და მორიდებით ჩაახველა.

– ყვითელი ზოლის პირველი სოფელია ლუჩაევო... – მოესმა უცებ. – სამ კილომეტრშია გზაჯვარედინიდან... მავ ზოლში იშვიათად თუ ჩადის ვინმე...

– მე აუცილებელი საქმე მაქვს. – თქვა დავითმა მტკიცედ.

მძლოლი საჭისკენ ხელებით გატრიალდა და ავტობუსი ადგილიდან დაძრა.

დავითმა ცოტა ხანში თვალის მძლოლის სარკისკენ გააპარა და დაინახა, რომ მძლოლი სიელმის გამო რიგ-რიგობით ხუჭავდა თვალებს და ისე მიჰყავდა ავტობუსი.

\*\*\*

– სწრაფად თუ ივლით, ნახევარ საათში იქნებით... – გაიშვირა ძალიან მსხვილი საჩვენებელი თითი მძლოლმა მარჯვნივ მიმავალი გზისკენ. – ბონდარენკო გენადის სახლი ადრე სოფლის ბოლოში იყო... ახლაც იქ იქნება... სად ნავიოდოდა...

დავითი სწრაფად წამოდგა სკამიდან, ზურგჩანთა ზურგზე მოიგდო და მძლოლს

ბილეთი გაუწოდა:

– სახლში იქნება ალბათ... მძლოლმა უცნაურად გამოხედა დავითს. დავითი ამჯერადაც ვერ მიხვდა, რომელი თვალთ შემოჰყურებდა მძლოლი და ისევ დაიძაბა.

– საერთოდ არ გცოდნიათ თქვენ ლუჩაევო... – დასკვნასავით გამოუვიდა მძლოლს და ბილეთი გამოართვა. მერე ავტობუსის კარები ღილაკზე თითის დაჭერით შეხსნა და ისევ საჭისკენ გატრიალდა.

– რას ქვია „სახლში იქნება ალბათ?..“ სახლში მანდაურები არიან თუ არიან, თორემ მე კი დავრისინებ ალმა-დალმა უსახლკაროსავით... – კარგად ბრძანდებოდეთ! – ცივად მოუჭრა მძლოლს დავითმა და ავტობუსიდან ჩახტა. ავტობუსმაც თითქოს პასუხად გემრიელად მიაბოლქვა და ხმაურით წახრიგინდა ოლროჩოლო გზაზე.

დავითმა დაბნეულმა გაიხედა მარჯვნივ. სოფლის გზაზე არავინ ჩანდა.

შორს გადამხვანებული სოფელი ლუჩაევო ილანდებოდა.

სახლები ერთმანეთისგან მოშორებით იდგა. ღრუბლები სწრაფად სერავდნენ ცას.

\*\*\*

მესერისთვის ერთ ადგილას მაღალი ჟანგიანი კარი დაეტანებინათ. კარს არც ზარის ღილაკი ემჩნეოდა და არც რაიმე – დასაკაკუნებელი.

– ბატონო გენადი! – დავითი შეეცადა რაც შეიძლება ხმამაღლა ეყვირა. თან უკან დაიხია და მესერს მიღმა გაშლილ ეზოს გახედა. ეზო ხეებით იყო დაჩრდილული. ყვირილზე არავინ გამოეპასუხა, მხოლოდ ეზოს სიღრმეში აყვფდნენ ძაღლები.

– ნნ-ნნ-ნნ... – მოესმა ამ დროს უკნიდან და მოულოდნელობისგან შემხტარი სწრაფად გატრიალდა.

მის წინ ძალიან მაღალი დედაბერი იდგა და უცბოდ ღრძილებით ზემოდან დაჰლიმოდა.

– გამარჯობა. – თქვა დედაბრის სიმაღლით სახტად დარჩენილმა დავითმა და მამინლა შეამჩნია, რომ დედაბერი დაკოძილი ხელით რაღაცაზე უთითებდა.

დავითმა ხელს მზერა გააყვლა და იქვე მიგდებული საკმაოდ მოზრდილი ქვა დაინახა.

– ტუკ-ტუკ-ტუკ... – დაიჩიფრია დედაბერმა, დაკოძილი ხელი კარისკენ გაიშვირა, მერე გატრიალდა და თავისი გზით წაჩოჩაილდა.

გაკვირვებულმა დავითმა იქამდე უყურა დედაბერს, ვიდრე ის თვალს არ მიეფარა.

„მე ვიყო ულიანა სემიონოვა...“ – გაიფიქრა მერე, ქვას დახედა, აილო და შეათვალიერა.



ქვას აქერცილობაზე ეტყობოდა, რომ კარზე დასაბრახუნებლად იყენებდნენ.

დავითი კარს მიუახლოვდა და ქვა მიიარჯვა.

\*\*\*

მესამე დაბრახუნების შემდეგ ისევ აყვფდნენ ეზოს სიღრმეში ძაღლები. ისეთი ხმაზე ყვფდნენ, ტანით აშკარად დიდები უნდა ყოფილიყვნენ. მერე სხვა ხმაც მოესმა – თითქოს ვიღაც ძაღლებს უცაცხანებდა. ცოტა ხანში დავითმა ნაბიჯების ხმა გაიგონა, რომელიც კართან შეწყდა.

– რომელი ხარ? – იკითხეს ძალიან ბოხი ხმით.

– გამარჯობა! მე ბონდარენკო გენადი მინდოდა... – თამამად გაუპასუხა დავითი.

– რომელი ხარ-მეთქი? – გაიმეორეს მკაცრად.

დავითი დაიბნა, თუმცაღა ძალა მოიკრიბა და ქვა განზე გადააგდო.

– თბილისიდან ვარ ჩამოსული... ინტერვიუ... ბატონ ბონდარენკო გენადის კოორდინატები მისმა ჯარის მეგობარმა გია ქირიამ გადმოგვცა...

– რაზე-რაზე? – იკითხა ისევ მქლერმა ხმამ.

– ინტერვიუ... – გაუბედავად დასცდა დავითს და მესერს მიღმა მამინვე გულიანი ხარხარი ატყდა.

ხარხარი კაი ხანს გაგრძელდა, მერე უცებ მიწყდა და ურდულის შეხსნის ხმა გაისმა. ჟანგიანი კარი ფართოდ გაიღო და

## ბესო ხვედელიძე ყვითელი ზოლი

ზღურბლზე არაადამიანური სიმაღლის შავმოსასხამიანი კაცი აღიმართა.

მასთან შედარებით კართან მდგომი დავითი თითისტოლა ჩანდა.

– ნესით ორნი უნდა ვყოფილიყავით, – თავის მართლებასავით გამოუვიდა კაცის სიმაღლით დამფრთხალ დავითს. – მაგრამ ფოტოგრაფი გრიპით ჩანვა და ვეღარ გამოემგზავრა... ძლივს მოგაგენით!

– გაგიმართლა, ძაღლები რომ დაბმულია... – თქვა შავმოსასხამიანმა ახმახმა და განზე გადაგა. – შემოდი... არ ცნობენ არავის უცხოს. შემოდი-მეთქი...

დავითს ბეჭი არ უყოყმანია და ეზოში შეაბიჯა. მის უკან კარი ხმაურით მიიკეტა და ისიც შეხტა, თუმცა შეეცადა არაფერი შეემჩნია.

ეზოს მოკირწყლული ბილიკი შუაზე ჰყოფდა და პირდაპირ ეზოს ბოლოში მდგარი ორსართულიანი სახლისკენ მიემართებოდა.

– სახლისკენ მიბრძანდი! – გაიშვირა ხელი შავმოსასხამიანმა ახმახმა სახლისკენ და დავითიც გაუბედავად დაადგა ბილიკს.

\*\*\*

– ბატონო გენადი! – შესძახა სახლთან მისულმა დავითმა მეორე სართლის გამოღებულ ფანჯარას. პასუხად ფან-

ჯრიდან ფრთების ცყლაშუნით უზარმაზარი ბუ გამოფრინდა, კიდევ უფრო შეშინებულ დავითს ფრთა გამოსდო, კინალამ ნააქცია, შემდეგ თავზე გადაუფრინა და დაჩრდილულ ეზოს შეერია.

დავითმა შემცბარმა ახედა ღია ფანჯარას და ფანჯარაში გადმოყუდებულ ისევ იმ შავმოსასხამიან ახმახს მოჰკრა თვალი.

„როგორ მომასწრო...“ – ერთი კი გაიფიქრა გაცნობილმა და ამ დროს ახმახმა ზემოდან ხელი დაუქნია.

– ამო-ამო... – ჩამოსძახა იქვე და დავითმაც პირველი სართულის სანახევროდ ღია კარში ყოყმანის შემდეგ შეაბიჯა.

\*\*\*

სახლში ფიჭვის მძაფრი სურნელი იდგა. მეორე სართულზე ორი კიბე აღიოდა. დავითმა ორივე კიბეს რიგ-რიგობით ახედა. მერე დაფიქრდა და მარჯვენას აუყვავა. კიბე ხმამაღლა ქრიალებდა და ეს ხმა უსიამოდ დაუდგოდა სხეულში.

კიბე რომ აათავა, გრძელ დერეფანში აღმოჩნდა.

– ბატონო გენადი! – დაიძახა გაუბედავად.

– აქეთ, აქეთ! – მოესმა ახმახის ხმა დერეფნის ბოლოდან და ისიც ხმის მიმართულეობით წავიდა.

იატაკი ისევ ქრიალებდა. მარცხენა მხარეს, ბოლოში მდებარე ხის კარები ღია იყო და დავითმაც იქ შეაბიჯა.

\*\*\*

დიდ ღუმელში ცეცხლი გიზგიზებდა. დავითმა ფრთხილად მოათვალიერა ოთახი და ბოლოსღა მოჰკრა თვალი ოთახის ბოლოში, როიალთან მჯდარ შავმოსასხამიან ახმახს.

– დაჯექ! – თქვა ახმახმა და ჟღერიალა აკორდი აიღო.

დავითი იქვე მდგარ სკამს მიუახლოვდა და ფრთხილად დაეშვა. ახმახმა იგივე აკორდი აიღო და სტუმარს გამოხედა.

– ესე იგი – ინტერვიუ... – დიას... ბატონ გენადისთან... უკეთესი იქნებოდა დიდი საგაზეთო პუბლიკაცია გამეკეთებინა გაგრძელებებით... ასეთ უნიკალურ მასალას სად ნახავს კაცი... – დავითი ჩანთის გახსნას შეეცადა, მაგრამ ახმახის კიდევ ერთხელ აღებულმა იგივე აკორდმა შეაჩერა.

დავითმა ჩანთა იატაკზე დაუშვა. შემდეგ თავი ასწია, ახმახისთვის მზერა რომ გაესწორებინა, მაგრამ ვერაფრით შეძლო და გაუბედავად ალუღლულდა:

– უახლოეს ნომერში იქნება... მსოფლიო კატაკლიზმების ეპოქაში ძალიან აქტუალური თემაა... არავის უნდოდა წამოსვლა, ისეთებს ჰყვებოდა... ჭორია თუ მართალი, ვერ გაიგებს კაცი... არადა, რადიაციის ამხელა მასშტაბებია... როგორც ამბობენ, მუტაცია აქ დიდი ხანია დაიწყო...

ახმახმა ხელი ჩაიქნია და იქვე მდგარ სავარძელში ჩავსვენა.

– დიდი ხანია ლუჩაევოში არავინ ჩამოსულა... ვილას ვახსოვართ და ვჭირდებით ასეთები... იურა!! – დაიგრგვინა უცებ ახმახმა და დავითის გასაკვირად ცოტა ხანში ოთახში ზუსტად ამ ახმახის კოპიო და მასავით შავ მოსასხამში გამოწყობილი მეორე ახმახი შემოვიდა.

დავითს გააფრქოლა.

– ბიჭებს უთხარი – მაგიდა გამოიტანონ და ეზოში გაშალონ! ქალებს დაუძახეთ!

– არის, უფროსო! – სამხედროსავით მიიტანა ხელისგული საფეთქელთან მეორე ახმახმა და ოთახიდან ლამის მხედრული ნაბიჯით გავიდა.

– ბონდარენკო გენადის ჯარის მეგობარი გია ქირია როგორია? – გახედა დავითს პირველმა ახმახმა.

– დიდი მოკითხვა დამაბარა ბონდარენკო გენადისთან... ცხოვრობს თავისთვის, წყნარად... თბილისის იპოდრომზე ცხენებს უვლის...

ახმახი ისევ წამოდგა, კარადიდან მწვანე მაუდგადაკრული ალბომი გამოიღო, გადაფურცლა და ერთ-ერთ ფოტოს დააქაქერდა.

მერე დავითისკენ მოტრიალდა და ალბომი გაუწოდა.

დავითმა ალბომი ფრთხილად ჩამოართვა და ფოტოს დახედა. ფოტოსურათიდან სამი პირტიტველა სამხედროფორმიანი ბიჭი იყურებოდა.

– ეგა? – დაეკითხა ახმახი ზემოდან.

– აგერ ბატონი გია ქირია! რა ახალგაზრდაა ამ ფოტოზე! – შესძახა დავითმა და ახმახს ახედა.

ახმახი თბილად ილიმებოდა.

– და ბატონი გენადი როდის იქნება? – ვეღარ მოითმინა დავითმა და ალბომი დახურა.

– და ბატონი გენადი როდის იქნება? – ვეღარ მოითმინა დავითმა და ალბომი დახურა.

ახმახმა სტუმარს ალბომი ჩამოართვა, ისევ კარადამ დააბრუნა და სტუმარს მოუტრიალდა.

– მე ვარ ბონდარენკო გენადი.

\*\*\*

დილით დავითი ზურგზე ხელის შეხებას გამოაღვიძა. აქერცილი კედელს თვალისფშენებით ააქცქერდა და შეეცადა გაეხსენებინა სად იყო. ეს რომ ვერაფრით შეძლო, უბრალოდ ამოიოხრა და სახით კედლისკენ მწოლი მკვეთრად გადმოტრიალდა. საწოლთან, დაბალ სკამზე ბონდარენკო გენადი იჯდა და დავითს მშვიდი ღიმილით შემოჰყურებდა. დავითი მასპინძლის დანახვაზე მაშინვე მოეგო გონს და საწოლში სწრაფად წამოჯდა.

– რა ხდება? – იკითხა ნამთვრალევი ხმით და მწირად განყოფილ თვალებს დაბინდული მზერა მოავლო.

– სამასვალეები მოვიდნენ. – მშვიდად გაეპასუხა ბონდარენკო გენადი და დაბალი სკამიდან წამოდგა.

– ვინ მოვიდა? – ძალის ტანით შეიბერტყა თავი დავითმა.

– სატვირთო მანქანები!.. როგორც დავითქვით! გასვლის დრო უკვე! – შემოუძახა დავითს ბონდარენკო გენადიმ, მის საბანს ბოლოში მოავლო ხელი და საწოლს ბოლომდე გადახადა. მოულოდნელობისგან დავითმა ფეხები მაშინვე მუხლებში მოკეცა.

ბონდარენკო გენადის კაი ხანს ღიმილით ეჭირა საბნის ბოლო.

– გელოდებით! – თქვა მერე, საბანს ხელი შეუშვა და კარისკენ გატრიალდა.

\*\*\*

„სამასვალეები“ საბარგულეებზე ტყუპებივით ერთმანეთის მსგავსი – ერთნაირად ძალიან მაღალი, წვეროსანი და შავმოსასხამიანი კაცები იდგნენ.

დავითი ბანცალით მიუახლოვდა ერთ-ერთ სატვირთოს. ვიღაცამ ზემოდან უზარმაზარი ხელისგული გადმოუწოდა. ის ხელს ჩაეჭიდა და უცებ აღმოჩნდა ერთნაირი კაცების გვერდით. რაც მაშინვე თვალში ეცა – ხელში ყველას ალესილი ნაჯახი ეჭირა.

– ეს შენია! – ხარხარით მიაჩერეს კუთხეში მიყუდებული მომცრო ნაჯახი ახმახებმა და მანაც ვერაფრის კითხვა ვერ მოასწრო – მორჩილად ჩამოართვა ალესილი იარაღი და წონასწორობის დასაცავად მეორე ხელით საბარგულის კიდეს მოეჭიდა.

– ყველა ადგილზეა?! – იღრიალა პირველი „სამასვალის“ საბარგულიდან რომელიღაც ახმახმა.

– ყველანი ვართ, გენა! – ერთდროულად გაეღრიალნენ სამივე სატვირთოდან. პირველი სატვირთოდან ერთ-ერთმა მძღოლის კაბინას ნაჯახის ყუთი ჩაუკაკუნა და მანქანაც არახრახდა. წინა ორი სატვირთო ნელა გაუყვა სოფლის შარავხას.

მესამე კვალად მიჰყვა მათ და სატვირთო მანქანათა მწკრივმა ტყისკენ აიღო გეზი.

\*\*\*

ტყეში ჯერ კიდევ ბნელოდა. აქა-იქ თუ გამოკრთებოდა ბაქის შუქი. დავითი სატვირთოს რყევის რიტმში ირწუნოდა და ცდილობდა წინა სალამო გაეხსენებინა, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა – გონებაში ფრაგმენტულად უსხლტოდა წინა სალამოს ნაფლეთები და ძალიან ნამთვრალევი მათ ერთმანეთთან ვერაფრით აკავშირებდა.

ამ ნაფლეთებში აშკარად ხედავდა ბონდარენკო გენადის ეზოს შუაგულში მდგარ დიდ მართკუთხა მაგიდას და ზედ განყოფილ სქელ თეფშებს. თეფშებზე კომპოსტოს მწნილი, მოხარშული კარტოფილი და დაგლეჯილი პური იყო განანილებული; იქვე ყურმომტვრეული ჭიქები და ათლიტრიანი ბოციტი არაყი იდგა. ვიღაც ბონდარენკო გენადის მსგავსი, ანდა სულაც თავად მასპინძელი, გამოთქმით ამბობდა მშვიდობის სადღეგრძელოს. იყო ამ ნაფლეთებში ძროხების შორიდან მოლწეული ზმუილიც და მერე ღამურების სისინა ნავარდი. იყო, ასევე, ბევრი ძალიან მაღალი და ერთნაირი სახის წვეროსანი ახმახი. იყო გაჭრილი ვაშლებივით ერთმანეთის მსგავსი ვეებერთელა ქალების ყვავილეპიანი კაბები ღრმად ამოჭრილი გულისპირებით. არყის სხვანაირი გემოც იყო, და აკორდონის ნელვაც, და ცეკვაც – ფართო ხელისგულებს სქელ ქუსლებზე ტყაპუნით.

\*\*\*

სატვირთოები დინჯად მიიწნეოდნენ ტყის ბინდიან გზაზე. დილის სინათლე ნელ-ნელა მატულობდა. მერე მწკრივმა

უცებ მარცხნივ გაუხვია და მანქანები რიურაჟის გრილი მზით განათებულ მოლზე შეჩერდნენ. წვეროსნები უცებ ჩახტნენ საბარგულეებიდან და ხმაურით შეესიენ ტყეს.

ვერაფერს მიმხვდარი დავითი საბარგულს შერჩა. მერე თავის ნაჯახს დახედა და ნელა ჩაფოფხდა ძირს.

ირგვლივ აღარავინ იყო. „რა დროს შეშა...“ – გაიფიქრა დავითმა და ტყისკენ ნაბიჯის წადგმას აპირებდა, რომ ადგილზე გახევდა.

ტიყდან შავმოსასხამიან ახმახთან ერთ-ერთი გამოვიდა, – ცალი ხელით დიდ ნაჯახს მოაქნევდა, მხარზე კი უზარმაზარი, ლამის საკუთარი სიმაღლის, ნითელ-ქუდიანი სოკო ჰქონდა გადაებული.

ახმახმა სახტად დარჩენილ დავითს წარბეკრულმა გამოხედა და ვიდრე სოკოს სატვირთოს საბარგულზე ააგდებდა, გალიზიანებულმა შემოჰყვირა:

– რას დამდგარხარ უსაქმოდ?! მოგვეხმარე!

ვიდრე ტყეში შემავალ ერთ-ერთ ბილიკს დაადგებოდა, დავითმა კიდევ რამდენიმე ნაჯახიან და მხარზე უზარმაზარ სოკოგადებულ ახმახს მოჰკრა თვალი. სოკოები ზორბა სოფელელებმაც სატვირთოთა საბარგულეებზე აყარეს და მაშინვე ტყეში შებრუნდნენ.

\*\*\*

ტყე უკვე დილის სინათლით იყო გაჯერებული.

დავითმა მალევე მოჰკრა თვალი თავისზე მალალ ლურჯტუდიან სოკოს. ახლოს მისულმა ჯერ მარცხენა ხელი ჩამოუსვა სქელ ფეხზე, მერე ნაჯახი მოიძარჯვა და ძირში ფრთხილად შემოჰკრა.

სოკო ძალიან ადვილად გადაიჭრა და მოსალოდნელზე გაცილებით მსუბუქი აღმოჩნდა. დავითმა იოლად აიტაცა მოჭრილი სოკო, სხვებივით გაიღო მხარზე და ტყიდან ამაყი სახით გამოვიდა. წვეროსნებს უკვე სანახევროდ შეეფხოთ სოკოთი სატვირთოთა საბარგულეები.

„კინოა რა...“ – გაიფიქრა დავითმა, თუმცა იქვე გაახსენდა, რომ არანაირი კინო ეს არ იყო და მორიგი სოკოს მოსაჭრელად ისევ ტყისკენ გაეშურა.

\*\*\*

ეზოში სამი დიდი კოცონი გიზგიზებდა.

სამივეზე უზარმაზარი, წყლით სავსე ქვაბები იდგა.

ზუსტად ერთნაირი, ვეებერთელა ქალების ნაწილი კოცონს შემას უკეთებდა, დანარჩენები სუფრას აწყობდნენ.

იქვე სატვირთოებიდან ჩამოცლილი დიდი სოკოების უზარმაზარი მთა აზიდოდა იქვე. სოფლის ერთნაირი კაცები ნაჯახით ჩეხავდნენ სოკოს და დანაწევრებულებს ქვაბებში ყრიდნენ.

დავითი კუნძზე იჯდა, ნიკაპი ნაჯახის ყუაზე ჩამოედო და ამ ყველაფერს მოლელი სახით ადევნებდა თვალს.

ქვაბები რომ ათუხტუხდნენ, წვეროსნებმა ნახარში წყალი მიწას მოახსეს, ერთხელ მოხარშული სოკოთი სავსე ქვაბები ახალი წყლით აავსეს და ისევ ააგზიანეს კოცონები.

ეს ყველაფერი სამჯერ განმეორდა. – რა ხდება, ბატონო გენადი? – ჰკითხა დავითმა იქვე მდგარ ბონდარენკო გენადის.

– სამჯერ უნდა ადუღდეს და წყალიც სამჯერ გამოეცვალოს... – რიტუალია?

– რა რიტუალი... მძიმე მეტალები და რაღაცაა რომ გაუვიდეს... – და გაუვა რო?

– არ გაუვა და გაიზრდები დიდი ბიჭი ჩვენსავით... – გაეცინა ბონდარენკო გენადის. – შენი წილია ეგ, თორემ ჩვენ ხომ ხედავ სხვანაირის ჭამამ რა გვიყო?

მესამეჯერ მოხარშვის შემდეგ სამი სატვირთო მანქანით მოზიდული სამი უზარმაზარი ქვაბი სოკო ისე დაპატარავდა, რომ ერთ მოზრდილ ტაფაზე დაეტია და ისე შეინვა.

\*\*\*

მზერაგაორებული დავითმა შუალამის ცას ახედა. შუაგულში გამოკიდებული ორი სავსე მთვარე მიდამოს კარგად ანათებდა.

დავითი სუფრიდან გაჭირვებით წამოგდა და ფეხსალაგისკენ ბარბაცით დაიძრა. ფეხი რომ არ დასცდენოდა, გზად ხელით ხეებსა და ბუჩქებს იხმარდა. მიწას ხრამაზრუში გაუდიოდა.

უცებ გვერდიდან რაღაც ხმა მოესმა. დავითი შეჩერდა და დაელმებულმა ფრთხ

ილად გაიხედა. მეზობლის ეზოს მხრიდან ლობეს ორი უზარმაზარი ღორი მოსდგომოდა. ღორებს ბეჭებზე ქათმის ფრთები ჰქონდათ ამოზრდილი.

ეს დაინახა თუ არა, ლობეზე გადაყუდებულ დავითს მაშინვე გული აერია.

– აბა, ღორებო, ჭამეთ! – დააყოლა იქვე ხრიალით. ღორებმაც თითქოს გაიგონესო, იქით წავიდა და კუჭიდან ამოსული სითხე თვლისდახამხამებში შესვლიდა.

ამ ყველაფერს ცოტა ხანი გაშტერებული შეჰყურებდა დავითი. მერე ხელი ჩაიქნია და ფეხსალაგისკენ გაბრუნდა.

\*\*\*

ფეხსალაგა გადალრეცილი იყო. შიგნით ძლივს შემდგარმა უცებ მოითავა საქმე და უკან გამოვიდა. სავსე მთვარეს ისევ ორად ხედავდა. მერე გაორებული მზერა ინსტიქტურად მთვარეებით გაშუქებული მეზობლის ეზოსკენ გაეცქცა, მაგრამ ღორები აღარსად იყვნენ.

ღორების მიბარბაცებულმა ზედ მკლავები ჩამოანყო და მეზობლის კარმიდამო ყურადღებით მოათვალიერა.

– ღორებო! – დაიძახა ფრთხილად, მაგრამ ღორები მაინც არ ჩანდნენ.

„შედენეს ალბათ...“ – გაიფიქრა დავითმა და ის იყო, გამოზრუნებას აპირებდა, ზემოდან რაღაც ხმა ჩამოესმა.

ვიდრე აიხედავდა, უცნაურმა ჟრუნტელმა დაუარა და ცივმა ოფლმა დაასხა. შემდეგ ძალიან ფრთხილად ასწია თავი და ცოტადა დააკლდა, ლობიანად რომ არ აყირავდა.

მის თავზე, მიახლოებით ათი მეტრის სიმაღლეზე, უზარმაზარი დედალი ღორები ეკიდნენ, ბეჭებიდან ამოზრდილ ქათმის ფრთებს სწრაფ-სწრაფად იქნევდნენ და თვლები მთვარისფრად უელავდათ.

„მეჩვენება, თუ გავგიჟდით...“ – მოასწრო ნაბუღებულმა დავითმა, ერთიანად აკანკალებული ღობეს მოშორდა და მიწაზე დაჯდა.

\*\*\*

მზერაგაორებული დავითი ღორებს თვალს არ აშორებდა და სიციხიანივით ცახცახებდა. ღორები წარწინით არტყამდნენ წრეს მიწაზე მჯდომს და დაბალ ხმაზე ღრუტუნებდნენ. მერე უცებ ჰაერში ერთნაირად შეიკუნტრუმეს, თითქოს მადლობის ნიშნად რაღაც ჩამოიღრუტუნეს და სამხრეთისკენ გაფრინდნენ.

ეს იყო და სოფელში ძალღების ყმულილი ატყდა.

დავითმა თვლები მთელი ძალით დახუჭა და ყურებზე ხელისგულეზარებულ კიდეზე კაი ხანს იჯდა მიწაზე. ნანახისგან გაბრუნებულს თვალეში მანათობელი რგოლები დაუდიოდა.

მერე ყურებიდან ხელისგულები ჩამოუშვა და თვალს გაახილა. ძალღები უკვე მინყარებულიყვნენ. სუფრასთან ისევ ხმაურობდნენ. მეზობლის ეზოში მხოლოდ ერთი დედალი ღორი დაღრუტუნებდა და ბეჭებიდან არანაირი ქათმის ფრთები არ ჰქონდა ამოზრდილი.

ერთიანად გამოფხიზლებულმა დავითმა ცას ახედა და უკვე მხოლოდ ერთი სავსე მთვარე დაინახა.

„იყო თუ არ იყო?... თუ იყო – ცუდადაა საქმე... თუ არ იყო – მით უმეტეს...“ – ამოიხვნეშა დავითმა, წამოდგა და სუფრისკენ უკვე გამართული ნაბიჯით წავიდა.

\*\*\*

ბონდარენკო გენადი არყის ჭიქით ხელში იდგა და მარცხენა მხარზე ძალიან დიდი ბუ აჯდა.

– სტუმარი ღვთისააო... – სტუმარი ღვთისააო! – დუღუნით ეთანხმებოდნენ ბონდარენკო გენადის მისი მსგავსი შავმოსასხამიანი ახმახები.

დავითი სუფრასთან იჯდა და მესერის მიღმა მდგარ სამ „სამასვალს“ მოწყენილი გაჰყურებდა.

„რა ჰქვია ახლა ამ ცხოვრებას...“ – ფიქრობდა დავითი. – „თუმცა მე რომ სხვანაირ ვარ, იმას ხომ ქვია...“

\*\*\*

სოფლის მეორე გასასვლელები, საგზაო მიმართულების მაჩვენებელი ფირნიში ერქო.

ფირნიშზე კირილიცათი, დიდი შავი ასოებით ეწერა:

× ADI I AE EU - 18 EI .

ლაურიატი



თერთმეტი ციტატა „ვეფხისტყაოსნიდან“ — თერთმეტი ლექსი... „თუ რამ უოცნებია, თუ რა მონატრებია...“ ყველაფერი ნამდვილი, ყველაფერი ხალასი... ერთ წიგნშია მოთავსებული და მისი ავტორივით სანტიმენტალური, ქალური და რომანტიკული სახელი ჰქვია — „წვიმიანი გაზაფხულის ქრონიკა“. ამ წიგნისა და მთელი შემოქმედებისთვის პოეტ იზა ორჯონიკიძე 25 მაისს შოთა რუსთაველის პრემია მიენიჭა.

ამავე კრებულში ქალბატონი იზა ბაჩანა ბრეგვაძეს უძღვნის ლექსს და მას „ცხრავე მუზის ნებეირს“ უწოდებს. მისივე სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, იზა ორჯონიკიძე სწორედ ის პოეტია, რომელიც „უყვარს კაცს და უყვარს ღმერთსაც“ და ეს პრემიაც ამის დასტურია.

„ბუზის ყელში ჭობი ბუდობს, სხვენში — ბნელი მლამიობი, ვებრძვი ლექსს და ვებრძვი ღურდოს წინაღამე არის შობის...“

სწორედ ასეთი გათენებული ღამეების, „მინორული ესკიზის“, „საგაზაფხულო სანტიმენტების“, „მონატრებისა“ და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი „უსიტყვოდ გამართული დიალოგის“ გამო იზა ორჯონიკიძე ქართველი მკითხველისთვის მართლაც გამორჩეული და საყვარელი პოეტია. „მაისის ბოლოს“ მისი „მზე კვლავ გამოჩნდა“ და სპეციალური 12კაციანი კომისიის არჩევანი სწორედ იზა ორჯონიკიძეზე შეჩერდა.

ვულოცავთ ქალბატონ იზას ამ პრემიას და ვუსურვებთ კიდევ ბევრჯერ გავითხრას „ლექსით აღსარება“, რადგან დაწინაურებული ვართ, რომ ის ყოველთვის იშოვოს ისეთ სიტყვებს, რომლითაც მკითხველს თვალეზს აუცრემლებს, წარსულს გაახსენებს, მომავლის იმედს ჩაუსახავს და კიდევ ერთხელ დაამშვიდებს:

„დაცხრი, გულიც დაიოკე, დაისვენე, დრო არი, გადამალე კარგი წიგნი... გინდაც — „მადამ ბოვარი...“ ჩვენ კი გირჩევთ, კიდევ ერთხელ მიუბრუნდეთ იზა ორჯონიკიძის შემოქმედებას და რუსთაველის პრემიის ლაურეატთან ერთად „წვიმიანი გაზაფხულის ქრონიკას“ გადაავლოთ თვალი.

იზა ორჯონიკიძე წვიმიანი გაზაფხულის ქრონიკა



**ვახტანგ ჯავახაძე**

**ვუახლოვდები ოთხმოდს**

მომწყინდა გოტიეს —  
კამეები და ემალეები:  
ფეხბურთებს ვუყურებ და სიბერეს ვემალეები.

თითქოს დანადრულ ხიდსა და  
თითქოს მძინარე ავაზას —  
ვუახლოვდები, ასაკმა ნაკრძალი შემომთავაზა.

უცნობი თვალი სუფთა ფურცელს მითვლიერებს:  
რა ამოავსებს რითმებს შორის სიცარიელეს?!

მადლობა ღმერთს: ცენზურა ველარ დამამუნჯებს,  
სხვას არ ვერჩი: საკუთარს ვაყაჩაღებ უჯრებს.

პირველად იყო სეტყვა, მერე — წვიმა და თოვლი,  
მერე: „დაიცა, ქალავ!“; მერე: „დაგიბრმეს თოლი!“.

ვაკეში, სადაც დაეცა ყვავილი თავის ქალაში,  
მე უნდა გადავარჩინო მემორიალი გალასი.

მარუხის ღამეში  
დავლანდე ფარაჯა:  
მურმანის ხმა მესმის,  
მურმანი არა ჩანს.

ჩანს მთაწმინდა და  
მთაწმინდის კიპარისები ჩანან:  
ველარასოდეს ვერ დამირეკავს ანა.

როგორც ხვალის განაჩენს,  
როგორც მსაჯულს ხვალის —  
ისე ვუახლოვდები კიბის მერვე ხარისხს.

აგერ, ჩემმა ვარდობისთვემ  
ნატახტართან დადგა ტახტი:  
შარშან უფრო ღამაზეები,  
უფრო ქართველები გახლდით:

ვანსხვავებდით მერყევსა და მედგარს,  
გვამართლებდა დროის ინტერვალი:  
ცალი ფეხი აზიაში გვედგა,  
ვეროპისკენ გაგვიბოდა თვალი.

გადაიდო სახვალის პაემანი,  
საგაისო ლექსნი ანუ პოემანი.

ჩემმა მოლოდინმა ფეხივით აითრია —  
ჩემი აღსარების აშკარა არითმია.

ჩასაფრებულ ცუნამს და  
ჩასაფრებულ ტორნადოს —  
ისე ვუახლოვდები, როგორც ორ ელდორადოს.

ხანა შაირთა და მაჯამათა  
მიდის: ვერლიბრმა დამაშამათა.

დავმიფრე სპარსთა თრობაი:  
ომარის ომარობაი.

ყველგან, სადაც ისლამია,  
კითხულობენ „ვისრამიანს“,  
სიცოცხლეში გამახარე:  
ამ ქვეყნიდან ვის რა მიაქვს?!

მომწყინდა რომანი: ვისი და რამინი,  
დავთვალე, ჩავთვალე ათასი „ამინი“.

ათასერთი ვარდი უნდა მოვიტანო ირანიდან  
თქვენს საფლავთან, ქალბატონო ირაიდა!

ჩემი თეთრი და ნივთელი ხიდეებიდან, რიონო,  
„მერსედესებმა“ განდევნეს ეტლები სამაყრიონო.

რალა დარჩა: მიზანდარის ასარი და ბასარი,  
აქეთ — „მთვრალი ხომალდი“ და  
იქით — „მთვრალი ბაზარი“.

აქეთ — ბერმუდის სამკუთხედს,  
იქით — სცილას და ქარიბდას —  
ვუახლოვდები: ვერ დავდე ხელშეკრულება ქარებთან.

ვარსკვლავების პირამიდა და ღრუბლების ბარიკადა  
იზარება, როცა მძღაერობს ანგარიში ბარიგათა.

სცენაზე — ატომიანი —  
გამოდის — ადამიანი.

ცდილობს, აუქციონს  
გვერდი აუქციოს,  
რათა საუკუნეს წნევა აუწიოს.

დღე ღამეს მისდევს, როგორც საყვარელს საძაგელი,  
და მთვარეს უყევს ძაღლი, ანუ ყოფილი მგელი.

ესარჩლება ხამი ხამს,  
ხამის ქება არა ხამს:  
არასოდეს არ დახევს  
ხამი ხამის მოსახამს.

პირფერები კბილებს ისევ ილესავენ:  
ამოვიცნობ, გამოვიცნობ პირველსავე.

სინიდისი მაჩქარებს:  
— საცა გინდა, საცაო —  
სამინე და საცაო —  
მოიპოვე საწყაო.

მოყურიადე ეტნასა და  
მოყურიადე ფუძიამას —  
ვუახლოვდები: გამაფრთხილა  
ვულკანთა რევოლუციამაც.

ეს სასახლენი კიდევ მრავალს მოინელებენ:  
ყველაზე მეტად გაუმარჯოს სახლის მშენებელს!

დავლოცოთ ომის — ღირსეულის — ჰეგემონი და —  
ვინც მოვიდა და ვინც ვერ მოვიდა.

გიჟი გალაკტიონისა —  
მოდის ხუტა ყუფარაძე  
და შეტევებს — ყუმბარაზე  
უკეთესად — უბალანსებს.

მინა — კოცნისაა, ზეცა — ამბორისა,  
ხუტამ გამახსენა მამფის მამფორიზმი:

„უნდა დავლიო, ამაზე  
უარეს რალას მიზამს  
ფორტუნა: ჯანსაღ სხეულს ვერ ჩავაბარებ მინას!“.

დაბერდა ლომი, ბუზლუნებს ლომი,  
ხანდახან კიდევ ხვნეშის:  
„რამდენი კარგი სუფრა ფუჭდება —  
ცუდი თამადის ხელში?!“.

თუ გინდა, ტკბილად დაბერდე და აღარ იკვნესო,  
მოძღვარი გვიჩვენებს: დაუბრუნდით ღვინის ჭიქებსო.

მშობლიურმა „ენისელმა“ გამახსენა ენისეი,  
გამირითმა „დიდებაი ქართულისა ენისაი“.

გენი მირჩევს და რითმა მაძალებს:  
— არ დარჩე ვალში,  
უნდა იცეკვო, ვახტანგო,  
ტანგო  
და არა ვალსი.

მობილურებთან ერთად ვაქებ კომპიუტერებს:  
დედა უტირეს კრიმინალებს, ყოფა უტირეს.

ვუახლოვდები თანდათან,  
როგორც მძინარე დინოზავრს,  
ჩემს უკანასკნელ სავანეს, სადგურს და სალოდინოსა.


ბევრ ვინმეს უნდა ვუთხრა „ნახვამდის“,  
ველარ შემაცდენს ნაღდი მხატვრის სუსტი ნახატი.

ფიქრობ, რაკი მარტოობამ მადროვა:  
ფიროსმანი უსათუოდ დახატავდა მათხოვარს,  
რომელსაც ეძებდა ჩუბჩიკა და  
აღმოაჩენს მეორე მირზაშვილი,  
რომელიც ყველას გაახარებს და მეც მისაშველებს.

ხოლო მეორე სტურუა და მეორე სტანისლავსკი  
ველარ გაამართლებენ მესამე სტალინსაც კი.

ვერ გაამართლებენ ველარც პოეტი და პროზაიკოსი  
და ჩატოვებენ ანტიგმირების მოზაიკაში.

ისევ დაიკარგება რამდენიმე გასაღები,  
კვლავ ვერ შერიგდებიან შეკითხვები და პასუხები,  
და მე თანდათან მივუახლოვდები ოთხმოდს,  
რომელიც პასუხს მომთხოვს.



ლადო გრიგოლიას ნახატები



### გიორგი გოგოლაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსები

#### სხვა საუკუნე

მე ვიცი: ფიქრით, ტანჯვით, ომებით, ილუზიებით და შეცდომებით იმ საუკუნეში თუ ვით დამალა, რომ არ მივტირი, ცხადზე ცხადია და ვეთხოვები ისე ადვილად, ვით დამგზავრებულ კაცს და ამხანაგს...

მე მოვესწარი და მე ვუყურებ, თუ როგორ მოდის სხვა საუკუნე და სავარძელში როგორ ეფლობა, დაიხუნძლება სანამდე წლებით, მას მოუხდება ღიმილი მეფის და ჭაბუკური დაუდევრობა...

რას იზამს? გულში ვინ ყრმას ჩაიკრავს? რას გაფენს, გაშლის რა მოზაიკას სხვა საუკუნის ხუროთმოძღვარი? მე შენლა შემრჩი, თეთრო ქალადლო, ყველაფერს მხოლოდ მე შენ გაგანდობ, თუ მე ვიქნები კიდევ ცოცხალი...

მე ვეღარ ვუძლებ ზამთრის კალენდარს, მე თებერვალშიც მაკანკალებდა და ვერ გავითბე ძელები ვერაფრით, თუ დაემგვანა, კიდევ ვუყურებ, ეს საუკუნე იმ საუკუნეს, უნდა ექვსფრთიანს გავეყვ სერაფიმს...

2000

#### ბოგალენი

წყველიადმი ვდგავარ და ვილურსები, მესმის თუ როგორ მისდევ ქუსლების კაკუნით კიბეს და ვით ჩადიხარ, სანამ გავქრებით და დავლამდებით, ამ კიბეებზე კიდევ რამდენი უნდა ვიაროთ წელიწადილა?...

შენ ფერადები აღარ გაცვია, ჩვენი ცხოვრების სხვა აბზაცია, შენ აღარ დგები ხშირად სარკესთან, ჯეინ ოსტინის გმირს არ მიბაძო, ნუ დანებდები, ჩემო ძვირფასო, დარდს და წამიერ სასონარკვეთას...

დღეს ჩვენი გრძნობა მშვიდზე მშვიდია, არც უცხო თვალის მოსარიდია და უცვლელობის უტყვი მაცნეა, როგორც ოდესღაც, ის ხმელ ბარდებდა აღარც შეცრად აბრიალდება, აღარც შეცრად ჩაინაცრება...

არ გვიხმარია სხვა არაფერი, მხოლოდ სათუთი სულის ძაფებით ვქსოვდით უხილავ ფერად გობელენს, რომ ნაქსოვია ჩვენი ხელებით, სხვა რუდუნებით, სხვა სურნელებით, გვეამაყება იმის მფლობელებს...

2000

\* \* \*  
რა ეთქმის მას, ამონათქვამი არ გესმის ვისიც, გელოდა ვინც, სასწაულივით გელოდა. ან რა ღონე იღონოს სიტყვების სათქმელად მან, ვისშიაც შენდამი ნათქვამმა სისხლივით ჩაქცევა იცის.

მიშველე, გთხოვ! გამარღვევინე მხუთავი რკალი. გამეცი ხმა. გამომიცოცხლე ალაგი ყრუ. შენიდან ვარსკვლავთა ნაჟურის ვერშესმით ღრუ პირისა მევესება, მგონია, გამდნარი კალით.

არ არის გზა. ჩაგიძირვიარ ჩემსავე სისხლში. მივდივარ ძირს, თანდათანობით მივდივარ ძირს. თავდაღმა წასული ფსკერისკენ, ვაჟღერებ სტვირს. იმავდროულად გამოვცემ ქალაღზე ძარღვების შიშხინს.

\* \* \*  
მზე ჩადის. დაჰკრა არემარეს მწარე ნიაგმა. ოდნავად ჭირხლი მოეკიდა ფანჯარას, გრაფინს. ტბას ურუანტელმა დაუარა ფსკერზე იანვრად, მოაგდებინა ნაპირებთან თხელ-თხელი ქაფი. სერზე წკავნკავი შეუქმნია ნაგაზს დამშეულს. მობოშდა ჭალა. ამრიგადნენ ჩუმად ფოთლები. და იმდაგვარი განწყობაა, თითქოს გარშემო გატყდნენ თხევადი მწუხარებით სავსე ბოთლები. ღამე ნელ-ნელა, განუხრელად იჭერს თადარიგს. ყოფს თავს სახლიდან ლოკოკინა. კრთება ლერწამი. ვახშობის დროა. კალოებზე მაინც აქა-იქ გახურებული მანქანებით ჯერ კვლავ ლენავენ. ყანების თავზე, შეწყობილად და ულაღესად, უწონო ბორბლად ფრინველების მიგორავს გუნდი. და დაკვირვება რამდენადმე ავსებს ხალისით ლანდშაფტს რკინიგზით, თავისთავად საკმაოდ უნდის. ღრუბლები თითქოს ზღვაოსნობის მთელი წარმტაცი ისტორიიდან აშვებულნი იალქნებია, და მთები თითქოს იგონებენ მწყემსებს გარდაცვლილს, და ბილიკები კიდევ უფრო იკლაკნებიან.

მზე ჩადის. ზვრების, ქობნახების, ხრამების ჩავლით. სვამს საჰაერო ხაზებს შორის ნოტებს ფრთებიანს. ჩადის. და შავი კლავიშები რჩებიან შავი, ხოლო თეთრები გამაღებით იისფრდებიან. მიდამო ჩასვლას ვერ გაუზრბის მზისას ვერსაით და ერთმანეთის მიყოლებით კარგავს უნარებს. შესცივდათ ქალებს და იმავე სიცივესავით უწყებს შეღწევას ხერხემლებში ბინდის კურარე. მზე ისე უშვრებს დედამინას, მის დასვრილ ცხვირ-პირს, როგორც ოსტატი დამაშვრალი შეგირდს ბედოვლათს. დღე სიგაჟიდან, როგორც ბრბოდან, გადის და მირბის. მირბის ქოშინით. მირბის უკან მოუხედავად. უქმი ფიქრები ერთხანს კიდევ იზოზინებენ, თუმც უკვე თითქმის ჩაილურის წყალი დალიეს. და უსაშველო სიყვარულის ილუზიები ესწრაფებიან ფორთოხლისფერ ცის დასალიერს.

იფშენება შუქი, იქსაქსება, უჩინარდება. შემდეგ ცოტა ხნით გაჩერდება ხიზნად თვალეში. შემდეგ თვალეშაც გაუქრებათ მისი ნათება და ერთი რამლა ენდომებათ თავებს: ბალიში. ღამე ჭრიჭინით შეასრულებს საკუთარ ჰიმნებს, მარტივს, ძველებურს, ძველებურად უცხო და ურკვევს, კვლავ აღმონდება სხვადასხვაგან მრავალი ვინმე, მზე არასოდეს არ ამოვა ვისთვისაც უკვე ნივთები მეტად გაამხელებს ერთურთთან კავშირს, მეტი ყუჩილით იყუჩებენ სასაფლაოთ, და ბოლოს ღამეც დაიძინებს საკუთარ თავში – ხელდაკრეფილი, როგორც ბერი ან ფარაონი.

იფშენება შუქი, ვეღარ იბრძვის, ბრძოლას უარობს. მზეს მჭკნარი ვარდის ფურცლებივით სცვივა სხივები, უკვე სრულიად დავრდომილი და უუნარო, ვეღარც გამჭოლი, ვეღარც თბილი, ვეღარც ირიბი. ბაჯალლო ოქროს ნაგავივით ჰორიზონტს იქით მიაქვს მოკლული ოცნებები ნიავექარს მჩატეს, და კლდეზე ხვლიკი გაირინდა თითქოსდა ფიქრით, რომ მზე მთვარეზე მწუხარეა, როდესაც ჩადის.

მზე ჩადის. ჩადის. და უმღერე მთელი არსებით მას, ვის ნებასაც იგი ისევ ამოეყვანა დღეს დილით უკან, ჩამავალი გუშინ ასევე, სამარადისოდ უარეყო თითქოს ქვეყანა!



### ნიკა ჯორჯანელი

#### მკეველს, რომელსაც თავი მოაჭრას

მკეველო, რომელსაც თავი მოაჭრეს, მაპატიე, თუკი იმ დროს, თავს რომ გაჭრიდნენ, ამის არმცოდნე, წყლით ვიგრილებდი სახეს და კისერს. მაპატიე, რომ ვერ გიშველე, რომ ჩემებურად მეც ვეკუთვნი იმ სინამდვილეს, რომელმაც ასე გაგიმეტა... ტრიალებს მინა, და, შესაძლოა, ამწუთს ცის იმ ნაწილს ავეყურებ, რომლის ქვეშაც ახლად მოჭრილი შენი თავი იდო მინაზე. და მაპატიე, რომ კბილიც კი არ მტკივა ახლა. მაგრამ, თუკი მთელი ჩემი პოეზიიდან თუნდაც ერთი წვეთი ეკლესია გამოიწურება, ის ეკლესია წმინდანად გრაცხს და სჯერა – როცა გაისვრიან ატომურ ბომბებს, ცა მათ ერთ-ერთ გამაუფლებლად შენ გამოგზავნის.

#### სიზმარი

ფიქრდება არე. ნელდება წამი ჩქარი. ბაქანზე თოვს, და გვირაბში დაქრის ქარი. რელსებზე ვწევართ. რელსებზე ცივზე ვწევართ. ბაქანზე მდგომებს ვუყურებთ ცოტა ცერად. მეკვრები მკერდით. მეკვრები. მე კი გკოცნი. ორნი ვართ, ოღონდ... თითქოსდა ვიყოთ ოცნი. რელსებზე ვწევართ. ვანვართ ერთად რელსებს. ესაა ჩვენი „პლაცკარტიც“, ჩვენი „ესვეც“.

რელსებზე ვწევართ (ბაქანზე დგომით იწყენ). ვაგონთა წყება მიგორავს აღმა – ცისკენ.

\* \* \*  
ვწერ. მაგრამ განა იმ მიზეზით, რომ ყოფნა ცრუ არს. და არც იმიტომ, რომ დღეები სწრაფად გარბიან. ვწერ, რადგან მაძლევს შენს ულმობელ ნაკვთთა მაფია წინადადებას, რომელზედაც ვერ ვამბობ უარს.

და წერის ცეცხლზე გამუდმებით ნავთი ისხმება იმით, რომ, ჩემდა სასიკეთოდ და საამაყოდ, ვწერ იმ ენაზე, რომელზედაც შენ ლაპარაკობ, რომლის შრიალიც შენს ბაგეზე იგულისხმება.

ვწერ. და გგონია, უცნაური ხუმრობით ვხუმრობ. მე კიდევ წერას გადავკავდი და გეტყვი აქვე, რომ გაგიკეთე ამდაგვარად მეორე სარკე, რომელიც პირველს გერჩივება უფრო და უფრო.

მე და შენ ბოლოს ამ ნაწერში შევიყუჩებით, როდესაც დავცლით, დევნილები, დროის ბარაკებს. ილაპარაკე, არ გაჩუმდე, ილაპარაკე, ესიყვარულე ქართულ ენას შენი ტუჩებით.



# დავით ქართველიშვილი პროზისა და საკუთარი თავის შესახებ

დასაწყისი N 1-2

47  
აღამიანებზე უყვართ, როდესაც ყველაფერი განსაზღვრულია, როდესაც ყველაფერი თავისი (თუნდაც მცდარი) სახელი ჰქვია. რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო მომხდარიყო ისეც, რომ ჩემი და მირანდას ურთიერთობა წესის დამამტკიცებელი გამოხატულიყო გამხდარიყო, მაგრამ ასე არ მოხდა, ადამიანებმა განგვაზღვრეს და (მცდარი) სახელი დაგვარქვეს: „შეყვარებულები“.

მე ეს არ გავაპროტესტე და დღეს ვერაფერი დამაჯერებს, რომ დღემდე ყოველთვის ოქროა.

სიტყვა თავისთავში გულისხმობს საქმე(ებ)ს. ადამიანებმა განგვაზღვრეს, მე ეს არ გავაპროტესტე და ამიტომ დამევალა: პაემანებზე სიარული, სიყვარულის ახსნა, დიად, ერთობლივ მომავალზე საუბარი და სხვა შეყვარებულისთვის დამახასიათებელი ქმედებების შესრულება. და მეც ყველაფერ ამას ვასრულებდი იმდენად კარგად, რამდენადაც საერთოდ შესაძლებელია უსიყვარულოდ ასეთი რამეების კარგად შესრულება და თანდათან ვბრუნდებოდი შეზღუდულ, მინიერ სივრცეში და დროში, ერთი სიტყვით საშინელებაში. ამას ისიც ემატებოდა, რომ ვხვდებოდი: ნებისმიერი სახის პროტესტი უკვე დაგვიანებული, უფროსწორად, შეუძლებელი იყო. ჩიხში ვიყავი, ჩიხიდან კი მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი არსებობს: მოაწყურო საკუთარი თავი, რომ ჩიხში არ ხარ (არანაირი უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს!) და, აქედან გამომდინარე, დავიწყე საკუთარი თავის მოტყუება. ამის შედეგია მოთხრობა „აქ კარგია, გულუბრყვილო პროზა“.

რა თქმა უნდა, არსებობს ჩიხიდან გამოსვლის კიდევ ერთი საშუალება - სასწაული, რომელიც ჩემი ცხოვრების ამ ეტაპზე არ მოხდა.

რაც შეეხება სიკვდილს, ის გამოსავალზე მეტად შესავალია. ამას ჩემთვის ყველაზე ავტორიტეტულ წყაროზე დაყრდნობით ვამბობ.

48  
შემდეგ დადგა წიგნის გამოცემის დრო. ამ დროისთვის მე უკვე ოჯახის შემქმნაზე ვფიქრობდი, რადგან მოთხრობის დაწერამ ვერანაირი შვება ვერ მომიტანა და უკვე ყველაფერი საშინელება იყო: სეირნობაც, საუბარიც, ჭამაც, ერთი სიტყვით - უსიყვარულობა.

ფიქრობდი: „მოვიყვან ცოლს, გაჩდებიან ბავშვები და ყველაფერი გამოისწორდება“. თუმცა აქვე უნდა ვთქვა ისიც, რომ რეალურად იმ ხანად არაფრის ისე არ მეშინოდა, როგორც შვილების ყოლის. შიში და საშინელებაში ვცხოვრობდი, რო-

დესაც მირანდამ მოხოვა, რომ წიგნი მისთვის მიმეძღვნა. ეს იყო დიდი და უეცარი შანსი ჩემთვის (მეტნაკლებად ყველაფერი დამელაგებინა ჩემს ცხოვრებაში. ამისთვის საჭირო იყო (მეტნაკლებად) ყველაფერი მეთქვა მირანდასთვის და დამემთავრებინა ეს ურთიერთობა, მაგრამ რატომღაც არაფერი არ ვთქვი. უფროსწორად, ერთადერთი წინადადება ვთქვი: „საჩუქარს თუ გამიკეთებ, მოგიძღვნი“ და საჩუქარი დაუშახელე.

ახლა საჩუქარის დასახელებას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში ის 30 ვერცხლია: მე ხომ მაშინ მამას წიგნი გავეციდე.

მირანდამ მომაცხუა: საჩუქარი არ მაჩუქა. ხანდახან მგონია, რომ ამიტომაც ვარ დღეს ცოცხალი

49  
ჩემი მიზანი არ არის ამ ისტორიის დეტალურად მოყოლა, რადგან პირადად ჩემთვის დღეს ამ ამბავს არანაირი (არც ცხოვრებისეული და არც ლიტერატურული - დაუშვავთ, როგორც მოთხრობის მასალა-გაგებით) მნიშვნელობა არ აქვს, ანუ ეს ისტორია ჩემ ცხოვრებაში მხოლოდ და მხოლოდ ერთდროის რიგითი ისტორიაა, თუმცა რა თქმა უნდა ეს ყველაფერი უმიზნოდ არ დამინერია; არსებობს წიგნი, რომელსაც, ადრე თუ გვიან, ხელახალა აუცილებლად გამოვეცემ და ვფიქრობ, რომ ჩემი ახლანდელი აღიარებითი ჩვენებით წიგნისთვის სათაურის შეცვლის და მისი მამასთვის მიძღვნის უფლება მოვიპოვე.

50  
ჯამომ ცხოვრებისეული ფაქტის ლიტერატურულ მასალად გამოყენება ვახსენე. შეიძლება ზუსტად ასე არც მისხენებია, მაგრამ ამას არა აქვს ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა.

50-ე თავში ამ თემაზე მსურს, ვისაუბრო.

გავრცელებული აზრის თანახმად, მწერლები ყველაზე ხშირად საკუთარ ბავშვობაში მომხდარ და განცდილ მოვლენებზე წერენ. თავისთავად ეს შეხედულება არც ისე მცდარია, რადგან ადამიანების უმრავლესობა ბავშვობაში გაცილებით სერიოზულად და უანგაროდ (ანგარება ზღუდავს ადამიანს) ამყარებენ სამყაროსთან კონტაქტ(ებ)ს, ვიდრე - დიდობაში, როდესაც ე.წ. სერიოზული (რეალურად ალბათ უფრო სასაცილო) ცხოვრებით ცხოვრობენ.

თუმცა ამ შემთხვევაში ეს საკითხი ჩემი ინტერესების სფეროში არ შედის, მე სულ სხვა რამ მაინტერესებს. კერძოდ: რამდენად მახსოვს პირადად მე პირადად ჩემს ბავშვობაში მომხდარი და განცდილი ამ-

ბები. აქ რა თქმა უნდა არ იგულისხმება პატარა ბავშვობა: ცხოვრება ხუთ წლამდე. არამედ ბავშვობა და დიდი ბავშვობა ან როგორც ერთდროის შესანიშნავი ქართველი მწერალი ამბობს „ბავშვობის სიბერე“.

51  
51-მ თავიც იგივე საკითხს ეხება.

რა შემთხვევა გავიხსენო ჩემი ბავშვობიდან? რამდენიმე ყოფითი ეპიზოდი, რამდენიმე განცდა, რამდენიმე ოცნება, ხმები, ფერები. მაგრამ ასეთი მცირე მასალით რამდენადაა შესაძლებელი დაწერო ისეთი ბრწყინვალე წიგნების მსგავსი წიგნი, როგორებიცაა: ლ.ტოლსტოის „ბავშვობა“, მაქსიმ გორკის „ბავშვობა“, კ. პაუსტოვის „შორელი წლები“, ვ. კატაევის „გატეხილი ცხოვრება“. და რუსეთის აგენტობა რომ არ დამბრალდეს, აქვე დავასახელებ: მარსელ პრუსტის „ვანის მიმართულებით“ და ჰანს ფალადას „ჩვენთან სახლში მორეულ წლებში“. ამ ნაწარმოებს ძალიან საინტერესო ქვესათაური აქვს: „განცდილი, დანახული და შეთხზული“. უკანასკნელი სიტყვა ძალიან მნიშვნელოვანია. ანუ საქმე გვაქვს, უფროსწორად, ვკითხულობთ მხატვრულ (ამ შემთხვევაში მაღალმხატვრულ ტექსტს) და არა დოკუმენტურ ავტობიოგრაფიას. ვიცით შეუძლებელს მოვითხოვ, მაგრამ რა ვქნა?! მიხდა, რომ ადამიანები ერთმანეთს იდეების, ფანტაზიის უნარის მიხედვით აფასებდნენ და არა ცხოვრებისეული ფაქტებით.

ჩემი აზრით, ავტობიოგრაფიული წიგნები „ფენტეზის“ ჟანრს ეკუთვნიან.

52  
ჩემდამი, უფროსწორად, ჩემი ტექსტებისადმი ძალიან დადებითად განწყობილი მკითხველები კი აღნიშნავენ იმას, რომ ჩემს ნაწარმოებებში დასასრულისკენ თხრობა ყოველთვის ჩქარდება.

ჩემი ტექსტებისადმი უაყოფითად განწყობილი მკითხველები, კი პირდაპირ ამბობენ, რომ დასასრულისკენ ნაწარმოებებს ვაფუჩუნებ.

აქ შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ აზრის გამოთქმის ფორმაზე, კორექტულობაზე და არაკორექტულობაზე, რადგან პრინციპში ორივე მხარე ერთსადაიმავე აზრს გამოთქვამს...

და რაც მთავარია; ამ აზრს მეც ვიზიარებ. ანუ აჩქარება ხდება განზრახ და არა გაუფრთხილებლობით.

და აი, რატომ:

53  
მე არ ვწერ ე.წ. ცხოვრებისეულ პროზას. აქედან გამომდინარე, არც ცხოვრება მწერს საკუთარი ფაქტების სიამი, მე ვწერ ადამიანებზე ანუ სხეულზე და

სულზე. ამ უკანასკნელის შესახებ მაინცდამაინც დიდი ინფორმაცია არ მომეპოვება და რადგან წერა შესაძლებელია ორი, მცოდნის და არმცოდნის პოზიციიდან, სულზე არმცოდნის პოზიციიდან ვწერ; ეტიკეტის მიხედვით ახლა ყალბი თავმდაბლობა უნდა გამოვიჩინო და ვთქვა, რომ ამ თემაზე კი არ ვწერ, არამედ, ვცდილობ წერას, მაგრამ ეტიკეტის დაცვა არასდროს მანიჭებდა სიამოვნებას, მითუმეტეს ასეთ შემთხვევაში. ჩემს ტექსტებს წიგნებად ვბეჭდავ, წიგნებს საკუთარ სახელსა და გვარს ვწერ. ასე რომ, ჩემი ტექსტების მაღალმხატვრულ დონეში ეჭვი არ მეპარება. რაც შეეხება იმას, რამდენად შეუძლიათ მათ რეალურად დადებითი გავლენა მოახდინონ სამყაროზე, ამ საკითხში ვმერყეობ და ამ მერყეობის დასასრულით და კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემით, რომ შეუძლიათ წიგნებს სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლა (თუ უკეთესობაში დაბრუნება?!), იწყება დიდი ლიტერატურა.

ახლა კი, დროა ჩემ ტექსტებში ფინალისკენ აჩქარების მიზეზს დავუბრუნდე. 54-ე თავის პირველი წინადადება 53-ე თავის პირველი წინადადების იდენტურია.

54  
მე არ ვწერ ე.წ. ცხოვრებისეულ პროზას. მაგრამ ყოველდღიურად ცხოვრება, რა თქმა უნდა, ახდენს ჩემზე გავლენას, განსაკუთრებით თავისი რიტმით, (რომელსაც შეიძლება კანონზომიერება (ცუნდოთ) და სწორედ ამის შედეგია აჩქარებები ფინალისკენ. ცხოვრებაში ფინალის ყოველთვის სწრაფად დგება, ასევე ჩემ ტექსტებს ახასიათებს ცხოვრებისეული რიტმის შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები: ვრცელი ექსპოზიციები, ხანმოკლე კულმინაციები, ფინალური აჩქარების წინ დროის შეჩერება და ღია ფინალი. მოკლედ, ეს არის არაცხოვრებისეული პროზა ცხოვრებისეული რიტმით (ან თუ ასე უფრო მოგწონთ - კანონზომიერებით)...

55  
იმისათვის, რომ ეს ესე წიგნად იქცეს, საჭიროა, კომპიუტერში აკრეფილი ტექსტის ასო-ნიშნების რაოდენობა სულ მცირე ასიათასს მაინც შეადგენდეს.

და რადგან ჩემი აზრით შეუძლებელია ადამიანმა ასიათასი ასონიშანი უწყვეტად წეროს პროზის შესახებ, აუცილებელია მცირე ლირიკული გადახვევა, ხოლო ვის შესახებ იქნება ეს გადახვევა, ამას თავად ესეის სათაური მკარნახობს.

შეგახსენებთ, ესეის „პროზისა და საკუთარი თავის შესახებ“ ჰქვია.

56  
მე ყველაფერზე ჩემი საკუთარი აზრი მაქვს. ეს არ არის არათავმდაბლი განცხადება, რადგან ყველა ადამიანს აქვს ყველაფერზე თავისი საკუთარი აზრი, ყოველშემთხვევაში ჰგონია, რომ აქვს.

არათავმდაბლობა გამოიხატება ამ აზრების გავრცელებაში. და რადგან ჩემი საქმიანობა ჩემი (ან იქნებ არა მხოლოდ ჩემი?) აზრების გავრცელებაა, უნებურად არათავმდაბალი ადამიანი გამოვიდივარ. უფროსწორად, უნებურად არათავმდაბალი ადამიანი ვარ.

და, რა თქმა უნდა, საქართველოს ჩემი საქმიანობისათვის უნაყოფო მიზნად მივიჩნევ და აქედან აბარგებაზე ვფიქრობ.

საქართველო არ იმყოფება უფსკრულის პირას, არც უფსკრულშია გადაჩენილი, საქართველო უბრალოდ ტრაკია, (ბრწყინვალე საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ ეს სიტყვა უკანალად წაიკითხონ). ეს ფაქტია, საკითხავი კი ისაა როგორ ტრაკია ვართ. ტრაკიის შეფასება ხდება შემდეგი ერთდროულად ფიზიკური და მეტაფიზიკური კატეგორიებით: ნათელი და ბნელი. ნათელია ტრაკია, რომლიდანაც თავდაღწევა შესაძლებელია, ანუ ნათელ ტრაკია მოქმედებს აქვს აზრი, ანუ ნათელი ტრაკია ბრტყელია. რა თქმა უნდა, ნათელი ტრაკიის ადგილობრივი მკვიდრი თუ სულ ჩრდილოეთით ივლის, სანყის წერტილს დაუბრუნდება, მაგრამ შეუძლია არ იაროს სულ ჩრდილოეთით. ამას არჩევანის თავისი უფლება ჰქვია.

ბნელი ტრაკია წრიულია და არ აქვს მნიშვნელობა საით წახვალ, რადგან ბრუნა წრეში ბრუნავ, საიდანაც თავდაღწევა შეუძლებელია. სწორედ ასეთ, წრიულ ტრაკია ვართ ჩვენ და რადგან ზღაპრულ

ლი კატეგორიები ვაზროვნებით, ამ ტრასკ პირობითა და შეიძლება „კალაბოკის ტრაკი“ ვუნოლოთ.

ვკითხულობ დანერხებს და ვხედევი, რომ ტექსტი ლირიკულიც გამოვიდა და გადახვეულიც.

57

არა პირადი პრობლემა არ არსებობს. მეგონი ეს აზრი უკვე გამოვთქვი ამ წიგნში, შეიძლება — სხვა რომელიმე წიგნში. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, სად და როდის გამოვთქვი.

ეს თუ ასეა, მაშინ ვმეორდები, თუ არა - მაშინ პირველად ვამბობ.

შეიძლება (და დიდი ალბათობაა, რომ ასეც არის) მსგავსი აზრი ვინმეს უკვე გამოუთქვამს. ასეთ შემთხვევაში უნებურად ვმეორდები.

პირადად ჩემთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს და აქედან გამომდინარე ეს საკითხი ჩემთვის პრობლემა არ არის. ვილატისთვის შეიძლება ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია და რადგან არა პირადი პრობლემა არ არსებობს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მისი პირადი პრობლემაა.

58

ჩემს მიერ გამოთქმული მოსაზრება საქართველოს შესახებ, რა თქმა უნდა, ჩემი პირადი პრობლემაა და რადგან ვცდილობ, მაგრამ არ გამომდის, რომ სულ სხვა (ნათელი და მშვენიერი) დამოკიდებულება მქონდეს ამ საკითხისადმი (რა არის საქართველო: საკითხი? სამშობლო? საგანი? დასახელება? ცოცხალ-მკვდარი ზონა? თუ კიდევ უფრო საშინელი რამ?), ჩემთვის ეს მტიკინეული პრობლემაა, ხოლო ტკივილი აქტუალობის ბაზისია, ანუ ეს პრობლემა ჩემთვის მტიკინეულია და აქედან გამომდინარეა აქტუალური.

59

მე გამუდმებით ვუშვებ ერთიდაიგივე შეცდომას, ბევრს ვფიქრობ მომავალზე. მომავალი არ არსებობს. აი, ახლა ზუსტად ვიცი, რომ ვმეორდები, რადგან ეს აზრი რომან „იყო საღამო, იყო დილაში“ მაქვს გამოთქმული. წარმოსახული მომავალი აწყობა. გახსენებული წარსული აწყობა. ანუ ერთადერთი რეალური დროა, მაგრამ არა ერთადერთი რეალობა.

მე გამუდმებით ვუშვებ ერთიდაიგივე შეცდომას, ბევრს ვფიქრობ მომავალზე. მომავალი არ არსებობს და ეს არარსებული სამყარო ადამიანის აბსოლუტური გავლენის სფეროა. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი მომავლის დემონია, არარსებული სამყაროს არარსებული დემონია.

60

**რამდენიმე ხნის წინ** გამოქვეყნდა ჩემი რიგით მეორე რომანი, სახელწოდებით „ახალი წიგნი“ და აი, ამ რიგით მეორე რომანის გამოქვეყნების შემდეგ პირველად მოხდა ისე, რომ ჩემი მკითხველების ძალიან ვინრო ჯგუფის ქება და ლანძღვა ჩემთვის ერთნაირად უინტერესო აღმოჩნდა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ გავსხივოსნდი და მიწიერ ქებას და მიწიერ ლანძღვას ერთნაირად მშვიდად ვიღებ და ეს, რა თქმა უნდა, მითუმეტეს არ ნიშნავს იმას, რომ არაფერს აქაურს, მიწიერს ჩემთვის აზრი აღარ აქვს და გარდაცვალებას და ცაში გადასახლებას ველი. არა, პირიქით, წინა წლებთან შედარებით ამპარტავნება მომემატა და გამიჩინდა სურვილი, ადამიანებმა ზუსტად ისე გაიგონ და განიცადონ ჩემი წიგნები, როგორც მე მესმის და განვიცდი.

ასე რომ, კიდევ ერთი პირადი პრობლემა დამემატა.

და კიდევ: პირადი პრობლემებისადმი მიძღვნილ თავებში ძალიან მიწოდდა მეხსენებინა გოეთე და ილია ჭავჭავაძე, და მეთქვა, რომ „ფაუსტი“ გოეთეს, ხოლო საქართველო ილია ჭავჭავაძის პირადი იყო და აი, ვახსენე და ვთქვი ისე, როგორც მოვახერხე...

61

**დავუბრუნდეთ** წმინდა (რა თქმა უნდა ამ სიტყვის არა რელიგიური გაგებით) ლიტერატურულ საკითხებს.

თემა ასეთია: იუმორი, ეროტიკა და სხვა თანხირობები, ასევე უარგონი და ბარბარიზმები პროზაში.

მიუხედავად ასეთი ზოგადი სათაურისა, ძირითადად საკუთარ თავზე და ტექსტებზე ვისაუბრებ. დავაბრალოთ ეს დიდ ცხოვრებისეულ კანონზომიერებას და არა ჩემს ვინრო ეგოიზმს. ასეთ შემთხვევაში უფრო თამამად და გულწრფელად ვისაუბრებ, უფროსწორად დავწერ, კიდევ უფროსწორად, დავწერ და თან წარმოვიდგინ, რომ კათედრაზე ვდგავარ და ვლაპარაკობ.

62

**ჩემი** ტექსტების ძირითადი ნაწილი იუმორისტულია.

ამ განცხადების ხასიათის გარკვევა ინდივიდუალურია. ვილატამ შეიძლება ჩათვალოს, რომ ვხუმრობ, ვილატამ, კი ძალიან სერიოზულად მიიღოს.

(ეს ისე, სხვათაშორის).

რაც შეეხება იუმორს, განსჯას ორი ჯადოსნური სიტყვით ვინყებ: ჩემი აზრით იუმორის შემდეგი ძირითადი ნაირსახეობები არსებობს. ნაციონალური იუმორი, რომელიც ძირითადად ამა თუ იმ ერის, ან სოციალური ჯგუფის ყოველდღიურ ცხოვრებას უკავშირდება და ძირითადად ერთ (სიტყვით) გამოიხატება, არსებობს ასევე ზენაციონალური იუმორი, რომელიც (ეს ისე, სხვათაშორის) არა იმდენად სიტყვასთან, რამდენადაც ქმედებასთან. ამის თვალსაზრისი მაგალითი მუხჯი კინოს შედეგებია.

არსებობს ფსევდოზენაციონალური იუმორი. მაგალითად მე ძალიან მიყვარს რუსული და ინგლისური ანეკდოტები. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე არა ზენაციონალური იუმორთან, არამედ კულტურულ სიმპათიასთან და კულტურულ-პოლიტიკურ გავლენასთან გვაქვს და კიდევ ჩემ პიროვნულ შეზღუდულობასთან, რადგან მაგალითად ნარმოდგენა არ მაქვს როგორი ანეკდოტები აქვთ ნიგერიელებს, სუდანელებს, სომალელებს და სხვა, ჩვენს მსგავს მდგომარეობაში მყოფ ხალხებს. ვგულისხმობ ე.წ. მესამე სამყაროს წარმომადგენლებს. თუ საქართველოში ვიმსჯელებთ, თანამედროვე ანეკდოტი ამ სივრცეში არ არსებობს.

და ბოლოს: რა თქმა უნდა, არსებობს ლიტერატურული იუმორი, ანუ წერილობითი იუმორი.

63

**ძველი** დროის ადამიანები წიგნებს ხმამაღლა კითხულობდნენ, თანამედროვე ადამიანები წიგნებს თვალებით კითხულობენ, ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რომ ეს წინსვლაა ან უკუსვლა, არ შემიძლია. ანუ არაფერს არ ვამტკიცებ და აქედან გამომდინარე არანაირ პასუხიმგებლობას (საერთოდ თუ არსებობს ასეთი რამ ჩემში), არ ვიღებ საკუთარ თავზე (საერთოდ თუ ჩემი საკუთრებაა ჩემი თავი). უბრალოდ ფაქტს აღვნიშნავ. უფროსწორად, აღვნიშნე და ვიმეორებ, რომ ძველი დროის ადამიანები წიგნებს ხმამაღლა კითხულობდნენ, ხოლო თანამედროვე ადამიანები წიგნებს თვალებით კითხულობენ, ეს თვისობრივი ცვლილებაა, რომელიც არა მხოლოდ მკითხველის წიგნისადმი დამოკიდებულების შეცვლაზე, არამედ ზოგადად ადამიანური სამყაროს შეცვლაზე მიგვანიშნებს. ცვლილებები თავიდან ყოველთვის გვაშინებს, შემდეგ ვეგუბით, შემდეგ თავგამოდებით ვიცავთ, უკვე როგორც ტრადიციას.

რა თქმა უნდა, ცვლილებები წერილობითა იუმორმაც განიცადა. ამ ცვლილებების შეფასებისგან თავს შევიკავებ, მხოლოდ და მხოლოდ დავახასიათებ და ისიც გავკვირვები, რადგან ჩემი ძირითადი სათქმელი ეხება არა ფაქტებს, არამედ - ოცნებას.

64

**ევროპული** რომანის შემქმნელების (რაბლე, სერვანტესი, გრიმელსაუზენი, სტერნი) შემოქმედებაში იუმორს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აქვს. ეს ნათელი, ცხოვრებისეული (მაშინაც კი, როდესაც ზღაპრული ამბები ხდება) იუმორია, განსხვავებით 20-საუკუნის დიდი იუმორისტიკისგან (კაფკა, მუზილი, ბოჩუხი) მათი იუმორი ნიგნიერი, ლიტერატურული და აქედან გამომდინარე, რთული და ბუნდოვანი იუმორია, ანუ იცინის ის, ვისაც ამ ავტორების გარდა სხვა ბევრი ავტორის ბევრი ტექსტი აქვს წაკითხული. (კაცმა,

რომ თქვას, ეს დასკვნა ძირითადად ბოჩუხის შემოქმედებას ეხება, მაგრამ აკადემიური სიზუსტის დაცვა არ არის ჩემი მიზანი. ჩემი მიზანი მართვადი ქაოსის შექმნაა, უფროსწორად სამყაროდან ტექსტში გადმოტანაა, თავისთავად სამყაროს ამით არც არაფერი ემატება და არც არაფერი აკლდება, რადგან კლება — მატება ადამიანური კატეგორიები).

ეს რაც შეეხებოდა საუკუნეთა მანძილზე წერილობითი იუმორის ცვლილებებს გავკვირვები (სწორედ ამიტომ არ ვახსენებ ანტიკური პროზა და დრამატურგია, რადგან ანტიკას ვერ გავკრავ.)

65

**ბავშვობაში**, „მეგობრობის დღიურების“ შევსებისას ბევრ იმ დროისთვის მნიშვნელოვან, ხოლო დღესდღეისობით სრულიად უმნიშვნელო შეკითხვაზე ვცემდი პასუხს, მაგრამ არსებობს ე.წ. მარადიული შეკითხვები (ეს განსაზღვრება არასწორია, რადგან მიწაზე არანაირი მარადისობა, ხოლო ცაში არანაირი შეკითხვები არ არსებობს. ცა ყველა შეკითხვის ერთადერთი, აბსოლუტურად ზუსტი პასუხია). ერთერთი ასეთი ე.წ. მარადიული შეკითხვაა: „რაზე ოცნებობ?“

იყო დრო, როდესაც (ბავშვობაში, „მეგობრობის დღიურებს“ რომ ვავსებდი) მეგონა, რომ ადამიანი ოცნებების რაოდენობაში შეზღუდული იყო და მხოლოდ ერთი ოცნება უნდა ქონოდა. და რადგან მაშინაც, ბავშვობაში, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელთან შედარებით გაცილებით მდიდარი და მრავალფეროვანი შინაგანი სამყარო მქონდა, მაინც შეზღუდული არსება ვიყავი. მსგავს შეზღუდულობებს რომანტიკულად ვთვლიდი. ადამიანს მხოლოდ ერთი ოცნება უნდა ქონდეს. ასეთი მდარე რომანტიკის პირველსაწყისი თავად ცხოვრებაა.

დღეს ასე აღარ ვფიქრობ, უფროსწორად ველარ ვფიქრობ, რადგან საქართველოში ყველაფერი საოცნებო გახდა, დაწყებული საჭმლიდან, დამთავრებული უკვდავებით, თუმცა არსებობს ორივეს მოპოვების უმყარესი ზეციური გარანტიები, მაგრამ არ არსებობს ჩვენის მხრივ ნდობა გარანტიორისადმი და, ეს რა თქმა უნდა თითოეული ჩვენგანის ძალიან სერიოზული (შესაძლოა ერთადერთი რეალური) პრობლემაა.

დღეს აღარ ვფიქრობ, რომ ადამიანს მხოლოდ ერთი ოცნება უნდა ქონდეს, რაც საერთოდ არ ნიშნავს იმას, რომ მდარე რომანტიკის თავი დავადვნი. უბრალოდ ობიექტი შეიცვალა, ჩემი მდარე რომანტიკის დღევანდელი ობიექტი ლიტერატურაა, მაგალითად ძალიან მომწონს ანდრე ჟიდის აზრი, რომ ხელოვნებას შეზღუდვები ქმნის.

ბევრ რამეზე ვოცნებობ, მათ შორის იდეალური წერილობითი იუმორის შექმნაზეც.

66

**სამოთხეში** არ ოცნებობდნენ.

ოცნება პირველცოდვის შემდეგ გაჩნდა და აქედან გამომდინარე ნებისმიერი ოცნების ქვეტექსტი სამოთხეში დაბრუნდება, თუმცა ეს ქვეტექსტი ძალიან ხშირად ბუნდოვანია და ძნელად აღქმადი განსხვავებით ყოველდღიურობის ქვეტექსტიდან, რომელსაც არამხოლოდ ნათლად აღვიქვავთ, არამედ ძალიან ხშირად ვგრძნობთ კიდევ, და ეს შეგრძნება გვაბნევს და გვაიძულებს მივედ-მოვედოთ აქეთ-იქეთ რალაც-რალაცებს და ჩვენ ამ დაბნეულ მიდებ-მოდებებს აქეთ-იქეთ ჩვენვე ვეძახით ცხოვრებას. და რაც მთავარია, ამას ვაკეთებთ ჩვენსავე გასამხნევებლად.

ერთი შეხედვით, თუ ერთი მოსმენით, თუ ერთი გაფიქრებით, ზუსტი განსაზღვრება ამ შემთხვევაში არც ისე მნიშვნელოვანია. ოცნება და ყოველდღიურობა ანტიონიმიები. ასეა მხოლოდ ერთი შეხედვით (სხვა განსაზღვრებებს აღარ ვაკვირვებ, რადგან რამდენიმე სიტყვის შემდეგ კვლავ მომიწევს მათი გამოვლენა და ტექსტი ძალიან გადაიტვიტობება) მაგრამ ხომ გვაქვს მეორედ შეხედვის, მეორედ მოსმენის, მეორედ გაფიქრების უფლება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ადამიანების უმრავლესობა სამწუხაროდ ამ უფლებას არ იყ-

ენებს, საბედნიეროდ ჯერჯერობით არც ერთადერთი დემონი იყენებს მეორედ მოსვლის უფლებას და ჯერჯერობით დასასრული არ დამდგარა.

მაგრამ ჯობს კვლავ ვინროადამიანურ საკითხებს დავუბრუნდეთ.

67

**ოცნებები** ტრადიციულად ორ ჯგუფად იყოფა: 1. აუხდენელი ოცნებები და 2. ახდენელი ოცნებები.

ყოველთვის აუხდენელი ოცნებები უფრო გვახსოვს ვიდრე ახდენელი, და ეს ბუნებრივია, რადგან აუხდენელი ოცნებები მომავალია, ახდენელი ოცნებები წარსული და მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს დაუნდობლად ვტენით წარსულს და ვაიძულებთ წარსულით ცხოვრებას და რალაც-რალაცების გახსენებაზე უფრო გვაჭრილებს ვიდრე გველიმება, მაინც საკუთარ თავთან დარჩენილები ვგრძნობთ და ვხედევი, რომ წარსული მხოლოდ ცაში შეიძლება გადაიტვიტოს აწყობად და არა მიწაზე, რადგან მიწაზე არაფერი მეორდება. საქმე ყოველთვის მსგავსებასთან გვაქვს, მსგავსება კი არ ნიშნავს გამეორებას.

რაც შეეხება მომავალს, მის შესახებ ჩემი აზრი რამდენიმე თავის წინ უკვე გამოვთქვი ანუ ჩემი აზრი მომავლის შესახებ წარსულშია, ხოლო მეორედ აზრის გამოთქმის უფლებას ამჯერად არ ვიყენებ.

68

**წარსული** საოცნებო წერილობითი იუმორის შესახებ ვაპირებდი, მაგრამ მხოლოდ ოცნების შესახებ წერა გამომივიდა. ეს ამბავი შემიძლია წერის სპეციფიკას და ვაბრალო და ვთქვა, რომ თემამ გამიტაცა ან ჩამითრია და თავდაპირველად დასახულ მიზანს აეცდი, მაგრამ ეს ასე არ არის. ყველაფერი გაცილებით რეალურადაა და ჩემ უცოდინარობას უკავშირდება. წერის პროცესში მივხვდი, რომ საოცნებო წერილობითი იუმორის შესახებ მწყობრად და ჩამოყალიბებულად მსჯელობა არ შემიძლია, რადგან რეალურად არანაირი პროექტი (გეგმა) არ მაქვს.

პროექტის (გეგმის) უქონლობა საოცნებო წერილობითი იუმორს ავტომატურად აუხდენელი ოცნებების კატეგორიაში ახვედრებს.

69

**მივაღქმით** ყველაზე საჩოთირო თემას: ეროტიკა და სხვა თანხირობები, იგულისხმება იარაღი და ნარკოტიკები.

დავინწყებ, უფროსწორად დავინწყებ (რადგან თქვენ არანაირი პასუხისმგებლობა, გარდა დინჯი და გონივრული ნაკითხვისა, არ გექვთ ქვემოთ ნათქვამის გამო.) ეროტიკით. რა თქმა უნდა, შემიძლია ეროტიკის შესახებ მხოლოდ ლიტერატურის კონტექსტში ვისაუბრო, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ წიგნის არამხოლოდ მხატვრულ, არამედ კომერციულ მხარეზეც ვფიქრობ, თან ესეც სათაურად მაძღვეს ამის საშუალებას (თუ არ ვცდები უკვე მეორედ ვიყენებ ამ არგუმენტს), თემას ოდნავ განვავრცობ.

შეიძლება გაიფიქრეთ, შეიძლება არც, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დავაზუსტო: საკუთარი თავგადასავლების მოყოლას არ ვაპირებ. არც ასე ძალიან მალეღვებს ამ წიგნის კომერციული წარმატება და კიდევ (ეს ყველაზე მთავარია), შეყვარებული ვარ. ანუ თანამედროვედ, დამახინჯებულად, მაგრამ გასაცემად რომ ვთქვა: სიყვარული მაქვს ცხოვრებაში და აქედან გამომდინარე გონების სარდაფში ჩასვლის და იქ მყოფი თითქმის ბოლომდე გაცრეცილი აჩრდილების მონახულების არანაირი სურვილი არ მაქვს.

### გაბრკილება შემდეგ ნომერში





### გაგა ნახუცრიშვილი

#### ერთი ამოსუნთქვა

რამდენი დამრჩა, აღარ დავთვალე,  
და დასასრულსაც უკვე არ ვუფროთხი,  
მე მივუყვები მწირი საგზალით  
გზას მხოლოდ ერთი ღრმა ამოსუნთქვით.

და სიყვარული უკვე დავტოვე,  
თუ ისევ მოვა... მაინც არ ველი,  
ხომ იცვლის ფერსაც ხან სიმარტოვე,  
ხანდახან ხდება უფრო ნათელი.

#### შუადღე მიდის

მე რომ მიყვარდა, იმ ქალს მიაგავს,  
ბაღში რომ მოჩანს ბუნდოვნად სახლი,  
მზე ხარბად ლოკავს მტვრიან ლიანდაგს,  
შუადღე მიდის და წვება თაღხი.

გამქრალ ბავშვობას ეძებს ზღვის სუნი,  
მოხუცი სკამზე დღეებს თუ ითვლის,  
მას უკვე სჯერა მხოლოდ სიჩუმის  
და ეშინია ზედმეტი სიტყვის.

მატარებლის ხმა ათრთოლებს ჰაერს,  
ხმაურისაგან ირხევა ხიდი,  
არ ველოდები რამეს სხვანაირს,  
შუადღეა და შუადღეც მიდის.

#### ბთხოვ

ოქტომბრის მთები უთოვლოდ დუმან,  
გთხოვ, დარჩი და თავს ძალას ნუ ატან,  
გთხოვ, ასე დარჩი, ჩუმად, სულ ჩუმად,  
მე ნავალ წყნარად, ნელა, თანდათან.

#### უსინდისო

ღამით მარტო მოვდიოდი პორტიდან,  
ზღვის ხმაური სიჩუმეს რომ კოცნიდა,  
ანათებდა ბრიყვი მთვარე გარეთ და...  
მეც გავჩერდი სადღაც ნაცნობ კარებთან.

თურმე მაინც ისევ იმ ქალს ვეძებდი,  
მეგონა, რომ არ ვიყავი ზედმეტი.  
თურმე ისევ ოდნავ მეტი დაველი,  
მერე ლოგინს მივაკითხე ცარიელს.  
ირიჟრაჟა... ფარდებთანაც შუქია,  
წუხანდელი საქციელი მუქია,  
მაჟრიალებს... ძილსაც ველარ ვიბრუნებ,  
რატომაც ჰგავს ხმაურს ასე სიჩუმე,  
ვწრიალებ, თან წამოდგომას არ ვჩქარობ,  
შეგნუხე ალბათ მთელი სამყარო,  
ეჰ, არ მინდა დადგეს დილის ნათელი,  
დავლიე და მგონი ცოტა დავთვერი.

#### ჰგავს

რომ ჰგავს სინათლეს დღის,  
ცოტა სიმლაშეს ზღვის,  
ცოტა დასანყის გზის,  
მაინც რა არის ის?

ის ჰგავს თოვისას მთას,  
საყვარელ ქალის თმას,  
და მზის ჩასვლისას ცას,  
მაინც რა ჰქვია მას?

მას ილუზია შობს,  
ყიფიერების ცოფს  
სხვა სინამდვილით სპობს,  
არ ენაღვლება დროც.

ჰგავს კარნავალის ფერს,  
ხანაც მდუმარე ბერს,  
არ ლაპარაკობს ბევრს  
და იშვიათად წერს.

და დედამინის წრეს  
არ ეგუება, წყვეტს...  
და ის მოელის მეტს,  
თავის უცნაურ ბედს.

#### აკრძალული ნაყოფი

ეს აკრძალული, ტკბილი ნაყოფი,  
არც ილუპება და თან არც ხარობს,  
არ ჩანს დროის და სივრცის გამყოფი,  
არც დასასრული, არც სხვა სამყარო.

მთელი ცხოვრება თვლიან დაუთვლელს,  
უნდათ ყველას და ყველაფრის გათვლა,  
სიმართლე მოდის, გთხოვთ, გზა დაუთმეთ!  
მაგრამ ის არ ჩანს, არ მოდის მართლა.

ჩქარობენ, თუმცა წასვლა არ უნდათ,  
სიცოცხლეს ყოფენ დღეებად, წლებად,  
ბანალურია, ჰო, რა თქმა უნდა,  
რომ შუქი ბოლოს თავისით ქრება.

მიდის მგზავრი და თავის არყოფნით,  
უნდა შეცვალოს მთელი სამყარო,  
იქნებ იპოვოს სადმე ნაყოფი,  
აქ რომ არ მოდის, აქ რომ არ ხარობს.

\*\*\*

— იქნებ სადმე შეგვხვდეთ,  
ათი წუთის შემდეგ?  
— არა, არ მცალია...  
— იქნებ მოიცალო,  
სახლში მარტო ვარ და  
გარეთ ზამთარია.

#### ნახევარი

როგორ შეიცვალა რიტმი,  
სიტყვა მარტოობის მახე არის,  
მგონი მიიღია თითქმის  
ჩემი არსებობის ნახევარი.

სურათებს რომ ხედავ სიზმრად,  
მგონი დასასრულის სახე არის,  
ვიცი, ჩემგან შორს რომ გინდა,  
ვიცი, უკვე დავრჩი ნახევარი.

როგორ შევიცვალე უცებ,  
თითქოს ღმერთსაც შეგვხვდი, ვნახე, არის,  
ამ სინახევრესაც ვუძლებ,  
რადგან გასულია ნახევარი.

#### ღმერთი და ჩვენი

ლანდებს გაატანე განაჩენი  
და მერე იცხოვრე, დარჩი,  
და ნუ შეგანუხებს დანარჩენი,  
ღმერთი ხომ არავის არ სჯის.

სიცოცხლეს ჩვენ ვუარყოფთ სიმბდალით,  
საკუთარ ოცნებებს ვერჩით,  
ცხოვრება ხომ არ არის სიზმარი,  
ეჰ, რა შუაშია ღმერთი!...

დიადი მიზნების ხუმტურები  
და შეგვჭამს ჩვენივე ეგო,  
როდემდე ვიქნებით უგნურები,  
რამდენი ხანია ვცებდებით.

მე ვინ ვარ, ან რას შევცვლი ხარვეზებს,  
მე ვინ ვარ, ანდა ვინ მისმენს,  
რომ რამდენი ნეხვიც ჩვენ დავთესეთ,  
ალაღად მოვიმკით იმდენს.

და ჩანს უაზრობის სისასტიკე,  
როგორც არეული სუფრა,  
როგორც გაცვეთილი დიდაქტიკა,  
ჩვენივე მორალი გვლუპავს.

#### გოგო და ევროპა

ზაფხული მიდის, ბნელდება ადრე,  
ძილის დროა და სინათლემ უკლო,  
ჩემი ცხოვრების გაუხსნი კარტებს  
გოგოს სრულიად უცნობს და უცხო.

ავიღებ სასმელს, ცოტაც გვეყოფა,  
რომ უფრო თბილი დადგეს ზამთარი,  
მოელის ზამთარს წყნარად ევროპა,  
მარტოხელების თავმესაფარი.

ვეტყვი, რომ მიყვარს მგზავრობა მარტოს,  
და მიჩვენია მისამართს ავცდე,  
აღარ დავბრუნდებ არსად, არასდროს,  
ვუყურო უცნობ და უცხო სახლებს.

ის გაიცინებს და რამეს მკითხავს,  
გულწრფელად, რადგან არ ვენაღვლები,  
რადგან არ ვრჩებით ერთად და დიდხანს,  
დარჩება მხოლოდ უცხო სახლები.

და ნავალ, მინდა ძილის გატეხვა  
და მინდა ვინმე სხვა გოგო ვნახო  
და მე მოვედი ერთხელ ამქვეყნად  
და მინდა შორს და არ მინდა ახლოს.

ევროპა მშვიდად იძინებს ადრე,  
ღუნაიც ჩათვლემს, არ ედინება,  
ვუყურებ ჩემი ცხოვრების კარტებს,  
ცოტა დრო დამრჩა, არ მეძინება.





ნამიკიძისაჲს, რომ ორი რამაა, რისი მოყოლაც ისე შემძლია, რომ პასუხს არავინ მომთხოვს: რა მიაბო თუთიყუშმა და რა ვნახე სიზმარში.

იმის გათვალისწინებით, რომ ყველაზე გონებაგახსნილ ჩიტუნასაც კი ერთობ შეზღუდული ლექსიკური მარაგი აქვს, იმას ვიამბობთ, რა მესიზმრა ზაფხულში, ერთ ცხელ ღამეს, რომელიც დაიწყო და, რაღაც, აღარ დამთავრდა.

მესიზმრა, რომ იყო ღამე, თბილისი, და ფილარმონიასთან, მომღერალი შადრევანის გვერდით, ორნი ისხდნენ. ლუდს სვამდნენ. ერთი იყო კლასიკური ობივატელი, აი, პოეტი რომ იტყოდა, ჩააცვი, დაახურე და მარად შენი ხელისუფლების მომხრე იქნებაო. ამ კონკრეტული ობივატელის მოთხოვნების დაკმაყოფილება ძალიან იოლი იყო: ან რა ეცვა, ან რა ეხურა, ჭამითაც თავს არ იკლავდა და მისი მოგზაურობები იმდენად იაფი ღირდა, სახსენებელიც არ იყო. მართალია, ამ ზაფხულს არსად წასულა, თავისი სამყოფი მწირი თანხის მოსაპოვებლად მუშაობდა, თავაუღებლად, და სწორედ ამიტომ გაიგო მხოლოდ ღამით, რომ ომი დაიწყო.

ეს ამბავი ობივატელს მარლენმა შეატყობინა. მარლენს მარლენი მარლენ დიტრიხის ეშხით ერქვა — ჰგავდა, თვალის ჭრილით, მანერებით, ხმით, ჩაცმულობით. აღნაგობით უფრო JLo იყო, მაგრამ მაგას ვინ ეტყოდა, საწყალს, ისედაც ექვსის მერე არ ჭამდა — ომამდე.

ობივატელი და მარლენი სვამდნენ ლუდს, რომლის ყიდვაც მანამდე აზრადაც არ მოსდინოდათ, მისი არაადექვატური სიძვირისა და საკუთარი ხელმოკლეობის გამო. მაგრამ ახლა გადანყვიტეს, რომ მაინცდამაინც ეს ლუდი უნდა დაეღლიათ.

„ომია, დე“, განმარტა მარლენმა. ისხდნენ, სვამდნენ და ელოდნენ მას, ვისაც ზურგსუკან დავარს უძახდნენ. დავარ იყო და მეფისა, ქალი ქაჯეთს გათხოვილი. და სანამ ის მოვიდოდა, პატარა მარლენი უფროს ობივატელს ეკითხებოდა, ომი რა არისო, რადგან თავად არასოდეს ენახა, ობივატელს კი აგერ უკვე სამი ჰქონდა ნანახი. ანუ, რა მოგვივაო, რას გვიზამენო, ჰა, დე, როგორ იქნება ჩვენი საქმე. ობივატელი უყვებოდა და მარლენი ნელ-ნელა მისკენ ჩოჩდებოდა. იჩოჩა, იჩოჩა, სანამ გვერდზე არ აეკრო და ცუდი ხმით ჰკითხა: „მოგვეკლავენ, დე?“



წვერებიანი ანეკდოტი:  
„ჰოდა, მოვიდნენ ფაშისტები და გვეუბნებოდნენ, ან მოგკლავთ, ან მოგ...ო. ჰოდა, ვინ ყოფილან ეს რუსები! ყველამ თავი არ მოატ...ა?“  
„შენა, დე?“  
„მე? მე მოკლეს!“

იმ ღამეს ობივატელის, დავარის და მარლენის ვამპირული თანაცხოვრება დაიწყო. ანუ ღამით ცხოვრობდნენ, დღისით ეძინათ. დავარს კარგად ახსოვდა წინა ომები, როგორ იჯდა რაღაც პრეპარატზე, და აღარ უნდოდა.

ობივატელი: „შველის, ვითომ?“  
დავარი: „მაგრად. აყლევებს. არაფერი არ გეხება, არ გწყინს, არ ლელავ, გკიდია.“

ობივატელი: „მაგარია.“  
დავარი: „ძაან. უბრალოდ, აღარაც აღარაფერი გიხარია. აღარასოდეს.“  
გადაწყდა, რომ ეს პრეპარატი საჭირო არ იყო.

ისინი ისხდნენ ერეკლეს ქუჩაზე, ჭამით თავს იკლავდნენ და ყველაფერს სვამდნენ, ზემოთნახსენები პრინციპით: ომია. თუ დაგვბომბეს, ფული რად გვინდა. არ იყვნენ ცუდად, უბრალოდ, იქვე ტელევი-

ზორი იყო ჩართული და აცხადებდნენ, რომ დაბომბეს ეს, ეს და ეს, და ობივატელი ტიროდა, დავარი იგინებოდა, მარლენი კი შიშისგან დაპარატავდა, ბომბებისაც ეშინოდა და მეგობრების გაციხვისაც.

მარლენი: შენა და, ომში რომ წავიდეთ, არ ჯობია?  
დავარი: კი. ჯარისკაცი ჯვინი.

და ამ დროს დაიწყო მარლენის ქუჩის ისტორიული ევაკუაცია. ტალღა ავლავარში აგორებულა, სადაც დეიდა ქნარკამ მარინას უთხრა, ბაბიკამ მითხრა, ცვეტში ვიცი, ოც წუთში რეზიდენციას დაბომბავენო, და — ეჰა!

მარინა: მალვინა, იმ როზვი ალუმინოვი ჯამიკი ოვა?  
ქნარკა - ბაბიკას: ტი ტაკ ნა ულიცე პოიდემ? ხურუშინა!

ავლაბარმა იხუვლა და გაიქცა ხარფუში — ეტყობა, იმას ბომბდამშენი ვერ მინვდებოდა, ან შელოცვილი იყო, კაცმა არ იცის. ხარფუხიდან ვილაცამ ვილაცას დაურეკა და შარდენის ქუჩის მთელი ფრიკ-პოუ აღელდა: გვბომბავენ! რას ესვრიან პირველ რიგში? ცხადია, შარდენის ქუჩას! თავს ჰკვეთენ ქართველ ერს, უსპობენ ელიტას! — და იხუვლეს. მარლენი, ობივატელი და დავარი იმედით შესცქეროდნენ დაცარიელებულ ქვაფენილს, ეგებ ვინმეს ფეხსაცმელი მაინც გაძვრო, მაგრამ არა...

თავისუფლების მოედანს მანქანები წრეებს ურტყამდნენ, ფანჯრიდან ქალები ნელამდე გამოჩრილიყვნენ, ქართული ფეტიში — სილიკონის ველი, ხელში — დროშა. ყველა ღრიალებდა, ოღონდ რას — უფალმა უწყიათ. ფაქტია, რომ რაღაცა ძალიან უხაროდია.

ამ სამს კი არ უხაროდა, არაფერი. განსაკუთრებით, მეორე დღეს.

sms მიმონერა:

ობივატელი: დღეს წავალ ხელნაწერთა მუზეუმში და ჩემი დაბადების მონობის ასლს გადავადებინებ. როცა მესამე ღონე აიღენდს შევუკვეთავ ხოლმე, მაჩვენე, ეგებ აზრზე მომიყვანოს. ქუჩაში რომ მოვდივარ, ხალხი თვალს მარიდებს და ვუხსნი, რომ ეს სახეა, ტრაკი არაა, მაცვია, მაგრამ არ სჯერათ...  
მარლენი: დედაჩემმა კარი რომ გამიღო, არა მაქვს ხურდაო, და მიმიკეტა. მეზობლის ნაგაზს დავაჯექი და გავტეხე, ასკოჩილი დადის. ახლა დედა ტირის, შვილი დამიბრუნეთო, მიძახის, მე აქ ვარ, და ვერ მცნობს!  
დავარი: ამ ომის ამბავში ევროპაში მაგრა გავხიტიდით და მადამ ტიუსოს მუზეუმში მახინჯების გამოფენას აწყობენ. მზია, ზეზვა და ჩვენი ვიქნებით. ერის სახე.

მოდოდა წერილები, ძალიან ბევრი, დაახლოებით, ასეთი:

9.08.2008. 11:40  
თუ თბილისს დაბომბავენ, არ შეგეშინდეს, ეს მაგათი სისუსტის და ნარუმატებლობის ბრალია, მე ეგ აფხაზეთიდან ვიცი, დაბომბავენ "ობიექტებს", მოიფიქრეთ, ეგ რა შეიძლება იყოს (თავი შორს გეჭიროთ), მეტრო საუკეთესო თავი ესაფარია, გერმანელები ინგლისს თვეობით ბომბავდნენ, ლონდონელები მინისქვეშეთმა გადაარჩინა. თან გქონდეს ზურგჩანთა მედიკამენტებით, წყლით, საჭმლით (აურეი ქიშიში, M&M და არაქისი ან სხვა თხილი, 2 კილო რამდენიმე დღე გყოფა). პანიკაში არ ჩაყარდე, ფხიზელი თვალთ შეაფასე ყველაფერი. ნუ გეშინია... ჩემთან კავშირი არ განწყვიტო... ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასეთ წერილს მოგწერდი... წარმატებებს გისურვებ.

მარლენი, დავარი და ობივატელი ზურგჩანთებს არ ალაგებდნენ. მათ დაასკვნეს, რომ — საბჭოეთის შვილებო, მოგიკვდეთ ჩემი თავი, რატომ უნდა გცოდნოდეთ რუსი მხვერავების დევიზი? Nài è nì àidūyī í áí àn àidū, à í àí í é í à í è í àidū! მაგრამ რა გინდა, გამოდგა. ისხდნენ ხოლმე ღამ-ღამობით, გვრიტებივით, და თავიანთ წყალნაღებულ სვე-ბედს მისტიროდნენ, ტოტალურ უმუშევრობას, ოცნებების

სიკვდილს და ჩარეცხილ პირად ცხოვრებას.  
ყველაზე ქუდბედიანი მარლენი აღმოჩნდა. მისი, დავარის თქმით, გულის კოკორი, მეტ-ნაკლები წარმატებით ფუნქციონირებდა. მართალია, წინააღმდეგობა გაიქცა: თელავი, კახი, ნუხი, ზაქათალი, ბელაქანი, ბაქო, და სამეულმა ის ერთსულოვნად შერაცხა თხლედ და ერის მოლაღატედ. დავარის დიდი სიყვარული წარმოუდგენელი გზებით სტამბულისკენ დაიძრა — ქვეშაფისა და ფუჭი, თან თავის დიდ სიყვარულთან შესახვედრად, და დავარს უთხრა, მარშრუტკამდე ხომ მიმაცილებო? ობივატელი გულით ლოცულობდა, მამულიშვილი რუსის ჯარს ჩავარდნოდა ხელში და ის ექნათ, რაც ომის წესია, მაგრამ მაინც ჩააღწია, უბადრუკმა. თავად ობივატელს კი ისეთი სჭირდა, მარლენი და დავარიც კი ვერაფერს ამბობდნენ: ღრმად მორწმუნე გულის სწორმა მოახსენა, რომ ომია — ევრიკა! რომ უნდა, ოღონდ არ უნდა, ოღონდ კი, და შეხედება, ოღონდ არა, და ჰო, არა, რა...  
ობივატელი: რა ქალიშვილივით იქცევა, ჰა?  
მარლენი: ომია, დე...  
ომი იყო. უმუშევრად დარჩენილი ჩემი ხეიბარი სამეული გულმოდგინედ მუშაობდა. ობივატელი წერდა სტატიებს, რომელთა ნამკითხველი ვინმე ბოხუმელი ფრაუ ვარტმანი სისხლიან ცრემლებს აღვარდვარებდა და გულში უფრო მაგრად იკრავდა თავის პირმშოს, ჰელმუტს — რად უნდა მომკვდარიყო რაღაც საშინელი Tzchinwawli-ს მისადგომებთან? მარლენმა თავისი სამამაუ გარდერობი მთლიანად დევნილებს გადაულოცა და მეტისმეტი მოუვიდა, მერე ობივატელს უთხრა, ყაქტი რომ გაჩუქე, რამდენ ხანს უნდა ატარო, დამიბრუნეო. დავარი უცხოელ ჟურნალისტებს საავადმყოფოებში დაჰყვებოდა მარლენმა და ობივატელმა სასტიკად აუკრძალეს საღამოობით ამბების მოყოლა — მეტისმეტი იყო. აღმოჩნდა, რომ ეს ოდესღაც პაციფისტი სასტავი სისხლისმემკვლეების ჯგუფი იყო: ითხოვდნენ პოგრომებს, გადაწვას, რას აღარა...  
მარლენი: შენ მაინც არავინ გამოგებს, დე, და სადმე სპიდი რომ აიკიდო, ჰა? დატრიალდები ჯარისკაცებში და ბიოლოგიური იარაღი იქნები...

ოცნება:  
ობივატელი, რომელიც კარმიული გაუგებრობის გამო ხუთი პრეზიდენტის თავშეყრის დღეს პარლამენტის შენობის კიბეზე აღმოჩნდა: გამოვიდა კაჩინსკი და დაცვის ბიჭები... აუ, ბიჭები! აი, მხრები, აი, ტრაკი, ყურში რაღაცა, ასე — იარაღი, ან რას მოძრაობდნენ...  
დავარი: ხელი მოკიდე?  
ობივატელი: რანაირად?  
დავარი: რაა, რო?  
ობივატელი: რა მეთქვა, რას ვეპოტინებოდი? მესამე მსოფლიო ომი დაიწყებოდა!

მარლენი, აქამდე დადუმებული, მეოცნებე სახით: მე ხომ ვიცი, ჰუმანიტარული დახმარება როგორ ჩამოაქეთ — დადგება დიდი ტრაილერი, ჩვენც იქ ვიქნებით. ტკლაც, ტკლაც, ძარას გააღებენ და ჩვენ რომ გვეგონება, პამპერსებიაო, გადმოვლენ და გადმოვლენ კაჩინსკის ბიჭები, მაღალ-მაღლები, ღამაზები... ფორმები, იარაღი... უჰ!

კვლავ წერილებიდან:  
19.08.2008, 16:59  
...როგორც ძველ დროს — ლოცვას ვაკეთებ საქართველოს, ჩემი დებილური სიურეალური საყვარელ ქვეყანას, შენს და შენი ისტორიების და პერსონაჟების. აუ, ბლინ, მე ვამბობ რო ქართველი ვარ, თუ კითხიან, სადაური ვარ.  
...მე როგორც დებილი ძაღლი, ვისიც პატრონი მაღაზიაში წავიდა — არ შემიზლია, ვგვაყვარ და წრეებს ვარტყამ...

ობივატელი მოჰყვა, რომ ოდესღაც, უხსოვარ დროს, როცა მარლენი მაგიდის ქვეშ დააგელებდა სამზორბლიან ველოსიპედს, არსებობდა მესამე ხეობა, სადაც



ზღვის ფსკერზე პატარა, შავი, დაბრეცილი მარგალიტები იყო და ერთი ყვითელთვალეა არსებდა დადიოდა, სახელად მიაუ. და მიაუ ყლაპავდა ამ მარგალიტებს და ამბობდა, კლემატრა იმიტომ იყო ღამაზი, რომ მარგალიტებს ყლაპავდაო. და მიაუ და ობივატელი შეთანხმებულან, რომ არასოდეს მოკვდებოდნენ, იმიტომ, რომ ცხოვრება ძალიან კარგია, განსაკუთრებით, მესამე ხეობაში, და მერე კი თქვეს, რომ მიაუ ხეობისთვის ბრძოლაში მოკლეს, მაგრამ ეს სულ ტყუილია. და ობივატელმა თქვა, რომ წავა იმ ხეობაში და დაჯდება, და მერე მიაუ მიაუ და ეტყვის: ვაჰ, როგორ დაბრეზულხარ!? და ობივატელი ეტყვის: ეჰჰჰჰ, მიაუ!

მარლენი: ეჰჰჰჰ, დე! გონს მოდი! რა მესამე ხეობა?  
რა მესამე ხეობა!  
გონს მოდი! გამოდი გარეთ, ობივატელი!

ნახე, როგორ გვიხარია!  
ტაში!  
ყველგან რუსული პოპი ჟღერს: Ì ù ñ òí áí é òáí àdú óáé í á í àdà, í á í àdà!

ტაში!  
ჩვენი ბიჭები „ბალტიკას“ „ს გორლიშკა“ სვამენ და ყვირიან: საქართველოს გაუმარჯოს!  
ტაში!  
კოდორის ხეობაში დროშები ფრიალებს, ჩვენი არა, მაგრამ მაინც!

ტაში!  
რუსებმა თბილისი არ აიღეს და გადავრჩით სევერის ტბასა და კასპის ზღვაზე დასვენებას!  
ტაში!  
ეს დევნილები ჩვენ არ ვართ!  
ტაში!  
ჩვენ არ მოგვკლეს!

ტაში!  
ყველამ გაიგო, რომ რუსები ცუდები ყოფილან, ჩვენ — კარგები!  
ტაში!  
მომავალ წელს ისევ მოვიგებთ იურმალაში!  
ტაში!  
მერე რა, რომ ქვეყანაში ლუბრიკანტის დეფიციტი იგრძნობა — ჩვენ მაინც ვხარობთ!

ტაში!  
...  
ცუდ სიზმარს ვხედავ, ძალიან ცუდს. იმაზე უარესს, დავარს რომ თეთრწინდებიანი პუტინი და მადონა ესიზმრნენ. ისეთებს ვხედავ, რომ გავიღვიძებ, ექიმს უნდა ვეჩვენო. აჰა, ა, ახლა ეს ნორმაა? ჯაჭვი დგას, ჯაჭვი — ტრანსვესტიტები, და გულზე აწერიათ: I Am Georgia. გესმით, რას ყვირიან? გვფარავდეს წმინდა პროხორ მუხოსრანსკელი! აჰა, ა, ნახეთ, რა დღეში ვარ! ჯაჭვი ერთხმად ლოცულობს და მერე მიკროფონში აცხადებენ: მეტანია, მეტანია, მეტანია!

ვაი, დედა!  
და ტაში!  
ვითომ, ნორმალურია ასეთი სიზმრები? ნეტა, გამეღვიძებ?  
P.S. ამბის დასაწყისისთვის ძალიან მაძლობელი ვარ ჩემი საყვარელი მწერლის, ო'ჰენრისა. დიდ მაძლობას ვუხდი მწერალ მაკა მიქელაძეს და ბოდიში, ჩემო მაკა, რომ შენი ოსტატობა ცოტა ბოროტად გამოვიყენე. რა ვქნა, ომია. თან ამ ომის დროს როგორ ამეხსნა, რომ ჩემი ერთი პერსონაჟი ბისექსუალია, ერთი — ჰომოსექსუალი და ერთიც — ნატურალი. მთავარია, რომ სამივენი ბედკრული საქართველოს შვილები არიან.

უფრო სწორად, იყვნენ. ისინი ხომ მოკლეს.

# აზერბაიჯანული გადათქმა



1. ამასაც, ეს კლდე რო არი, ჟამი ჩამოშლის მყოვარი. მეშინის, უცხო თემს მოვკვდე, სატრფო დამირჩეს მგლოვარი.

2. დარდისგან განახლები, ცრემლების ღვარში ვეველები, თქვენ გაიხარეთ, ჩიტებო, თქვენია ტყე და ველები.

3. შტერივით დავეხებები, ძაფივით კოჭზე ვეხვევი, ამ უცხო თემში უცხო ვარ, შიშის დანაზე ვეხვევი.

4. ვლეს გზანი, ნაგზაურები, ხელთა აქეთ გოზაურები, გაუღეთ ციხის კარები, დაბრუნდნენ მოგზაურები.

5. ვარ დარდით თვალის მფახველი, ზღვათოდენ ჭირის მნახველი, ვაჟკაცი ომში მოკვდება, ქვეყნადა რჩება სახელი.

6. ბედისგან წილი მეყარა, ეს დარდი შემომეყარა, არაკაცს სიტყვა გავანდე, ამიყაყანა ქვეყანა.

7. გულით განა ავი ვარ მე, ჯომარდებში თავი ვარ მე, ნამარდების შარ-ბოროტი სიცოცხლე კი გავიარე.

8. საქმეა ესევითარი, ბალი მაქვს ხილით მდიდარი; კარგ ცხენზე მჯდომი ვაჟკაცი იმ ცხენის იმედით არი.

9. თუ ღვთისაც არი იქ ნება, ტოტი ხილისგან იქნება. შვილი ვაჟკაცი კაცისა მისებრ ვაჟკაცი იქნება.

10. მტრისა ვერდამმარცხებული, ლუკმისა შხამში მნებელი, - დაუნქი, ძილმა წამილო, არვინ მყავს გამღვიძებელი.

11. გულო, ვარდი რგე სადმე, თავი იჩნიე რადმე. შენ გაიცინე, მეც აგყევი, - სად სიცილი და სად - მე!?

12. შენზე ფიქრმა გული მშაშრა, შენთვის ვტირი, სხვა ვქნა მამ, რა; შორით გიხმობ, გამოგძახო, ჩემი ცოდვით მტკვარი დაშრა.

13. ზედამც მეყარნეს ქვიშანი, შუბლზე მძევს შავი ნიშანი, შეყვარებულთან მივდივარ ხელცარიელი, პირშავი.

14. მორცხვი ვარ, ჯერედ ქალწული, ლამაზად ნანანავდანწული, ჯერ არც ქალი ვარ, არც რძალი, გული მაქვს ცეცხლით ლანძული.

15. მთის კალთა მშვენობს ამ ბალით, შიგ მოფენილი ზამბახით. ცოდო ვარ, ცოდო, საფლავეში რო ჩამდონ გულზე ამ დალით.

16. დამწვა ლამაზმა ქალმანა, იმისი ეშხის აღმანა, ცეცხლის აღს თავს არ მიუშვეს ჩემებრ არცერთი ფარვანა.

16. ამ ქვეყნად ნახეთ, ვინ არი, ან რანაირად მჩინარი: მტირალი უფრო ბევრია, ვიდრე ლალი და მცინარი.

17. მთა, ნათეთრები თოვითა, მარტმა მოჩითა მოვითა. მტერმა შავს დღეში მომისწრო, სიცილ-სიცილით მოვიდა.

18. მონად არ მიმცეთ ხაზარსა, გამყიდის ტყვეთა ხაზარსა, მანამდე ჩამდეთ საფლავეში, საქმეს მაცალეთ საზარსა.

19. მთა-თოვლით შემომიჯნული, გზა არ ჩანს გამონიჭბული. ნახეთ, რა დღეში ჩავვარდი, უცხოზე მყიდის მიჯნური.

20. უეცარმა, უცაბედმა, გულს ლახვარი მტუცა ბედმა. რომელ წყალშიც ბადე ვაგდე, დაჭრა, დამიკუნა ბედმა.

21. უცხო თემში ასე ვწვალობ, არვინა მყავს, ვმარტოცალობ, ვით ბუღბული გალიაში, ხანა ვტირი, ხანა ვგალობ.

22. მთაში ვარ, ჩემთვის, მწუხარი, მინთია ბოდმის ბუხარი, დარდებით სავსე ქვაბი ვარ - მდულარი, გადმომდულარი.

23. ქალი მიყვარდა ქალადა, მან არ ჩამაგდო ჩალადა, ყისმათი ესა მქონია, დავრჩენილიყავ ცალადა.



24. გულით ალალი კი ვარ მე, მაგრამ შენ რაზე მიარმე, ბედო, შენს სატუსალოში მხარგაკრული რო ვზივარ მე.

25. ზღვა არი თევზის მშობელი, გამზრდელი, ცხოველმყოფელი, უდროო ქარმა დაგვქროლა, დაგვიმხო ობა-სოფელი.

26. არაკაცისგან რას ველი, იმის ხელიდან ქვას ველი, მიჩივის ჩემი ბალიში, ჩემი ცრემლებით მთლად სველი.

27. ბიჭო, სხვა გითხრა რალა-რა, ეს გული სევდამ დაღარა, არ გავთხოვდები ქვირე კაცზე, წვერ-ულვაში აქვს ჭალარა.

28. მზეზე თოვლს გააქვს კაშკაში, ბაღში დგას ყვავთა ყარყაში, გალიის ბუღბულსა ვგვევარ - მიმინოების ალყაში.

29. მოჩანან, როსმე საღები, ბაღები, ხილით ლაღები, ნაუყვანიათ მებაღე, დამხმარან სავსე ბაღები.

30. საწყლის საქმე, რალა მე ვთქვა, თუ რამდენჯერ ბედმა თეთქვა, ის რო წვიმას ელოდება, ციდან მოუცვივა სეტყვა.

31. ვინც ხართ განგების გამგები, - ეგა გყავს წესის ამგები, უცხო რამ უვის ფრინველი, ფოლადისა აქვს ჭანგები.

32. გულს დარდი არ დამეტია, ზღვასაგან გარდამეტია, ყველას თავისი დარდი სჭირს, ჩემი - სხვით გარდამეტია.

33. ამანა მწვა, იმან მდაგა, გულმა ეგრე მიქადაგა, გავიხადე, წყალში ჩავჯექე, წყალმა კიდევ ცალკე მდაგა.

34. ეს შხამი რალად შამასვი, გულს დარდი დაღად დამასვი, ცაო, ეგ თალი დაგექცეს, ნოქარი აღად დამასვი.

35. გული დარდით გამეხასრა, აღარ ვიცი, ვუყო თავს რა, აზრალი თავზე მადგას, მისაცემი არა მაქვს-რა.

36. ბალახია ნამიანი, ენა ნუ გაქვს შხამიანი. ობოლი ვარ, რად დამცინი მე, უმამოს, მამიანი.

37. პერანგი მცვავე პანანინა, მიჯნურთანამც დამანვინა! ორივენი ერთ დღეს მოვკვდე, ერთ საფლავეშიც ჩავგანვინა.

38. მიჯნური დავალ ირაოდ, ვის გინდათ, დამიქირავოთ, - საყვარლის გამოსახსნელად ამ ჩემ თავს ჩავდებ გირაოდ.

39. ქარ-წვიმაში და დელგმაში, იძვრის, ირხევა ლელქაში. ჩემ სატრფოს შემახვედრევი, ჩემზე მოაგდეთ ფეშქაში.

40. ამ ველ-მინდორს მთა დაჰყურებს, დილ-დილობით ნამს აპკურებს, ერთი მშრალი სიტყვის გამო მიჯნურს არვინ მოიმდურებს.

41. ტრფილის მადლმა იარა, მიჯნური შეაზიარა. უნაკლო ტრფობა მინახავს, უნაკლო ლამაზი - არა.

42. ნეტავი რა იაღლოვა, მისი სიტყვა მეუცხოვა, ვუთხარ: „ერთხელ მაკოცინინე!“, მან მუქაფად სული მთხოვა.

43. მოიმაგე ფეხზე ბანდი, ქურჩა მოვლე, ქურჩაბანდი. ვინც მაგ ბაგის გემო იცის, რალად უნდა შაქარ-ყანდი.

44. აფსუს, მეჯნუნი ურვილი, ლეილის დარდით ბურვილი! ბიჭის ყაიდა-წესია, გოგოს აღუძრას სურვილი.

45. რო მოჩანს ლამაზი არე, ის არე გადმოიარე, არამც ფეხები გეტკინოს, ამ ჩემ გულ-მკერდზე იარე.

46. ქალი ვარ მართლა ქალური, ლამაზი, სახემთვარული, ძალიან მომწონს ვაჟკაცი, ქალებთან მორცხვი, კრძალული.

47. ვარ ვარდის მლოცველ-მოსავი, მისი მეტრფე და მგოსანი. შენმა ტრფილმა მომლუნა ვარდმოსხმულ ვარდის შტოსავით.

48. ნუ დახვალ პირით მქისეთი, არ გინდა „ასეთ-ისეთი“, ქვეყნად ბევრია ლამაზი, შენ აირჩიე „ის, ერთი!“

49. არახინი ვის უხდება, გული ვისგან მიწუხდება? სატრფოს ხმას რომ გავიგონებ, ხელად სისხლი მიდულდება.

50. მოგინატრებ და მშვიდები, მკლავს შენთა წარბთა მშვილდები, რომელი ბალის ვარდი ხარ, არც ჭკნები, არცა ყვითლდები.

— ბატონო ჭაბუა, თქვენ რთული და მღელვარე ცხოვრება გამოიარეთ - პოლიტიკატიმრობა, ციხეები, ბანაკები, გაქცევა, ისევ ციხე-ბანაკები... პროფესია და ხელობაც ბევრი გამოიცვალეთ. საინტერესოა, როდის შეამჩნიეთ, რომ თქვენ სულში მწერალი მნიშვნელობა, მომავალი დიდი ნაწარმოებების ავტორი?

— ბოდიშს გიხდით, უნდა შეგისწოროთ, „გაქცევა“ კი არაა გაქცევები — რამდენიმე წარმატებული — სამი, რამოდენიმე წარუმატებელი, ანუ კიდევ სამჯერ ზონას კი თავი დავაღწიე, მაგრამ ან იმ დღესვე, ან ცოტა ხანში, კვლავ ბანაკებში ამოვყავი თავი. იცით რა?.. ჩემი სიცოცხლის სატრაბახო თავისებურებაც სწორედ ეს მიმართა და არა პროზასა და პუბლიცისტიკაში გამოვლენილი შესაძლებლობები.

ახლა კი თქვენი შეკითხვის პასუხად მოგახსენებთ. შორეულ წარსულში გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ნაცვლად უკვე განახლებულ საქართველოში ახალგაზრდული გაზეთი რომ დაარსდა, რედაქციის თანამშრომელმა ინტერვიუს დანყებად ჩემდა გასაკვირად, გადმოცა ქალაქის ფურცელი, რომელზეც ცალი მხრიდან ჩემს მიერ ადრეულ ბავშვობაში დაწერილი ლექსი იყო, ხოლო მეორე მხარეზე ბებიამ სოფიო დადიანი-ნაკაშიძის ხელით დაწერილი ასეთი ტექსტი, — „ეს ლექსი ჭაბუკამ დაწერა რვა წლისამ“ — ძალიან გამიკვირდა, რადგან ის კი მახსოვდა, რომ ლექსს ბავშვობიდანვე „ვეჯავჯავებოდი“, მაგრამ რედაქციის მიერ გადმოცემული ლექსისა აღარაფერი მახსოვდა. ალბათ გასაგებია, რომ ეს ლექსი, რომელიც ჩემს არქივში დღესაც არსებობს, იმისთვის ვახსენე, რომ ჩემი მიდრეკილება მომეხსენებინა თქვენთვის.

და კიდევ ერთი შემთხვევა, რამაც თორმეტი თუ თოთხმეტი წლის ასაკში მაფიქრებინა, რომ ჩემი მომავალი მწერლობა იყო.

საიდანღაც შინ ვბრუნდებოდი. მაშინ ნინოშვილის ქუჩაზე (56) საკუთარ სახლში ვცხოვრობდით. ეზოში დიდი კაკალი იყო, რომელიც ვფიქრობ, ახლაც ცოცხალია. კაკალქვეშ მაგია და მოგძობ სკამი იდგა. სკამზე ჩემი და — როდამ ამირეჯიბი და მისი თანაკურსელი მეგობარი ლალი ივანეს ძე ჯავახიშვილი რალაცას ჩაჰკირკიტებდნენ. მივედი, ლალის მივესალმე და დავინახე, რომ მათი ცნობისმოყვარეობის საგანი ჩემი რვეული გახლდათ. რვეული, სადაც მოთხრობების წერას ვლამობდი. და კარგა ბოლომდე სავსე იყო ის საერთო რვეული ჩემი ნაწერებით.

ლალიმ მითხრა, — ბიჭო, შენ მწერალი ყოფილხარ, რაც წავიკითხე, ძალიან მომეწონაო.

ალბათ საკმარისი პასუხია იმაზე, თუ როდის შევამჩნიე, რომ „ჩემს სულში მწერალი მნიშვნელობა“. ამაზე არ შევჩერებულვარ — ვწერდი მაშინაც, როცა ამირეჯიბის ელექტროტექნიკუმის სტუდენტი ვიყავი, ლიტერატურაზე ვფიქრობდი მაშინაც, როცა პატიმრობის ვადებს ვიხდიდი და როცა განთავისუფლებისა და თბილისში დაბრუნების შემდეგაც, ვანვალეზბდი კალამს, მაგრამ დიდ მწერლობაზე არასოდეს მიფიქრია და გამოგიტყდებით, არც ახლა მიმართა თავი დიდ მწერალად.

— მწერალი წერს იმას, რაც იცის, რაც თავს გადახდენია, ან სხვისგან უსწავლია. ეს გასაგებია, მაგრამ წერის ტექნიკა, ოსტატობა? ამის მზამზარეული რეცეპტი ხომ არ არსებობს. როდის და როგორ გამოიმუშავებთ თხრობის სტილს, მანერას, კომპოზიციის გრძნობას?

— უნდა მოგახსენოთ, რომ სულ ადრეულ ბავშვობაში, ექვსიოდე წლისა, გამაბარეს, ანუ გამოსასწორებლად მიმაბარეს, ვფიქრობ არაფერს გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, ქალბატონ მელანია მექმარი-აშვილ-გველესიანისას, უგანათლებულეს პიროვნებას და საუკეთესო ადამიანური თვისებების მქონე პედაგოგს.

ამ ქალმა, არამცთუ ჩემი ჭინჭყლი, ჭირვეული ხასიათის გამოსწორება შესძლო, არამედ იმ ორ წელიწადში, რაც მე მისგან აღზრდის გავლენას განვიცდიდი, ლექსისა და პროზის, მათ შორის ხალხური ზეპირსიტყვიერების, სიყვარული ჩამინერგა.



### ჭაბუა ამირეჯიბი: „ნაბისმიერი ადამიანის ცხოვრება ერთი დიდი წიგნია“

ვფიქრობ იქიდანვე დავიწყე თხრობის სტილის, მანერისა და კომპოზიციის ჩხიბვა, არამარტო ლიტერატურულ ნაწარმოებებში, არამედ ადამიანის ფსიქიკასა და საქციელის ბუნებაშიც. შემდგომმა ჩემმა უკუღმართმა თუ არ ვიცი, იქნება, სულაც წაღმართმა ყოფიერებამ მდიდარი ცოდნა მომცა ყველაფრისა, რასაც ადამიანი, ხელოვნება და ლიტერატურათმცოდნეობა ჰქვია, ანუ ჩემში მჩხიბავი, მაძებარი, მანაწილბუნებელი და დასკვნების გამომტანი ჩამოყალიბდა.

ვფიქრობ, პასუხი თქვენს კითხვაზე გაცემულია.

— როდესაც „დათა თუთაშხია“ დაასრულეთ და „ცისკრის“ რედაქციაში მიიტანეთ, თუ წარმოიდგენდით, რომ ასე იტანად დაიბეჭდებოდა და, თანაც, ასეთ აღიარებას მოგიტანდა?

— უნდა აღვნიშნო, რომ ამ ინტერვიუში ჩემი პასუხები სხვა დროს უკვე ნათქვამი და გამოქვეყნებულიც არის, მაგრამ რა გაენწყობა, თავს ვანუგეშებ იმით, რომ ეს პასუხები ერთობ დიდი ხნის არის და შესაძლოა, მკითხველი არ იცნობს, ან იმ დროს ახალგაზრდა იყო და ასაკის გამო ნაუკითხავი დარჩა.

დიახ, მივითხანე მანქანით ნაბეჭდი უზარმაზარი ტომი და „ცისკრის“ მაშინდელ მთავარ რედაქტორს, ჯანსუღ ჩარკვიანს დავუდეე მაგიდაზე, ვთქვი, — ჯანსუღ, გენაცვალე, დღევანდელი მთავრობის ხე-გნა, ვიცი ამას ვერ დაბეჭდავთ, წყენა არავითარი არ მექნება, მაგრამ იქნება ცნობისმოყვარეობამ გძლიოთ, რომელიმე თქვენგანს და ნაიკითხეთ. წიგნი, რომელიც თხუთმეტი-ოცი წლის შემდეგ ყურადღების ღირსი უთუოდ გახდება.

ნამოვდები და ორიოდ კვირის შემდეგ ნეტარხსენებულმა გივი გეგეჭკორმა დამირეკა (მაშინ მაშიდაჩემ ცაცა ამირეჯიბის ბინაში ვცხოვრობდი, ტელეფონი მქონდა) და რედაქციაში მისვლა მთხოვა. მივედი და აღმოჩნდა, რომ არამცთუ რედაქციის ყველა თანამშრომელს ჰქონდა ნაკითხული, არამედ დაბეჭდვასაც აპირ-

ებდნენ. ერთადერთი შენიშვნა მითხრა ტარიელ ჭანტურიამ ციხის ეპიზოდის რამდენადმე შემცირება მთხოვა. შევამცირე და დაიწყეს ბეჭდვა.

„ცისკრის“ ორ ნომერში დაიწყო რომანის ბეჭდვა, მაგრამ იქვე შეწყდა „მთავლიტის“, ანუ კაცობრიობის ისტორიაში უსაზიზღრესი ცენზურის მითითებით.

ამ დროისთვის წიგნის ასლები გავრცელებული იყო. მახსოვს, თენგიზ ბუაჩიძემ მითხრა, — მე და ოთარ ქინქლაძე შევარდნაძეს მივეცვებით დასასვენებელ სახლში. ალბათ გაქვს ეგზემპლარი, გაგვატანე, ნავაკითხებთო. გავატანე, ნაკითხეს — დაბრუნებისთანავე ბატონმა ედუარდმა ცკ-ს ბიუროს სხდომა მოიწვია დღის წესრიგით, — „უფრანლ ცისკრის მუშაობის შესახებ“. ბიურომ რედაქციის მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია და ბეჭდვა განახლდა.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ „დათა თუთაშხია“ ჯანსუღ ჩარკვიანმა და ედუარდ შევარდნაძემ მიუტანეს ქართველ და არაქართველ მკითხველს.

იმ აკრძალვა-განახლებას მრავალი სხვა ეპიზოდიც ახლდა, რომლის ნაწილი დავინყებელი მაქვს სიბერის გამო და ნაწილიც დღესდღეობით ინტერესს მოკლებულია, ამიტომ თავს შევიკავებ, აღარას დავუმატებ.

— როგორ ფიქრობთ, მაინც რა არის „დათა თუთაშხიას“ ასეთი პოპულარობის მიზეზი, ასერიგად რატომ „გახალხურდა“ ეს ნაწარმოები, ამ საქმეში თავისი როლი წიგნის ჩინებულმა კინოვერსიამაც ხომ არ ითამაშა?

— დამეთანხმებით ალბათ, რომ „დათა თუთაშხია“ კინოვერსიამდე „გახალხურდა“, მაგრამ ფილმმა რა თქმა უნდა თავისი როლი შეასრულა, წიგნმა რომ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია.

— მწერალი საბოლოოდ მაინც ერთ წიგნს წერს, მთელი ცხოვრება ერთ დიდ წიგნს ჩაჰკირკიტებს. თქვენი რომანები თითქოს არ ჰგვანან, არ იმეორებენ ერთ-

მანეთს, მაგრამ მათში მაინც შეიმჩნევა რალაც უხილავი კავშირი. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ „დათა თუთაშხია“, „გორა მბორგალი“ და „გიორგი ბრწყინვალე“ ერთი დიდი წიგნის სამი სხვადასხვა ნაწილია?

— მგონია, ნებისმიერი, თუნდ საზოგადოებრივად ნაკლებმნიშვნელოვანი ადამიანის ცხოვრება ერთი დიდი წიგნია. ეს წიგნები ერთმანეთისგან იმით შეიძლება განსხვავდებოდეს, თუ როგორი იყო ადამიანის ცხოვრება. შეიცავდა თუ არა იგი მწერლისთვის საყურადღებო ეპიზოდებსა და დეტალებს. თქვენ უკვე გაიზარეთ ჩემი შეხედულება, რომ „მწერალი წერს იმას, რაც იცის, რაც თავს გადახდენია, ან სხვისგან უსწავლია“. ჩემი წიგნები მართლაც სხვადასხვა სტილში გადწყვეტილ პრობლემატიკას შეიცავენ და დაგეთანხმებით იმაში, რომ მათი ერთობლიობა, თქვენი თქმისა არ იყო „უხილავი კავშირით“ ერთიანდება ერთ დიდ წიგნად. ამაში ცუდსა თუ გამონაკლისს ვერაფერს ვხედავ. სხვა მწერლების თხზულებებიც ამგვარ ერთობლიობას არ წარმოადგენენ?..

— ყველა თქვენს ნაწარმოებს ფარული თუ აშკარა ავტობიოგრაფიულობის ნიშანი აზის, მისი კვალი ამჩნევია. რა წილი უდევს, საერთოდ, ავტობიოგრაფიას მწერლის შემოქმედებაში და რამდენად განსაზღვრავს მას?

— თუ ბიოგრაფიას განვიხილავთ როგორც ცხოვრებისეული და ლიტერატურული გამოცდილების წყაროს, ანუ იმ ფაქტორად, რომელმაც ავტორის თხზულებებში უნდა მიიღოს ასახვა და სხვაგვარად, მდიდარი, ბიოგრაფიის გარეშე, ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ნაწარმოები ვერ შეიქმნება, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მწერლის შემოქმედებით მნიშვნელოვნობას სწორედ ცხოვრებისეული გამოცდილება განსაზღვრავს.

— ახლახანს საპატრიარქოს უმაღლესი ჯილდო მოგენიჭათ. დამსახურებული პატივი და აღიარება არც აქამდე გკლებიათ. როგორ მიგაჩნიათ, მაინც რა არის მწერლისთვის ყველაზე დიდი ჯილდო?

— მკითხველის რაოდენობა, სხვა ენებზე გამოცემული თარგმანები, კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიერ აღიარება და, რაც მთავარია, წიგნის სიცოცხლის ხანგრძლივობა. აგერ, ვეფხისტყაოსანი რვა საუკუნეა ინტერესის საგანს წარმოადგენს, მას არც მკვლევარი მოაკლო დრომ და ვერც მკითხველი. ამაზე დიდი ჯილდო წარმოსადგენია?

— რას ურჩევდა XX საუკუნის დიდი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი XXI საუკუნის ახალგაზრდა ლიტერატორებს?

— უპირველესად ყოვლისა ის უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს თავს „XX საუკუნის დიდ მწერლად“ არ ვთვლი. მწერალი ვარ და მორჩა, საკმარისი ღირსებაა. ახალგაზრდა ლიტერატორებს კი უფრჩევდი ცხოვრების შინაარსის ჩხიბვა, კვლევა ინსანვლონ და გამოტანა იმ დასკვნებით ანუ ასე მიღებული გამოცდილებით იხელმძღვანელონ ღმრთივ ბოძებული ნიჭის გამოყენებაში.

— ბატონო ჭაბუა, აგერ უკვე ოთხმოცდამეორე წელში ხართ გადამდგარი, შესაძლოა ჯანი ისე ვეღარ მოგდევთ, მაგრამ ღვთის მაღლით, მეხსიერებას და გონებას არ უჩივით. ერთიცაა, თქვენი სულიერი წყობის კაცი უქმად ვერ მოცდება, თქვენი უპირველესი მოწოდება კი — მწერლობაა. იქნებ გავვიმხილოთ, რას წერთ, რაზე მუშაობთ ამჟამად?

— თქვენს კითხვაში მოყვანილ ყველა შეფასებას ვეთანხმები, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა ვიკითხო, - ჩემი ასაკისა და ჯანმრთელობის პატრონს ვინმეს ღირებული რამ თუ შეუქმნია? ოთხმოცდამეორე წლისას ახალგაზრდობაში დაძლეული ამოცანების განმეორებას ჩემგან აღარავინ უნდა მოელოდეს, მაგრამ თქვენი თქმისა არ იყო, ქალაქსა და კალამს ვერა და ვერ შევვლიე, რალაცას ვცოდვილობ, მაგრამ ვიცი, რომ წარსულ გამარჯვებათა აჩრდილიც კი ვეღარ განმეორდება.

ულრმეს მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისთვის.

ესაუბრა შჩა შირაზადიშვილი

აკითხვალი



ბატონო ბაჩა, უკვე მრავალი წელია, განსაკუთრებით კი ბოლო ხანს, თქვენი საქმიანობიდან გამომდინარე, უშუალო შეხება გაქვთ ლიტერატურასთან. გვიამბეთ თქვენს ურთიერთობაზე ქართველ კლასიკოსებთან.

კომპანია „ბენეფისის“ საქმიანობის ძირითადი მიმართულება, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ბეჭდური გამოცემების გრაფიკულ გაფორმებას უკავშირდება. ბევრი საინტერესო ნივთი შეიქმნა და გამოიცა. ცოტა ხნის წინ განხორციელებული პროექტებიდან დავასახელებდი პეტრე ოცხელის შემოქმედების ამსახველ სრულ და საინტერესო გამოცემას (ეს პროექტი კულტურის სამინისტროს დაფინანსებით განხორციელდა), ასევე, ორ მნიშვნელოვან ნივთს დავით გარეჯზე (ორივე გამოცემა გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრმა მოამზადა). ამას გარდა, გრაფიკულად გაფორმებულ ნივთს, რომელიც სოლიკო ვირსალაძის შემოქმედებას მიეძღვნა. საინტერესო იყო საქართველოს საპატრიარქოს პროექტი — საქართველოს პატრიარქის ილია II-ს ცხოვრების ფოტომასალით ილუსტრირება („მზიანი ღამე“). გამოვეცით ეთნოგრაფიულ-არქიტექტურული ნივთი რაჭაზე, ლანა ლოლობერიძის ავტობიოგრაფია, ვიმუშავეთ ისტორიული მიმართულების არაერთი გამოცემაზე... დღესდღეობით კაფე „ქიმირონთან“ დაკავშირებული ნივთის დიზაინზე ვმუშაობთ, რომელიც რუსთაველის თეატრისთვის მზადდება. მასში ძალიან საინტერესო მასალებია წარმოდგენილი. პროექტი ერთგვარად ლიტერატურას უკავშირდება, რადგან, მოგეხსენებათ, გასული საუკუნის პირველ ნახევარში, კაფე „ქიმირონი“ იყო ის ადგილი, სადაც თავს იყრიდა მაშინდელი რჩეული საზოგადოება — მწერლები, პოეტები... თუ არ ვცდები, „ქიმირონზე“ ნივთი პირველად გამოიცემა... სამწუხაროდ, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების დიზაინზე დიდი ხანია არ გვიმუშავია, მათ შორის არც ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებები გადაგვიტანია გრაფიკულ „ენაზე“. იმიტომ კი არა, რომ ამის სურვილი არ გვქონდა, უბრალოდ ასეთი შეკვეთები არ მივიღია.

რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას კლასიკურ ქართულ მწერლობასთან, საბედნიეროდ, ოჯახში, სადაც ვიზრდებოდი, ნივთთან ადეკვატური დამოკიდე-



პეტრე ოცხელის ალბომის გარეკანი

ბაჩა მალაზონია:

„რაც უნდა იცოდო, ყველაფერს ვერ ნაიკითხავ“



90-იანი წლების დასაწყისში, როცა საქართველოში სრული ქაოსი იყო, ცნობილ მხატვარ ნოდარ მალაზონიას, რომელიც უკვე სამოცი წელია გრაფიკაში მუშაობს, საქართველოს ეროვნული ბანკიდან დაუკავშირდნენ და ეროვნული ვალუტის — ქართული ლარის - დიზაინის შექმნა შესთავაზეს. იმ დროისთვის საქართველოში არ მოიძებნებოდა ადამიანი, რომელსაც ამ საქმეში გამოცდილება ექნებოდა. ბატონმა ნოდარმა პროექტის განხორციელებაზე ფიქრი თავის ვაჟთან, მხატვარ ბაჩა მალაზონიასთან ერთად დაიწყო. შეიქმნა კომისიაც, რომელმაც საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები — ისტორიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები — გააერთიანა. კომპანია „ბენეფისის“ ოფისში (კომპანია ბატონმა ნოდარმა ოცი წლის წინ დააარსა) კომისიის მსჯელობისა და კამათის შედეგად თანდათან იკვეთებოდა მომავალი ქართული ფულის შინაარსი და ფორმები. ნოდარ და ბაჩა მალაზონიებმა ლარის დიზაინზე დაახლოებით ერთი წლის მანძილზე იმუშავეს და შინაარსობრივად მეტყველი, ვიზუალურად შთამბეჭდავი კუპიურები შექმნეს.

ოთხი წლის წინ უმცროსმა მალაზონიამ ეროვნული ბანკის მიერ ორასლარიანი კუპიურის დიზაინზე გამოცხადებულ საერთაშორისო კონკურსში მიიღო მონაწილეობა და ახალი ბანკნოტის სახე უკვე დამოუკიდებლად შექმნა. ამავდროულად, იგი ქართული პასპორტის ახალი დიზაინის ავტორიცაა.

თითქმის ორი ათეული წელია, ბატონი ბაჩა, ფირმა „ბენეფისთან“ ერთად, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან პროექტებზე მუშაობს. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება ბეჭდური გამოცემების გრაფიკული გაფორმებაა. სამუშაოს მიუხედავად, ნივთისთვის ის ყოველთვის იცლის. მკითხველიც ხომ ერთგვარი პროფესიაა... ნივთებზე სასაუბროდ ბატონ ბაჩას „ბენეფისის“ ოფისში ვენვით.

ბულება ჰქონდათ. დაახლოებით თოთხმეტი-თხუთმეტი წლიდან საკითხავი ლიტერატურის არჩევა საკუთარი გემოვნებით დაეიწყო. მიყვარდა ვაჟა ფშაველა, მიხეილ ჯავახიშვილი... მომწონდა ნოდარ დუმბაძე, გურამ დოჩინაშვილი. სხვათა შორის, რომ არა ოჯახი და იქიდან წამოსული ნივთთან დაკავშირებული იმპულსები, ვფიქრობ, რომ სკოლისა და საბჭოური სწავლების მაშინდელი მეთოდის „წყალობით“ — იძულებითი დაზეპირების წესები თუ ნაწარმოებების მთავარი გმირების სოციალისტურ ჩარჩოებში მოქცეული დახასიათებები — კითხვას ვერ შევიძლებდი, მაგრამ ლიტერატურისგან შორს დადგომის სურვილი ნამდვილად გამიჩინდებოდა... ამდენი წელი გავიდა და სულ მინდა რუსთაველი არა რადაცისთვის, არამედ ჩემთვის და წყნარად წავიკითხო.

ქართულ თანამედროვე ლიტერატურას თუ კითხვობთ?

ვერ გეტყვით, რომ დღევანდელ ქართულ მწერლობას კარგად ვიცნობ. ნამიკითხავს აკა მორჩილაძე, კოტე ჯანდიერი, ლაშა ბულაძე... ზოგიერთი სხვა მწერალიც, მაგრამ ღრმადმცოდნეობაზე პრეტენზიას ვერ განვაცხადებ. უფრო დასავლური ან იაპონური, თურქული ლიტერატურა მაინტერესებს — ის, რაც ბოლო ხანს ჩნდება მსოფლიოში ან რაც ჩემთვის დაგვიანებით აღმოვაჩინე.

სანამ უცხოელ ავტორებზე ვისაუბრებდით, ერთ-ერთი ქართული გამოცემლობის ხელმძღვანელის სიტყვები მინდა გავიხსენო. მან თქვა, რომ საქართველოში ცოტა მკითხველია და არც მწერალია ბევრი. ნივთის მიმართ მომხმარებლის ინტერესის ნაკლებობის მიზეზად რამდენიმე ფაქტორი დასახელა. თქვენ როგორ ფიქრობთ, რით არის განპირობებული ეს პრობლემა?

გეტყვით, უცხოურზე ნაკლებად რატომ მაინტერესებს თანამედროვე ქართული პროზა: ჩემთვის თანამედროვე ქართული ლიტერატურა არ არის ადეკვატური იმისა, რაც შეიძლება დღეს საქართველოში დაწერილიყო. თუკი იმ პრობლემებზე, რაც დღეს მსოფლიოში არსებობს, შემიძლია გავიგო მწერლებისგან, რომლებიც დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში მოღვაწეობენ და წერენ უფრო საინტერესოდ, უფრო ადეკვატურად, უფრო ხარისხიანად — მაშინ მათ ტექსტებს ნავიკითხავ. ავტორის წარმომავლობას არ აქვს მნიშვნელობა. გადახედეთ ბოლო წლებში საქართველოში მომხდარ ამბებს, რამდენი საინტერესო რამ მოხდა — იყო ბევრი ტკივილი, ემოცია, დრამატიზმი... მაგრამ ყოველივე ამან ლიტერატურაში ისე „ჩაიარა“, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყო. არსად ასახულა ის ტკივილი და განცდა იმ სახით, რომ ჩაფიქრებულიყავი. ვიმეორებ, რომ სპეციალისტად ვერ გამოვდგები, რადგან ამისთვის თანამედროვე ქართულ მწერლობაზე სრული წარმოდგენა უნდა მქონდეს, მაგრამ რამდენიმე მცდელობამ ჩემთვის უშედეგოდ ჩაიარა — ნავიკითხე და არ დამაინტერესა. შესაძლოა ვინმემ თქვას, რომ ეს წლები იმდენად დამთრგუნველი იყო მისთვის, რომ წერის სურვილი გაუქრა. არ ვიცი, იქნებ ასეც არის?! სხვა თაობა უნდა მოვიდეს, ალბათ. როგორც პავიჩი წერს — „ომნაგებული მა-



200 ლარიანი ბანკნოტის საშუაო ვერსია

მების“ შთამომავლობა უნდა გაიზარდოს, შორიდან რომ შეხედოს დღევანდელ სინამდვილეს. ასაკოვან ქართველ მწერლებზე, რომლებიც დღესაც მოღვაწეობენ, არაფერს ვამბობ, მათ მიმართ პრეტენზია არ მაქვს. ამ ადამიანებმა თავისი საინტერესო ნივთები გამოიარეს და თავისი სათქმელი თქვეს. ახლა ჩემი ასაკის, ან ათი წლით უმცროს თაობაზე ვსაუბრობ. არ ვიცი, შესაძლოა ნივთის გავრცელებისა თუ პოპულარიზაციის სისტემა არ არის რიგიანად აწყობილი, ან გარკვეული ფინანსური პრობლემები არსებობს და ამის გამო, მათი ნივთები ჩვენამდე ვერ აღწევს, მაგრამ რაზეც მიმიწვდა ხელი, იმან ჩემზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. მიუხედავად ამისა, იყო ახალი ფორმის, ახალი სალაპარაკო ენის პოვნის მცდელობა. რაც თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ძიებები უფრო გამოწკრიპის იყო, ვიდრე პროცესის განმსაზღვრელი ან წამმართველი ტენდენცია.

ასოლუტურად არ მაქვს წარმოდგენა თანამედროვე ქართულ პოეზიაზე, რადგან ის ლექსები, რომელსაც გაზეთების ფურცლებიდან ვკითხვობ, ძირითადად გაუგებარია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ კარგი პოეტები არ არსებობენ, შესაძლოა, მათ შესახებ უბრალოდ არაფერი ვიცი. ამიტომ პოეზიაზე შეგიძლიათ არც არაფერი მკითხოთ.

თანამედროვე ეპოქის პრობლემები, პირდაპირ თუ ირიბად, უცხოელ მწერლებსაც ხომ შეეხო, მაგრამ ზოგმა წარმატებით, ზოგიერთმა — ნაკლებად, შეძლო ხარისხიანი ლიტერატურა შექმნა...

ხშირად ვამბობთ, რომ ქართველები ნიჭიერი ერი ვართ. რაც თავისთავად, სასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ კონკრეტულ სიტუაციაში, როცა ეს ნიჭი უნდა გამოიყენებოდა, გაიხედავ და აღმოაჩენ, რომ თითქმის არცერთ სფეროში ხარისხიანი არაფერი იქმნება (გამონაკლისი ყოველთვის არსებობს). ყველგან დიდი დეფიციტია. ვფიქრობ, როცა ადამიანი საკუთარ უმოქმედობას პოლიტიკურ მოვლენებს აბრალებს, ეს მისი სისუსტის ნიშანია. გავარჯერებული ცენზურის პირობებშიც კი შეგიძლია წერო, გამოსცე, რადგან ლიტერატურის გავრცელების უამრავი ხერხი არსებობს, მითუმეტეს დღეს, როცა ადამიანები ინტერნეტის საშუალებით შედიან ლიტერატურის სამყაროში და ბეჭდურ გამოცემებს აღარც კი ეკარებიან. ამიტომ, იმის თქმა, რომ მე დავწერე, მაგრამ ვერ წავაკითხე, ვფიქრობ, თითქმის დამაინტერესებს. მთავარია სურვილი, ცოდნა, ადეკვატურობა. ეს უნდა გინდოდეს, ამისთვის უნდა არსებობდეს, ცხოვრობდე, არ ჩერდებოდე...

ელექტრონული ინტერნეტ-გამოცემები ახსენეთ. თქვენც იყენებთ ამ საშუალებებს?

არა, მე ნაბეჭდი ნივთის მოყვარული ვარ. ნივთის ხელში აღება, მისი გადაფურცლა, შემდეგ სანიშნის ჩადება და ასე შემდეგ — როგორც თხოვრათ, ერთგვარი ინდივიდუალური პროცესია. ნივთთან ურთიერთობას, კითხვას თავისი ტრადიცია აქვს.

იყო დრო, როცა ჩვენი თაობის ადამიანები უცხოელ მწერლებს რუსულენოვანი თარგმანების საშუალებით ეცნობოდნენ. მაშინ მიიჩნევდნენ, რომ ქართული თარგმანი რუსულს ხარისხით ჩამოუვარდებოდა. თქვენი აზრით, ახლა რა მდგომარეობაა? დასავლელი ავტორების ნივთებს რომელ ენაზე კითხულობთ?

შესაძლოა, ამას პრობლემა ვუნოდოთ, თუმცა მისი გადაჭრის გზებიც არსებობს. დღეს, როცა ნივთის მალაზონიაში შევდივარ, ვხედავ, რომ ქართულ ენაზე თარგმნილი ნივთების რაოდენობამ აშკარად იმატა. თარგმანების ხარისხზე ვერაფერს გეტყვით, რადგან, სამწუხაროდ, რუსულ ენაზე კითხვას ვარ ჩვეულები. თუმცა ვალაჩრებ, ორიგინალში კითხვა უმჯობესია. ხუთი წლის წინ ქართულ ენაზე თარგმნილი თანამედროვე ლიტერატურა იშვიათობა იყო, მაღაზიის დახლზე ორ-სამ ნივთს თუ ნაანწყობდი. ახლა რაღაც-რაღაცები გამოჩნდა და ეს ძალიან კარგია. თანაც, გამოცემების პოლიგრაფია მეტად დაიხვეწა, ნივთები ვიზუალურ-



ეროვნული პასპორტის გოგოლი

რად უფრო მიმზიდველი გახდა — საქმე ამ მხრივაც გაიმართა.

— ძირითადად რუსულ ენაზე თარგმანი ლიტერატურას კითხულობთ, თქვენი აზრით, რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ თარგმანი კარგი გამოვიდეს?

— ეს პროფესიონალ ლიტერატორს, მთარგმნელს უნდა ჰქონდეს.

— თარგმანის მიმართ გარკვეული მოთხოვნები მკითხველსაც ხომ აქვს? ის ამა თუ იმ ნიშნით არჩევს კარგი თარგმანია თუ — ცუდი...

— ასეა. ერთი ნაწარმოების რამდენიმე თარგმანი მინახავს და ისინი მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. მთარგმნელი მწერლის თანაავტორია. ეს ნდობის საკითხია. თუ კითხულობ და ტექსტმა „ნაავილა“, შენ ენდობი ავტორს და იჯერებ, რომ ესა და ეს წიგნი ფოლკლორის ან ცვაიგის დანერგულია, შედიხარ მწერლის სამყაროში, რომელიც შენამდე ასე კარგად მოიტანა მთარგმნელმა და რომელითაც არასოდეს ინტერესდები, მის გეგმას არ უყურებ. არ იცი, რამდენად სინდისიერად არის თარგმნილი ის ნაწარმოები, რომელიც მოგწონს, მაგრამ როცა კარგ თარგმანს კითხულობ, გგონია, რომ შენს წინ ორიგინალური ტექსტი დევს.

მხატვრული ლიტერატურის თარგმანს თავისი წესები აქვს. თუ ბევრი წიგნი არ ითარგმნა, არ გამოიცა, შედარების საშუალება არასოდეს გვექნება და ვერ განვსაზღვრავთ, როგორია მათი ხარისხი. ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე უცხოური ლიტერატურა, როგორც უნდა იყოს მისი ხარისხი, ქართულ ენაზე არსებობდეს და ადამიანებმა, რომლებმაც არც რუსული ენა იციან და იმის საშუალებაც არ აქვთ, რომ ნაწარმოებს ორიგინალის ენაზე გაეცნონ, ესა თუ ის წიგნი ქართულად წაიკითხონ.

— ბევრს იმდენად მოსწონს წიგნის კითხვის პროცესი, რომ მის მხატვრულ ღირებულებებს ნაკლებად აქცევს ყურადღებას. ისე, წიგნთან ურთიერთობა ძალიან პირადულია, გემოვნების ამბავია...

— ეს სურვილის დონეზე აგებული ძალიან ინდივიდუალური ურთიერთობაა. შეიძლება ადამიანი ერთხელ ან ორჯერ აიძულო წიგნი წაიკითხოს, მაგრამ კითხვას იძულებით ვერ შეაყვარებ. თითოეული ადამიანი ამ არჩევანს ინდივიდუალურად აკეთებს. ბავშვს შეიძლება ხმამაღლა უკითხო, მაგრამ გარკვეულ ასაკში, როცა ის დამოუკიდებელი ხდება, თვითონ საზღვრავს, რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის წიგნთან ურთიერთობა, გადაწყვეტილებას იღებს, როგორი ლიტერატურა აირჩიოს, რომელ ენაზე იკითხოს წიგნები. ყოველი მკითხველი კომფორტს თვითონვე იქმნის. ზოგი უცხო ენებს სწავლობს, სასურველი ავტორების წიგნები დედანში რომ წაიკითხოს. მაგრამ, თუ ადამიანს კითხვა არ სურს, მას წიგნისკენ ვერ გაახედებ.

ვამბობთ, რომ ბავშვები არ კითხულობენ. არის თუ არა ეს პრობლემა? ამ თემაზე ბევრი მიფიქრია-მეთქი, ვერ გეტყვით, მაგრამ ჩემი მოსაზრება მაქვს. ეს არ არის შემამფოთლებელი და დამანგრეველი რამ. ვფიქრობ, რომ ის, ვინც წიგნებს არ კითხულობს, გარკვეული სახის ინფორმაციას სამყაროს, გარემოს შესახებ ან იმაზე, რაც მის გარშემო ხდება, ალტერნატიული გზებით იღებს. გავიმეორებ, რომ თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, თავად განსაზღვროს, შეაბიჯოს თუ არა ლიტერატურის სივრცეში, მოხვდეს თუ არა კარგად მოთხრობილი საინტერესო ამბების სამყაროში. ეს მისი პირადი საქმეა, საკუთრივ ბავშვის გადასაწყვეტია. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ რაც რეალურ ცხოვრებაში ხდება, რასაც კინოსამყარო და თეატრი სთავაზობს, ან თუნდაც ქუჩის ამბები უფრო საინტერესოა, ვიდრე — წიგნის კითხვა. ბავშვის ერთმნიშვნელოვნად დასჯა იმის გამო, რომ ის არ კითხულობს, მართებულად არ მიმაჩნია. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი დაკარგული ადამიანები არიან. ისეთი მახინჯი ფორმების შესახებაც მსმენია, როცა მშობელი შეილს საყვედურობს — ვინმე წიგნების შესახებ რომ გკითხოს, შენ კი ვერ უპასუხო, შევრცხვები. არ არსებობს გარანტია, რომ ბავშვი, რომელიც კითხულობს, სხვაზე უკეთესი იქნება. ესეც, გარკვე-

ულწინადად, საკითხისადმი საბჭოური მიდგომაა. ლიტერატურის შეყვარების მაშინდელმა იძულებითმა მეთოდებმა ის მოიტანა, რომ ათიდან ცხრა ბავშვს სკოლის დამთავრების შემდეგ წიგნი ხელში არც აუღია...

— უფროსების შემფოთების მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ დღეს ახალგაზრდა თაობა ძირითადად ინფორმაციის მიღებით კმაყოფილდება. სამწუხაროდ, ინფორმაცია სხვაა და განათლება — სხვა.

— გეთანხმებით, აბსოლუტურად სხვადასხვა ველია.

— მაგრამ, როგორც თქვენ თქვით, ეს, ალბათ, კონკრეტული ადამიანების არჩევანზეა, მათ სურვილზეა...

— წიგნის კითხვას ხომ გარკვეულ დროს ახმარ? არ შეიძლება წიგნი ხუთ წუთს იკითხო, ამ პროცესს საათს მაინც ანდომებ. არიან უკიდურესად დაკავებული ადამიანები, რომლებსაც თავისუფალი 1 საათიც კი არ აქვთ, მაგრამ თუ სურვილია, შეუძლიათ ღამის ორ-სამ საათამდე იკითხონ. ისევე იქ მივდივართ, საიდანაც დავიწყეთ — კითხვა მხოლოდ პირადი სურვილით, ემოციით, წიგნისადმი დამოკიდებულებით არის განპირობებული.

— თქვენი შვილები ბევრს კითხულობენ?

— ჩვენთან ასეა: ერთი კითხულობს, მეორე — ნაკლებად, მესამე — იშვიათად. მცდელობაც გვქონდა გვერჩია მათთვის, რა წაეკითხათ. ერთმა გადაწყვიტა, რომ წიგნი მართლაც აინტერესებს, მეორეს უფრო გრაფიკა და ფოტოგრაფია იტაცებდა, ყველაზე პატარა კი მთლიანად ელექტრონულ-ციფრული სამყაროს შევიღია. მეც და ჩემი მეუღლეც მკითხველები ვართ, თუმცა მე შეიძლება რაღაცამ გამიტაცოს (ყურნალები, პერიოდიკა) და მხატვრული ლიტერატურას რამდენიმე დღე არც გავეკარო. ჩემი მეუღლე კი წიგნებს ბევრად მეტ დროს უთმობს — ყოველდღიურად რამდენიმე საათს კითხულობს. წლების მანძილზე ეს მისი ცხოვრების უცვლელი წესია და ჩამოყალიბებულ რიტუალად ექცა. ნებისმიერი ტიპის ლიტერატურას ეცნობა. ამის გამო ხშირად ვეზუმრები კიდევ-თუმცა, ოჯახში პირველად წაკითხვის რისკი ვიღაცამ ხომ უნდა გასწიოს?!

— წიგნის კითხვა მართლაც ცხოვრების წესად იქცევა ხოლმე...

— კარგი ლიტერატურა, ისევე როგორც ცუდი, ადამიანზე ყოველთვის ახდენს გავლენას. როცა ძალიან ადვილი საკითხავი



პლაკატი გაეროს დაკვეთით წიგნია და კითხვის დროს შეგიძლია სხვა რამეზეც იფიქრო, ეს ცოტათი გაშტერებს კიდევ, მაგრამ ამავდროულად წიგნი გჭირდება. ზოგჯერ ხვდები, რომ საინტერესო არც არის, მაგრამ მხოლოდ იმიტომ აგრძელებ, - კითხვას რომ ეს პროცესი გიყვარს. შესაძლოა, კარგი ლიტერატურა ყოველდღე არც ჩაგივარდეს ხელში. მართალია, ბევრი კარგი წიგნი არსებობს, მაგრამ ენობრივ ბარიერზე რომ არაფერი ვთქვათ, ყველაფერს მაინც ვერ წაიკითხავ...

მიყვარს წიგნის ხელში აღება. ადრე, სავარძელში ჯდომა და ასე კითხვა მომწონდა, ბოლო ხანს „ლოგინის მკითხველი“ გახვდია.

— თუ სწორად მივხვდი, ყველაფერს არ კითხულობთ...

— არა. ვთქვით, შევიდვართ წიგნის მალაზიაში (ჰო, ესეც რიტუალის ნაწილია — წიგნების საყიდლად მეუღლესთან ერთად სიარული), ვინცებთ თვალთვლებს — ეს ნა-

კითხულია, ესეც, ისიც... რაიმე ახალი ჩამოვიდა? სამი ახალი გვარი გვხვდება თვალში. ვკითხულობთ ანოტაციას, რომ გავერკვეთ, მოთხრობილი ამბავი რამდენად საინტერესო შეიძლება იყოს ჩვენთვის. ვირჩევთ წიგნს, ვბრუნდებით შინ და ვინწყებთ კითხვას. სანამ ამის კითხვას დავასრულებდეთ, მალაზიაში რაიმე ახლის გამოჩენას ველოდებით. ისევე მივიღივართ, ვეძებთ, მოგვაქვს... ამ პროცესში, გარანტია იმისა, რომ შენ მიერ არჩეული ახალი ავტორის ტექსტი აუცილებლად კარგი იქნება, არ არსებობს. ამ შემთხვევაში, ასეთი თვისებაც მაქვს, შემოძლია გადავდო წიგნი, ჩემი მეუღლე კი ბოლომდე კითხულობს. მისთვის ეს პროცესია მნიშვნელოვანი და ამის გამო ბოლო წლებია ის გახდა ჩემი გზამკვლევი. მეუბნება ხოლმე, ეს ასეთი წიგნია, ის — ისეთი. ამიტომ წიგნების შერჩევის თვალსაზრისით გარკვეული მოვალეობები მას გადავავალბებ, ესეც ხომ ნდობის ამბავია?!

— სანამ უცნობი ავტორის კითხვას დაიწყებდით, საინტერესო ამბის მოლოდინი, ალბათ, წიგნთან ურთიერთობის კიდევ ერთი ნაწილია.

— დიახ, როცა შინ ახალი წიგნით ვბრუნდებით და ერთმანეთს ვუთმობთ — „დაიწყე“. „არა, შენ დაიწყე. დაგელოდები, მანამდე რაიმე უურნალს წავიკითხავ“... თან არ გინდა დათმობა, მოლოდინში ხარ...

ასევე საინტერესოა, როცა შენთვის უცნობი ავტორი აღმოჩნდება. მახსოვს, დაახლოებით ექვსი-შვიდი წლის წინ მოსკოვიდან ორჰან ფამუქი „ჩამოვიტანე“. მაშინ, მას აქ ნაკლებად იცნობდნენ. დავინწყე კითხვა... შემდეგ ეს წიგნი ჩემი სახლიდან ისე „გავიდა“, რომ ახლაც არ ვიცი, ვისთან არის. ძალიან ბევრი ცნობილი სახელი და გვარი „მოიარა“. მოგვიანებით, როცა ფამუქი ბევრმა გაიცნო, მათგან ვისთანაც ეს წიგნი მოხვდა, ამ მწერალთან პირველი „შეხვედრის“ ამბები მესმოდა. ეს ძალიან მსიამოვნებდა. თუ შენს გარშემო არ არის ხალხი, ვისაც შეგიძლია ამაზე ესუბრო, მაშინ თითქოს ყველაფერს აზრიც ეკარგება...

— შთაბეჭდილების გაზიარება, თითქოს კითხვის ერთგვარი გაგრძელება.

— დიახ, ესეც რიტუალის ნაწილია.

— უკვე აღნიშნეთ, რომ თანამედროვე უცხოური ლიტერატურის მკითხველი უფრო ხართ. ახლახან ცნობილი თურქი მწერალი ორჰან ფამუქი ახსენეთ...

— უპირველესად, სიამოვნებით ვიქნებოდი თანამედროვე ქართული ლიტერატურის მკითხველი. ასე რომ, უცხოური ლიტერატურის არჩევა თვითმზანი არ არის. კიდევ ერთხელ გავიმეორებ — ლიტერატურას, მხატვრულ ტექსტს დღეს საზღვარი აღარ აქვს და ჩემი ბრალი არ არის, თუ რუმდის ქაშირი, აკროიდის ლონდონი და ფამუქის სტამბული გაცილებით საინტერესო და ადვილად მკითხველი ვიდრე — ჩემი თაობის ქართული ლიტერატურა. სულ მწყდება გული და ველოდები, როდის შემხვდება ჩემი ენაზე ჩემთვის ნაცნობი დრო და ადგილები ასეთივე სავსე, დინამიური, მისტიური და, თუნდაც, საშიში.

შეგნებულად არ ვეხები წინა თაობის მწერლებს, რომლებმაც ჩამოაყალიბეს და გავლენა იქონიეს ჩემს ლიტერატურულ გემოვნებაზე. უკვე ჩამოთვლილი ავტორების გარდა ბევრი პოპულარული სახელია, მაგრამ ყველასთან ვერ პოულობ საერთოს, მაგალითად, კოელიო ვერასოდეს გახვდება ჩემი მწერალი, ვერც — მურაკაში.

ბოლო ხანს ლიტერატურისადმი დამოკიდებულება ცოტა შემეცვალა. გარკვეულ ასაკში ვამბობდი, ფანტასტიკური ჟანრის წიგნები და დეტექტივები არ მიტაცებდა-მეთქი. ახლა — პირიქით, კარგი ხარისხის ფანტასტიკაც მაინტერესებს,



რუსთაველის თეატრის ახალგაზრდული დასი, ლეონსი და ლენა

მისტიკაც და დეტექტიური ჟანრის ლიტერატურაც. ამ ჟანრის მიმართ ინტერესი გამიჩნდა. თუ სტილი შენარჩუნებულია, ტექსტი — გამართული და ხარისხიანი, სოციალური რეალობის ამსახველ ნაწარმოებებსაც ვკითხულობ.

— ახსენეთ მწერლები, რომლებიც „თქვენი ავტორები“ ვერასოდეს გახდებიან. როგორი უნდა იყოს ავტორი, რომ ის „თქვენი“ გახდეს?

— როცა რაღაცის დაგემოვნება გინდა, პირველივე კოვნიდან ხვდები როგორია. წიგნიც ასეა — დაახლოებით ათი გვერდის შემდეგ ვიცი, ეს ტექსტი ჩემთვის „გემრიელია“ თუ — არა. თუმცა შეიძლება, ერთის მხრივ, ეს იყოს მშრალი, გამოზომილი თხრობა, როგორც, მაგალითად, ისიგურ ნერს, მეორეს მხრივ კი, ფამუქის, ან სხვა მწერლების მსგავსად, აბსოლუტურად სხვაგვარი, მრავალფეროვანი სამყარო გადაიშალოს. მთავარია, რომ ისინი ამას ძალიან ხარისხიანად, მაგრად აკეთებენ. მარკესი მიყვარს. სიმძიმის მიუხედავად, ფოლკლორულ მიყვარს, რადგან ის ხარისხით, ლიტერატურის ცოდნით, გემოს ჩატანებით სწავს.

არიან მწერლები, რომლებიც, მართალია, დიდ ავტორებთან ვერ მივლენ, მაგრამ ძალიან საინტერესოდ და ოსტატურად განვდიან სათქმელს. თუნდაც - პერეს რევერტე. ის შთაბეჭდავ ისტორიებს მსუბუქად ყვება, გემოს ატანს და ეს შენზეც გადმოედის.

აუცილებელი არ არის, და ვერც შეიძლება, ყოველდღიურად ძალიან მაღალი დონის ლიტერატურა იკითხო. დამიჯერეთ, გონებას ზოგჯერ დასვენება სჭირდება. იცით, როგორ ვცნობ სერიოზულ ნაწარმოებს? როცა ვკითხულობ და სიტყვას ვერ ვტოვებ, არადა, სხვა შემთხვევაში შემიძლია რაღაც გამოვტოვო, რაღაცას გადავახტე. როცა საქმე სერიოზულ ლიტერატურასთან მაქვს, თითოეული სიტყვა სუნთქვასავითაა — აი, ჩაისუნთქა, ამოისუნთქა, შეანელა... თუ ამ რიტმიდან ამოვარდი, ტექსტთან კონტაქტს დაკარგავ.

კარგი წიგნები უღვია. რაც უნდა ეცადო, ყველაფერს ვერ წაიკითხავ, მაგრამ ყოველთვის შეგიძლია იპოვო შენი ლიტერატურა და მის გარშემო შენი სამყარო შექმნა. ლიტერატურას საზღვრები არ აქვს, ბარიერები მოშლილია. დღეს მკითხველს ყველაფერზე მიუხედავია ხელი. თუ სასურველი წიგნი ბიბლიოთეკაში არ აქვს და ვერც მალაზიაში მოძებნა, ინტერნეტის დახმარებით შეიძლება იპოვოს ის, რისი წაკითხვის სურვილიც მართლა კლავს...

— მდიდარი ბიბლიოთეკა გაქვთ?

— მდიდარი რას ჰქვია, არ ვიცი, მაგრამ გარკვეული რაოდენობის წიგნები არის... ყოველ შემთხვევაში, ერთ ადამიანს ერთ ლიტერატურულ ცხოვრებას გაატარებინებს.


ესაუბრა თამარ შურული



მარიო ვარგას ლიოსა

ორთაბრძოლა

ეს მოთხრობა 21 წლის ვარგას ლიოსამ 1957 წელს საგანგებოდ დაწერა ლიტერატურული კონკურსისთვის, რომელსაც პერუს საუკეთესო მოთხრობა უნდა გამოეყვინა. დაწერა და კონკურსშიც გაიმარჯვა, ჯილდო კი პარიზში ორკვირიანი მოგზაურობა იყო. მაშინ ლიოსას ყველაფერი წინააღმდეგობა და მსოფლიო დიდება, მაგრამ ამ პატარა მოთხრობაშიც, რომელმაც იმ დროისათვის ყველასათვის უცნობ ახალგაზრდა ჟურნალისტს პირველი აღიარება მოუტანა, უკვე მკაფიოდ გამოჩნდა დიდი პერუელის ოსტატობა და განუმეორებელი ხელწერა.



შაბატი დღეს, როგორც ყოველთვის, რიო-ბარში ვისხედით, როდესაც კარებში ლეონიდასი გამოჩნდა. ისეთი სახე ჰქონდა, რომ მაშინვე მივხვდით — რაღაც მოხდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ლეონმა. ლეონიდასმა ჩვენს მაგიდასთან მოაწოხა სკამი.

— ნყურვილით ვკვდები. ჭიქა ისე გააპილილა, რომ ქაფი მაგიდაზე გადმოვიდა. ლეონიდასმა ქაფს აუჩქარებლად შეუბერა სული და ერთ ხანს ბუმბუტულების სკდომას უცქირა. მერე ჭიქა ერთი მოყუდებით დაცალა.

— ამაღამ ხუსტო იჩხუბებს. — თქვა უცნაური ხმით.

რაღაც დროის მანძილზე ყველა ჩუმად ვიყავით. ლეონმა ლუდი მოყლუპა, ბრისენიომ სიგარეტს მოუკიდა.

— მთხოვა გამეფრთხილებინეთ, — დაამთავრა ლეონიდასმა — სურს, რომ თქვენ მოხვიდეთ.

ბოლოს ბრისენიომ იკითხა: — როგორ მოხდა ყველაფერი?

— ერთმანეთს დღეს კიტაკოსში შეხვდნენ, — ლეონიდასმა შუბლი მოინმინდა და ხელი დაიქნია. ხელიდან იატაკზე ოფლის ნვეთები დაიყარა — დანარჩენი თქვენ თვითონ ნარმოიდგინეთ...

— კარგი, — თქვა ლეონმა. — ადრე თუ გვიან მაინც იჩხუბებდნენ. ისევე სჯობია — წესების დაცვით. ხუსტომ იცის, რასაც აკეთებს.

— ჰო, — გაიმეორა ლეონიდასმა ისე, თითქოს ჩვენთან ერთად არ იყო — ალბათ, ასე სჯობია.

ბოთლები გამოიცალა. ძლიერი ქარი უბერავდა და მოედინიდან სამხედრო ორკესტრის ხმა ჩვენამდე აღარ აღწევდა. ხიდი ქალაქგარეთ სერიოზოდან დაბრუნებული ხალხით გაივსო. სანაპიროზე ჩრდილებს შეფარებული ნყვილები ნელ-ნელა ტოვებდნენ თავშესაფრებს. ბევრი მათგანი რიო-ბარში შემოდიოდა. მალე მთელი ტერასა ქალებითა და კაცებით გაივსო. ყველა ხმამაღლა ლაპარაკობდა და იციროდა.

— უკვე თითქმის ცხრაა, — შენიშნა ლეონმა. — დროა.

გარეთ გავედით. — კარგი, ბიჭებო, — გვითხრა ლეონიდასმა. — ლუდისთვის მადლობა.

— ეს ყველაფერი ტივთან მოხდება? — ჰკითხა ბრისენიომ.

— ჰო. თერთმეტის ნახევარზე ხუსტო აქ დაგელოდება.

მოხუცმა ხელი დაგვიქნია და კასტილიის პროსპექტს გაუყვა. ის გარეუბანში პლაჟის დასაწყისთან ცხოვრობდა. მისი ქოხი გუშაგავით ცალკე, განაპირას იდგა. თითქმის დაცარიელებულ მოედანზე გავედით. ტურისტული სასტუმროს გვერდით ვიღაც ბიჭები გაცხარებულნი კამათობდნენ. როცა ჩავუარეთ, მათ ჯგუფში სიმპათიური გოგონა შევნიშნეთ. გოგონა ილიმოდა.

— მოკლავს კოჭლი. — თქვა უცებ ბრისენიომ.

— გაჩუმდი. — შეეპასუხა ლეონი.

ერთმანეთს კუთხეში, ეკლესიასთან დავემორდით. სწრაფი ნაბიჯით სახლისკენ დავეიძარი. სახლში არავინ დამხვდა. კომბინიზონი და ორი სვიტრი ჩავიცვი. უკანა ჯიბეში ცხვირსახოცში გახვეული დანა ჩავიდე. გასვლისას კარებში ცოლს შევეჩხე.

— ისევე მიდიხარ?

— ჰო, ერთი საქმე მაქვს მოსაგვარებელი.

ხელში ჩემი მძინარე ვაჭი ეჭირა და უცებ მომეჩვენა, რომ ბავშვი მკვდარი იყო.

— დილით ადრე უნდა ადგი, — მითხრა

ცოლმა. — ხომ არ დაგავინყდა, რომ კვირაობითაც მუშაობ.

— ნუ ლელავ, — ვუთხარი მე. — სულ რამდენიმე წუთით გავდივარ.

რიო-ბარში დავბრუნდი და დახლს მივუჯექი. ლუდი და სენდვიჩი შევუკვეთე, მაგრამ ბოლომდე ვერ შევჭამე. მადა გამოქრა. ვიღაც მხარზე შემეხო — ბარის პატრონის ვაჭი, მოსე იყო.

— ორთაბრძოლის ამბავი მართალია?

— ჰო, ტივთან. მაგრამ ხმა არავისთან ამოიღო.

— შენი თქმა არ მჭირდება. ყველაფერი შენზე ადრე ვიცოდი. ხუსტო მეცოდება, მაგრამ განა თვითონ არ ეძებდა შემთხვევას! კოჭლს კი ეგეთ რამეებზე ხვდნენ არ სჭირდება, ეგ შენც იცი.

— ნაძირალაა ეგ შენი კოჭლი.

— ადრე მეგობრობდით... — დაიწყო მოსემ, მაგრამ დროზე გაჩუმდა.

ვიღაცამ ტერასიდან დაუძახა და ისიც გავიდა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გვერდით მეჯდა.

— გინდა მეც წამოგყვეთ? — მკითხა მან.

— არა, თვითონ გავარკვევთ. მადლობა.

— კარგი. თუ რამეში დაგჭირდით, შემატყობინებ. ხუსტო ხომ ჩემი მეგობარია არის. — და დაუკითხავად ჩემი კაბიდან მოყლუპა. — გუშინ საღამოს კოჭლი აქ იყო, თავისიანებთან ერთად. მარტო ხუსტოზე ლაპარაკობდა, ნაჭერ-ნაჭერ ავქნიო — იმუქრებოდა. გულში ვლოცულობდი, რომ ხუსტოს არ შემოეველო.

— კი სანახავია ხოლმე კოჭლი, როცა ცოფდება. სასაცილო სიფათი უხდება.

მოსეს გაეცინა: — ჰო, ეშმაკს ჰგავდა. ისედაც მახინჯია. დიდხანს რომ უყურო, გული აგერევა.

ლუდის სმა დავამთავრე და სანაპიროზე გავიარე, მაგრამ მალევე დავბრუნდი. კარებიდანვე შევამჩნიე ტერასაზე ჩამომჯდარი ხუსტო. სპორტული ფეხსაცმელი და გახუნებული სვიტრი ეცვა, საყელო მთელ ყელს ყურებამდე უფარავდა. ბნელი ქურის ფონზე მის პროფილს ვხედავდი. ბავშვს თუ ქალს ჰგავდა, ისეთი თხელი და ნატიფი სახე უჩანდა. ჩემი ნაბიჯები რომ გაიგონა, შემოტრიალდა და ის ლურჯი ლაქა დავინახე, ტუჩიდან შუბლამდე რომ უფარავდა სახის მეორე ნაწილს (ზოგი ამბობდა, ბავშვობაში ჩხუბში მიღებული დარტყმის კვალიაო, მაგრამ ლეონიდასი ირწმუნებოდა, რომ ხუსტო თხელი წყალდიდობის დღეს დაიბადა, ხოლო ლაქა მის სახეზე დარჩენილიყო იმ დიდი შიშის ნიშნად, რომელიც მისმა დედამ განიცადა საკუთარი კარის ზღურბლთან მომდგარი წყალი რომ ნახა).

— მოვედი, — თქვა მან. — სხვები სად არიან?

— მალე მოვლენ. ალბათ უკვე მოდიან. ხუსტომ თვალეებში შემომხედა, მომეჩვენა, რომ გაიღიმებდა, მაგრამ უცებ დასერიოზულდა და თავი შეატრიალა.

— რა მოხდა ამ საღამოს?

მხრები აიჩჩა და გაურკვეველი მოძრაობა გააკეთა.

— ერთმანეთს „ჩაძირულ ორთვალაში“ გადავეყარეთ. ყელის გასასველებლად შევედი და კოჭლსა და მისიანებს პირისპირ შევეჩხე. გესმის შენ? ჩვენი მღვდელი რომ არა, ყელს გამომჭრიდნენ. იმან გაგვაშველა.

— გგონია მაგარი ხარ, არა? — დაიყვირა კოჭლმა.

— შენზე მაგარი. — იყვირა ხუსტომ.

— დაწყნარდით, უგუნურებო! — იმეორებდა მღვდელი.

— ამაღამ ტივთან, თანახმა ხარ? — უყვირა კოჭლმა.

— ჰო — თქვა ხუსტომ.

სულ ეს იყო.

რიო-ბარში ხალხი თითქმის აღარ დარჩა. დახლთან კიდევ იჯდა რამდენიმე კაცი. ტერასაზე კი მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით.

— აი, მოვიტანე, ნახე. — ცხვირსახოცში გახვეული დანა გავუწოდე.

ხუსტომ დანა გახსნა და პირი გაუზომა. ზუსტად მისი ხელისგულის სიგრძე აღმოჩნდა — მაჯიდან თითის წვერებამდე. მერე ჯიბიდან თავისი დანა ამოიღო და დაატოლა.

— ერთი სიგრძისებია. ჩემსას დავიტოვებ.

ხუსტომ ლუდი შეუკვეთა. უხმოდ ვსვამდით და ვენეოდით.

— საათი არ მიკეთია, — თქვა ხუსტომ.

— ალბათ, უკვე თერთმეტია. დავიძრათ, გზაში შევხვდებით.

ბრისენიოს და ლეონს ხიდის შუაგულში შევხვდით. ხუსტოს ორივემ ხელი ჩამოართვა. ლეონმა თქვა:

— იმას შენ კომპოსტოსავით დაჩეხავ, ძმაო.

— წყალი არ გაუვა, — დაეთანხმა ბრისენიომ. — კოჭლი შენ ვერ შეგედრება.

ორივეს ისევე ეცვა, როგორც დღისით. თითქოს მოელაპარაკათ, რომ ხუსტოს თანდასწრებით აულელებლები და მხიარულებიც კი ყოფილიყვნენ.

— მოდით, აქედან ჩავიდეთ — გზას შევიმოკლებთ. — შემოგვთავაზა ლეონმა.

— არა, — უპასუხა ხუსტომ. — გვიჯობს მოეუაროთ. ეხლა ფეხის მოტეხვაა მაკლდა.

უცნაური იყო, რომ დაფრთხა. მდინარისკენ ხომ ყოველთვის ხიდის რკინის საბჯენებით ვეშვებოდით ხოლმე. პროსპექტზე კიდევ ერთი კვარტალი გავიარეთ, მერე მერე მარჯვნივ ჩავუხვიეთ და კარგა ხანს ჩუმად მივდიოდით. მერე, როდესაც ვინრო ბილიკით მდინარისკენ ვეშვებოდით, ბრისენიოს ფეხი დაუცდა და შეიგინა.

ფეხები ქვიშაში გვეფლობოდა, თითქოს ბამბის ზღვაში მივაბიჯებდით. ლეონმა ცას ახედა:

— ღრუბლიანია. ამაღამ მთვარისგან ვერაფერი ხეირი იქნება.

— მაშხალეებს დავანთებთ. — გაეპასუხა ხუსტომ.

— გაგიჟდი? გინდა რომ პოლიცია დაგვეცეს? — ჩავერიე მე.

— იქნებ მოგვარდეს ყველაფერი? — გაუბედავად ჩაილაპარაკა ბრისენიომ, — ხვალისთვის გადადებაც შეიძლება. უკუნეთში ხომ არ იბრძობლებო?

არავის მისთვის არ უპასუხია და ბრისენიომ გაჩუმდა.

— აი, ტივიც. — თქვა ლეონმა.

ოდესღაც, დანამდვილებით ვერავინ იტყოდა როდის, უზარმაზარი ხე პირდაპირ მდინარეში წაიქცა და კალაპოტის გარდი-გარდმო დანვა. სიგრძით მდინარის სამი მეოთხედი იქნებოდა და ისეთი მძიმე იყო, რომ წყალი ვერ ერეოდა და წელინადში მხოლოდ რამდენიმე მეტრით თუ გაათრევდა. წლიდან-წლამდე ტივი ასე ნელ-ნელა შორდებოდა ქალაქს და ისიც არავინ იცოდა, ვინ დაარქვა ამ ხეს ტივი, მაგრამ სხვანაირად უკვე არც არავინ მოიხსენიებდა.

— უკვე აქ არიან. — თქვა ლეონმა.

ტივამდე მიუსვლელად ლუთოდ მეტრში გავჩერდით. ღამის მკრთალ შუქზე ვერ ვარჩევდით მათ სახეებს, ვინც ჩვენ გველოდა და მხოლოდ სილუეტებს ვხედავდით. წარუმატებლად ვცდილობდი მათში კოჭლის ამოცნობას.

— მიდი, შენ დაელაპარაკე. — მითხრა ხუსტომ.

ხისკენ ნელა დავიძარი, ვცდილობდი სახეზე აღვლევდა არ დამცყობოდა.

— გაჩერდი! — დამიძახა ვიღაცამ. — ვინ მოდის?

— ხულიანი. — დაუფიქრებლად ვასუხად, — ხულიან უერტასი. დაბრმავდით თუ რა?

ჩემკენ პატარა ფიგურა დაიძრა. ვიცანი, კოჭლის ერთ-ერთი ცუმბუშა იყო.

— უკვე წასვლას ვაპირებდით. ვიფიქრეთ, ხუსტინო თავის გადასარჩენად კომისარიატში ხომ არ გაიქცა-თქო.

მისი სიტყვები უპასუხოდ დავტოვე.

— მე მამაკაცთან მსურს ლაპარაკი და არა ესეთ არარაობასთან.

— რა, ძალიან მამაცი ხარ, არა? — გაბზარული ხმით მკითხა ცუმბუშამ.

— ჩუმად! — თქვა კოჭლმა.

ახლა ყველანი მომიახლოვდნენ და კოჭლი პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა. მალა-ლი იყო, თავისიანებზე ბევრად მალალი. ბინდში მას კარგად ვერ ვარჩევდი და მისი მუქი, უწვერო, მუნუკებიანი სახის მხლოდ წარმოდგენა შეემძლო. ერთი ბენო, ღრმად ჩამჯდარი თვალეები — მთელ ამ ხორცის მასაში ჩამჯდარი ორი ნერტილი, გრძელი ყვრიმალეები და მის სამკუთხა, ხვლიკის ნიკაპს ზემოთ დონდლოდ დაკიდული თითის სიმსხო ტუჩები. სიარულის დროს ცალ ფეხს ითრევდა. ამბობდნენ, რომ ფეხზე ჯვრის ფორმის ნაიარევი ჰქონდა, თითქოს ოდესღაც ძილი მისთვის ღორს ეკბინა, მაგრამ ეს ნაიარევი საკუთარი თვალით არავის ენახა.

— ლეონიდასი რაღას მოგყავდათ? — ხრინინიანი ხმით მკითხა კოჭლმა.

— ლეონიდასი? ლეონიდასი ვინლა მოიყვანა?

კოჭლმა მოხუცზე მიმითითა. ის ჩვენგან რამდენიმე მეტრის მოშორებით იდგა. საკუთარი სახელი რომ გაიგონა, მოგვიახლოვდა.

— რა ხდება? — მძიმედ დაამტერდა კოჭლს, — მე არავის მოყვანას არ ვსაჭიროებ. ჩემი ფეხით მოვედი იმიტომ, რომ ეგრე მომინდა. თუკი ჩხუბისთვის საბაბს ეძებ, პიდაპირ თქვი.

კოჭლი დაყოვნდა, სანამ უპასუხებდა. ვიფიქრე, რომ მოხუცისთვის შეურაცხყოფის მიყენებას აპირებდა და ხელი შარვლის უკანა ჯიბეში ჩავაცურე.

— ნუ ჩაერევით ამ საქმეში, ძველო — ზრდილობიანად სთხოვა კოჭლმა, — თქვენთან ჩხუბი არ მინდა.

— ნუ იფიქრებ, რომ ეგეთი ბებერი ვარ — უპასუხა ლეონიდასმა, — ბევრი შენზე უკეთესი მყავს გაგორებულნი.

— კარგი, ძველო, მე მჯერა თქვენი, — კოჭლი მე მოიბრუნდა. — მზად ხართ?

— ჰო, შენებს უთხარი არ ჩაერიონ. თუ არადა მაგათი აჯობებს.

კოჭლმა გაიცინა.

— შენ მაინც ხომ იცი, ხულიან, რომ დამხმარეები არ მჭირდება. განსაკუთრებით დღეს. ასე რომ, დარდი არ გქონდეს.

კოჭლის უკან მდგომებიდანაც გაიცინა ვიღაცამ. კოჭლმა რაღაც გამოიმინოდა. მე ხელის გული შევუშვირე. მისი დანა გახსნილი იყო. პირზე მოკვიდე ხელი. ფხამ ოდნავ გამოიკანრა კანი და შევეკრთი. მეტალი ყინულის ნაჭრად მეჩვენა.

— ასანთი ხომ არ გექნებათ?

ლეონიდასმა ასანთს გაკრა და მანამდე ეჭირა ანთებული, სანამ ალმა თითი არ დასწვა. ასანთის სუსტ შუქზე დანა დავათვალიერე, სიგრძე-სიგანეზე გავზომე, ფხა და სიმძიმე შევულოვნე.

— ყველაფერი წესრიგშია.

— ჩუნგა, — ბრძანა კოჭლმა, — ამას გაჰყევი.

დავიძარი. ჩუნგა ჩემსა და ლეონიდასს შორის მოაბიჯებდა. ჩვენებს რომ მი-

ვუახლოვდი, ბრისენიო ენოდა და ყოველ მისი დარტყმული ნაფაზი წამით ანათებდა ჩვენთან სახეებს: ხუსტოს ცივი, ტუჩებ- მოკუმული სახე, სახე ლეონისა, რომელიც რალაცას, მგონი ბალახის ღეროს ლეჭავდა, და სახე თავად ბრისენისი — მას ოფლი ასხამდა.

— ვინ გთხოვთ მოსულიყავით? — უხეშად ჰკითხა ხუსტომ მოხუცს.

— არავის არ უთხოვია, — ხმას აუწია ლეონიდასმა, — მოვედი იმიტომ, რომ ასე მომიწია. ანგარიშებს თქვენ ხომ არ ჩაგაბარებთ.

ხუსტო აღარ შეპასუხებია. მე მას მოშორებით მდგარ ჩუნგაზე ვანიშნე. ხუსტომ თავისი დანა ამოიღო და ჩუნგასკენ ისროლა. ჩუნგას დანა ბრტყლად მოხვდა ფეხზე და მოულოდნელობისგან შეხტა.

— პატივას მე გთხოვთ, — ვთქვი და თან ხელი ბნელში ქვიშაზე მოვაფათურე, — დანა მე დამივარდა. აი, იხებთ.

— მალე ეგეთი ზრდილობიანი აღარ იქნები, — დამპირდა ჩუნგა.

მერე, ისევე, როგორც მე ცოტა ხნის წინათ, ასანთის შუქზე თითოთ ფხა გაუხინჯა დანას, სწრაფად დაგვიბრუნა და ტივისკენ გაემართა. რამდენიმე წუთს უხმოდ ვიდექით და თბილი ნიავის მოტანილ ბამბის მინდვრების სურნელს ვისუნთქავდით. ჩვენს უკან — მდინარის ორივე ნაპირზე — ღამის ქალაქი კიაფობდა. თითქმის სრულ სიჩუმეს მხოლოდ იშვიათად არღვევდა ძაღლის ყეფა ან ვირის ყროყინი.

ტივის მხრიდან ვიღაცა შეგვეხმინა.

— მზად ხართ?

— მზად ვართ.

ტივთან ბიჭები ამოდრავდნენ. შემდეგ ერთ-ერთი ფიგურა გამოეყო თავისიანებს და კოჭლობით იმ სივრცის შუაგულისკენ დაიძრა, ჩვენ ორ ჯგუფს რომ ჰყოფდა. დავინახე, კოჭლი ფეხით ნიადავს როგორ სინჯავდა, ამომებდა — სადმე ორმო ან ქვა ხომ არ იყო. თვალთ ხუსტო დავეძებნე. ლეონს და ბრისენის მისთვის მხრებზე დაეწყნოთ ხელები, რომლებიც ხუსტომ მეყსეულად, ერთი მოძრაობით მოიცილა. მე რომ გამისწორდა, გამიღიმა. ხელი ჩამოვართვი. უკვე ტივისკენ მიემართებოდა, როდესაც ლეონიდასი მივარდა და მხრებზე მოეხვია. მოხუცმა თავისი მოსასხამი გაუნწოდა. მე იქვე ვიდექი.

— წამითაც არ მიუახლოვდე, — მოხუცი ჩუმად ლაპარაკობდა. ხმა ოდნავ შესამჩნევად უთრობდა. — მხოლოდ შორიდან. იცეკვე მის გარშემო, სანამ არ დადლი. იცეკვლს და სახეს გაუფრთხილდი. ხელი მუდამ წინ განეული გქონდეს. მოხრილმა ფრთხილად იმოდრავე. თუ ფეხი აგიცდა, ნიხლები იქნე, სანამ არ მოგეშვება... ეხლა მიდით და კაცურად მოიქეცით...

ხუსტო თავდახრილი უსმენდა. მეგონა, მოხუცს გადაეხვეოდა, მაგრამ ერთი მკვეთრი მოძრაობა აკმარა: გამონვდილი მოსასხამი გამოგლიჯა და მარცხენა ხელზე დაიხვია. და ბოლოს დაიძრა თავანუელი და თავდაჯერებული მიაბიჯებდა ქვიშაზე. მის მარჯვენა ხელში ფოლადის მკრთალ ნათებას ვხედავდით. კოჭლისგან ორ მეტრში გაჩერდა ხუსტო.

რამდენიმე წამი უძრავად და მდუმარედ იდგნენ ერთმანეთის პირისპირ და ალბათ მხოლოდ თვალებით თუ ეუბნებოდნენ, რაოდენ სძულდათ ერთმანეთი. ისინი ერთმანეთს ათვალეერებენ, ტანსაცმლის ქვეშ ყოველი კუნთი დაჭიმულა, დანების ტარებს სიძულვილით ბლუჯავენ ხელები. თბილი ღამის სიბნელით სანახევროდ დაფარული შორიდან საბრძოლველად გამზადებულ ორ ადამიანს კი არა, რალაც შავი ფოლადისგან ჩამოსხმულ ორ ქანდაკებას ვამსგავსე, ან მდინარის პირას ამოსული ორი ახალგაზრდა ტანადი ხის ჩრდილს... მაგრამ ხეების ჩრდილები ქვიშაზე იყო გართხმული, მათი კი — ჰაერში იყო გამოკიდებული. თითქმის ერთდროულად ამოდრავდნენ, თითქოს ვიღაცის ბრძანებას დაემორჩილებოდნენ. და მაინც, პირველი ხუსტო იყო. მისმა სხეულმა, მუხლებიდან მხრებამდე, წამით ადრე დაიწყო მოძრაობა, ოდნავი რხევა. ადგილის-

მოუცვლელად შეირხა კოჭლიც, თითქოს ხუსტოს მოძრაობებს იმეორებდა. ისინი ერთნაირ პოზებში იდგნენ. წინ გაშვებული, მაჯაში ოდნავ მოხრილი მარჯვენა ხელი, დანის წვერი მონინალმდეგისკენა მიმართული, მოსასხამისგან უზარმაზარი, უფორმო მარცხენა ფარითაა ამართული თითქმის სახის სიმალეზე. ჯერ მხოლოდ ტანი მოძრაობს, ფეხები და ხელები უძრავად რჩება. მერე მთელი სხეული იწყებს მოხრას, ზურგი იჭიმება, ფეხები იკეცება, როგორც წყალში ნახტომის წინ. პირველმა კოჭლმა შეუტია, მან მოულოდნელად ისკუპა და მისმა ხელმა ჰაერში წრე მოხაზა. დანას, რომელიც შეეხო, მაგრამ ვერ დასჭრა ხუსტო, ჯერ დამთავრებული არ ჰქონდა სიცარიელეში თავისი რკალი, როდესაც ხუსტო დაიძრა. ის არ ეხსნებოდა კოჭლს და მის გარშემო რკალზე მოძრაობდა, თითქოს მსუბუქად მიცურავდა ქვიშაზე და თან ნაბიჯების რიტმს აჩქარებდა. კოჭლი ერთ ადგილას დაბზრიალდა. კიდევ უფრო მოიხარა და მთელი სხეულით მონინალმდეგის მხარეს ტრიალდებოდა, თვალს არ აცილებდა, თითქოს ჰიპნოზის ქვეშ ჰყავდა. ეს ცეკვა მოულოდნელად შეწყდა და ყველამ ვიხილეთ, მთელი სხეულით როგორ დაატყდა ხუსტო კოჭლს და წამსვე, თითქოს ზამბარიანი თოჯინა ყოფილიყო, ძველ მდგომარეობას დაუბრუნდა.

— აი, ეგრე, — ჩაიჩურჩულა ბრისენომ, — გაკანრა.

— მხოლოდ მხარში, — ჩაიბურღლუნა ლეონიდასმა, — და ისიც მსუბუქად.

კოჭლს არ დაუყვირია, არაფერი შეცვლილა მის მოძრაობებში, ის თავის ცეკვას განაგრძობდა. ხუსტო კი ეხლა უბრალოდ წრეზე აღარ დადიოდა, უახლოვდებოდა კოჭლს, ეხსნებოდა, საკუთარ სხეულს სთავაზობდა და მერე უკან ხტებოდა, მოქნილი და სწრაფი გამოცდილი საყვარლის მსგავსად ის ხან აცხარებდა, ხანაც აგრილებდა მონინალმდეგის ვენებს. მას კოჭლის დაცეკვა ენადა, მაგრამ კოჭლი მომთმენი იყო და გამოცდილიც. ისევე ისე მოკუნტულმა უკან დახევა დაიწყო, წრე განყდა, ხუსტოს თავისი ცეკვის შეწყვეტა და მონინალმდეგის მიყოლა მოუწია. ხუსტო მოკლე ნაბიჯებით მიიწედა წინ, სახეს მარცხენა ხელზე ჩამოკიდებული მოსასხამით იცავდა. კოჭლი უკან იხევდა და მოხრილ ფეხებს ისე მიითრევდა, რომ მუხლებით თითქმის მიწას ეხებოდა. ხუსტომ ორჯერ გაისროლა წინ ხელი, მაგრამ ორივეჯერ მხოლოდ სიცარიელეს მიაგნო. „წუ მიღიხარ ძალიან ახლოს“, — ჩემ გვერდით ისე ხმადაბლა ჩაილაპარაკა ლეონიდასმა, რომ მისი გაგონება მხოლოდ მე შევეძელი და სწორედ ამ წამს მანამდე უფორმო, მატლივით დაპატარავებულმა ფიგურამ გაზრდა, თავის ჩვეული ზომების დაბრუნება დაიწყო და ჩვენი თვალთახედვიდან მთლად დაფარა ხუსტო. ერთსა თუ ორ წამს, შეიძლება სამსაც, სუნთქვადივწყებულები ვუცქერდით ერთ მთლიანობად. ქვეული ორი მოსისხლე მტრის საშინელ ჩახუტებას. ჩვენამდე მოაღწია უცნაურმა ხმამ, რომელიც ყველაზე მეტად ბოყინს ჰგავდა. ეს იყო პირველი, რაც ორთაბრძოლის დანყების შემდეგ გავიგონეთ. კიდევ წამი და ამ ერთიან, გიგანტურ ჩრდილს სხვა, უფრო თხელი და ტანადი ჩრდილი გამოეყო. ორი ნაბიჯი უკან და მონინალმდეგეებს შორის ისევ აღიმართა უხილავი კედელი. ახლა უკვე კოჭლმა წამოიწყო თავისი ცეკვა. ნაბიჯს მარჯვენა ფეხით აკეთებდა და მერე მარცხენასაც მიაჩრებდა. მხედველობა დავაძაბე, რათა ღამის წყვილადმი ხუსტოს სხეული გამოემერჩია და მივხვდარიყავი, თუ რა მოხდა იმ სამი წამის მანძილზე, სანამ ხუსტო და კოჭლი საყვარლებით იყვნენ ჩახუტებულები და ერთ მთლიანს წარმოადგენდნენ.

„გაიწიე, — ჩუმიად ჩაილაპარაკა ლეონიდასმა — რა ჯანდაბად დგახარ ასე ახლოს?“ და ზუსტად ამ წამს, თითქოს მოხუცის სიტყვებში მსუბუქმა ნიავმა მიუტანაო, ხუსტომ კოჭლის მსგავსად ნახტომების კეთება დაიწყო. ცბიერები, გაფაციცებულები, გაბოროტებულები ეღვისებური

სისწრაფით გადადიოდნენ თავდაცვიდან თავდასხმაზე და ვერც ერთი ვერ ახერხებდა მონინალმდეგის გამოჭერას. მაშინ როცა ერთი წინ აგებდა ხელს, თითქოს ქვას ტყორცნიდა და ამას მონინალმდეგის მინვდენის იმედით კი არა, მის მოსატყუებლად, მის წონასწორობიდან გამოსაყვანად, მის დაცვაში ბზარის მოსახაზად აკეთებდა, მეორე მაშინვე პასუხობდა მარცხენა ხელის ავტომატური მოძრაობით. სახეებს ვერ ვარჩევდი, მაგრამ თვალის დახვებზე და ორივე იმაზე უკეთ დავინახე, ვიდრე მათ გვერდით რომ ვმდგარიყავი: კოჭლი გახვითქულია, პირი ღია აქვს, ნახევრადმოჭუტულ ქუთუთოებს მიღმა ანთებული ღორის პატარა თვალები, სახეზე ოდნავ უთამაშებს კანი, ცხვი-



რის ნესტოები და მის ქვეშ ჩამოკიდებული უზარმაზარი ტუჩები უთრთის. ხუსტოს კი სახეზე ზიზღი აწერია და ეს მისთვის ჩვეული ყველაფრისადმი ზიზღი, ახლა რისხვას კიდევ უფრო თვალშისაცემი გაუხვია, ტუჩები დაძაბულობის და დადლილობისგან გაფითრებია. სწორედ რომ დროულად გავახილე თვალები, რათა ხუსტოს ბრმა, უგონო შეტევა მეხილა. ის კოჭლს მოულოდნელად დაესხა და თავისი არალოგიკური სულისკვეთებით ყველა უპირატესობა დაუთმო, მთლიანად გაეხსნა. ბრაზითა და მოუთმენლობით მიწას მონყევითი, რალაც უცნაურად გამოეკიდა ჰაერში და მერე მსხვერპლს დააცხრა. მრისხანების ეს უეცარი აფეთქება კოჭლისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ის წამით გაჩერდა გაოგნებული და მხოლოდ ამის მერე მოიხარა, ხელი ისარივით გატყორცნა წინ და ტანით დაფარა ჰაერში გაეღვებული ფოლადი, რომლის მოძრაობასაც მონუსხულები ვუცქერდით და მივხვდით, რომ ხუსტოს შემოიღო თავდასხმას ფუჭად არ ჩაუვლია.

ჩვენს გარშემო ჩამონოლილი თბილი ღამე დაბალი, საშინელი ხრილით აივსო. ეს ხმა ჩვენამდე ხანძრის ნაპერწკალივით აღწევდა. ჩვენ არ ვიცოდით და ველარასოდეს გავიგებთ, თუ რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს ჩაკრუნჩხული, განწირული ჩახუტება. ვერ ვხვდებოდით, ვისი ხელი აყენებდა დარტყმებს და ვისი ხორხიდან ამოდიოდა ეს ექოსავით მრავალჯერ განმეორებული ხრილი. ხან შავი ცის ფონზე, ხანაც უფრო დაბლა გაეღვებულ დანის პირებს ვხედავდით. ისინი ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ, წყვილადმი ინთქმებოდნენ მოჯადოებულებივით.

ჩვენ კი იქ ვიდექით, მოუთმენელნი, მომლოდინენი, სუნთქვაშეკრულები, თვალებანთებულები და, ალბათ, აზრდაკარგულ სიტყვებსაც ვუბუტუბუტებდით, სანამ ჩვენი თვალთახედვის მიღმა დარჩენილმა დანის დარტყმამ ორი მტრისგან აგებული პირამიდა არ დაშალა. ერთმანეთს ისინი ერთდროულად, ერთნაირი მონდომებით მოსწყდნენ, თითქოს ზურგებში მაგნიტები აუმუშავებდნენ. მძიმედ მსუნთქავდით ერთმანეთისგან ერთ მეტრში გაჩერდნენ. „უნდა გავაშველოთ, — ჩაილაპარაკა ლეონმა, — საკმარისია.“ მაგრამ სანამ მათკენ ნაბიჯს

გადავდგამდით, კოჭლი მეტეორივით მოსწყდა ადგილს. ხუსტოს მისი შეტევისთვის თავი არ აურიდებია და ორივე ქვიშაზე გაგორდა. ერთმანეთს ჩახუტებულები გორავდნენ და ღამის ჰაერს მათი დანის დარტყმები და ამოხრიალებები სერავდა. ძალიან სწრაფად დანყარდნენ, ქვიშაზე გაიჭიმნენ — თითქოს დაიძინესო. უკვე მათკენ გასაქცევად ვიყავი მზად, როცა ერთ-ერთი სწრაფად წამოიშრია და დამარცხებულ სხეულს მთვრალივით მოტორტმანე წამოადაგა გამარჯვებული. ეს კოჭლი იყო.

ორთაბრძოლის დროს ორივემ დაკარგა მოსასხამი, რომლებიც ახლა ქვიშაზე ეყარა. „წავედით“ — თქვა ლეონმა, მაგრამ ისევე ადგილზე დარჩენა მოგვიხდა. დიდი გაჭირვებით ხუსტომ წამოდგომა დაიწყო. სხეულის მთელი სიმძიმით მარჯვენა ხელს ეყრდნობოდა, ხოლო მარცხენათი თავს იფარავდა, თითქოს საშინელი ხილვის განდევნა უნდაო. როდესაც როგორც იქნა წამოდგა, კოჭლმა რამდენიმე ნაბიჯით დაიხია უკან. ხუსტო ქანაობდა, სახიდან ხელებს არ იშორებდა. ჩვენ გავიგონეთ კარგად ნაცნობი ხმა, რომელიც ძალიან შეცვლილი მეჩვენა.

— ხულიან, — დამიყვირა კოჭლმა, — უთხარი დამნებდეს.

მე ლეონიდასისკენ მივტრიალდი, მაგრამ ლეონის საშინელ, გაფითრებულ სახეს გადავანყადი. ის განახლებულ ბრძოლას უცქერდა. ორი სხეული ისევე შეერწყა ერთმანეთს. კოჭლის სიტყვებმა მხოლოდ გააშმაგა ხუსტო. იმ ერთ წამს, როდესაც ბრძოლას თვალის მოწყვეტივით, მან სახიდან ხელი მოიცილა და მტერს ეცა. უკანასკნელ ძალებს ტკივილისგან და დამარცხების სიმწარისგან იკრებდა. კოჭლმა იოლად მოიგერია ეს უაზრო, წინასწარ განწირული თავდასხმა და ისევე უკან გახტა.

— დონ ლეონიდას! — მის სიტყვებში მძინვარებაც იყო და მუდარაც — უთხარით დამნებდეს!

— გაჩუმდი და იბრძოლე, — ჩაიღრინა პასუხად ლეონიდასმა.

ხუსტო ისევე უტეგავა, მაგრამ ყველას, სხვებზე მეტად კი, ალბათ, ბებერ ლეონიდასს, რომელსაც ძალიან ბევრი ბრძოლა ჰქონდა ნანახი, გვეცემოდა, რომ ეს უაზრობა იყო, რომ ხუსტოს მარჯვენაში დარჩენილი ძალა კოჭლის გასაკანრდაც კი აღარ კმაროდა. სადღაც, ჩვენს შიგნით შობილი, ნელ-ნელა ზევით ამოსული, ხახის დამშრობი, თვალის დამბნელებელი სევდით ვუცქერდით მათ შენელებული კადრის მსგავს მოძრაობებს იქამდე, სანამ ერთიანი სილუეტი კიდევ ერთხელ, ამჯერად საბოლოოდ არ დაიშალა და ორი სხეულიდან ერთ-ერთი ხმაურით არ დაენარცხა ქვიშას.

როდესაც ხუსტოსთან მივირბინეთ, კოჭლი უკვე თავისიანებთან იყო. ყველა ერთად, უხმოდ ეცლებოდნენ იქაურობას. სახით ხუსტოს მკერდს მივხვებუნი, ჩემი მხარი და კისერი რალაც თბილსა და სველში ჩაეფლო. დაფლეთილი ტანისამოსის მიღმა მის მუცელსა და ზურგს ვხვებოდით და ჩემი ხელი დაღუპული გემის ნამსხვრევებივით სუსტსა და სველ მის სხეულში იძირებოდა. ბრისენომ და ლეონმა პიჯაკები გაიძრეს და სხეულს შემოახვიეს. ქვიშიდან ლეონიდასის მოსასხამი ავიღე და ხუსტოს სახეზე გადავავარე ხელის ფათურით, ისე რომ მისთვის არ შემიხვდავს. სხეულს გარს შემოვხვებოდა, თითქოს უკვე კუბოსთან ვიდექით. მერე ავნიეთ და მხრებზე გავიდეთ. ცვდილობდით ნაბიჯი აგვენყო, მდინარიდან ქალაქისკენ მიმავალ ბილიკს დავადექით.

— ნუ ტირი, ძველო, — თქვა ლეონმა, — თქვენი ვაჟი ყველაზე მამაცი ადამიანია მათ შორის, ვისაც ოდესმე ვიცნობდი. მართალს გეუბნებით.

ლეონიდასს არ უპასუხია. ჩემს უკან მოაბიჯებდა და მის სახეს ვერ ვხედავდი. როდესაც კასტილიის პროსპექტის პირველ სახლებს გავუსწორდით, ვკითხე:

— თქვენს სახლში წაიყვანათ სენიორ ლეონიდას?

— ჰო, — თქვა მოხუცმა ისე, თითქოს ჩემი სიტყვები არც გაუგონია.

### მურაკამის მორიგი პანსელარი



ჰარუკი მურაკამის ახალი წიგნი — ორტომეული „1-9-8-4“ — იაპონიის წიგნის მალაზიების დახლებზე 28 მაისს გამოჩნდა. უამრავი შეკვეთის გამო გაყიდვამდე გამომცემლობამ გადაწყვიტა, ტირაჟი გაეზარდა და ეს ოფიციალურადაც გამოაცხადა კიდევ.

პირველი ტომის საწყისი ტირაჟი 200 ათასი უნდა ყოფილიყო ხოლო მეორე ტომი — 180 ათასი ცალი. თუმცა ამ წიგნზე მოთხოვნის გამო ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ამიტომაც, გამომცემლობის გადაწყვეტილებით, თითოეულ ტომს გაყიდვამდე 3 დღით ადრე კიდევ 50 ათასი ეგზემპლარი დაემატა.

ორტომეულმა, რომელსაც მურაკამის თავყვანისმცემლები 7 წლის განმავლობაში ელოდნენ, რეკორდი დაამყარა იაპონიის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ინტერნეტ-მაღაზიაშიც „ამაზონ-იაპონია“. წიგნის შეკვეთების რიცხვმა 10 ათას ეგზემპლარს გადააჭარბა. ეს იყო ამ ინტერნეტ-მაღაზიის არსებობის ისტორიაში ყველაზე გრანდიოზული მოთხოვნა წიგნზე, რომელიც ჯერ არც გამოსულა.

ახალი წიგნი, რომლის იაპონური სახელწოდებაც „1-9-8-4“, ჯორჯ ორუელის „1984“ წლის ასოციაციას იწვევს. წიგნში აღწერილია ქალისა და მამაკაცის სიყვარულის ამბავი, რომლებიც ცხოვრობენ 1984 წლის ტოკიოში, სადაც რომელიღაც რელიგიური სექტა ადამიანის ფსიქიკაზე გავლენის მოხდენას ცდილობს.

ჰარუკი მურაკამის წიგნები მსოფლიოს 40 ენაზეა ნათარგმნი. 2009 წლის თებერვალში მწერალს იერუსალიმის ლიტერატურული პრემია გადაეცა.

### „Orange“ ამერიკელს ერგო

რომორც გაზეთი „გარდიანი“ იტყობინება, 2009 წელს ბრიტანეთის ლიტერატურული პრემიის — „Orange“ — ლაურეატი ამერიკელი მერილინ რობინსონი გახდა. მის რომანში „სახლი“, რომლითაც მწე-



რალმა ეს პრემია დაიმსახურა, 2004 წელს გამოსული მისივე წიგნის გმირების ისტორიების გაგრძელებაა მოთხრობილი.

თავის დროზე, ანუ 2004 წელს, რობინსონი „Orange“-ს შორთ-ლისტიკში კი არ მოხვდა და ამან მცირე სკანდალიც კი გამოიწვია, თუმცა, მერილინი თავისი წინა წიგნით პულიცერის პრემიის ლაურეატი გახდა. რობინსონის ლიტერატურული დებიუტი 1980 წელს შედგა, თუმცა რომანი „სახლი“ მისი მხოლოდ და მხოლოდ მესამე რომანია.

გამარჯვებულმა 30 ათასი ფუნტი-სტერლინგი დაიმსახურა. მასთან ერთად პრემიის მოსაპოვებლად იბრძოდნენ: ირლანდიელი დიდრი მედენი, პაკისტანელი კამილა შამსი, დებიუტანტი დიდი ბრიტანეთიდან სამანტა ჰარვი და ელენ ფელდმანი. სწორედ ამ უკანასკნელს მიიჩნევდნენ ლიტერატურათმცოდნეები ფავორიტად, თუმცა, როგორც ჟიურის წევრებმა განაცხადეს, რობინსონის შემთხვევაში, მათ გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღეს.

ბრიტანეთის ლიტერატურული პრემია „Orange“ 1996 წლიდან გაიქცა და მისი მფლობელები მხოლოდ ქალთა სექსის წარმომადგენლები არიან. გამარჯვებულთა შორის იყვნენ მწერლები — ზედი სმითი და როუზ თრემენი.

### ელის მანროს წარმატება

კანადელი მწერალი ელის მანრო 2009 წლის ბუკერის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი გახდა. პრემია ორ წელიწადში ერთხელ გადაეცემა იმ მწერალს, რომელიც ინგლისრად წერს ან მისი ნაწარმოებები ინტენსიურად ითარგმნება ინგლისურად. პრემიის ფულადი ნაწილი 103 ათასი დოლარია.

77 წლის ელის მანროს კალამს ეკუთვნის მოთხრობების კრებულები — „გოგონებისა და ქალების ცხოვრება“,



„ღირსეული ქალბატონის სიყვარული“ და „სიძულვილი, მეგობრობა, გატაცება, სიყვარული, ქორწინება“. მისი მოთხრობების ბოლო კრებული კი, სახელწოდებით „ზედმეტი ბედნიერება“, ამ წლის შემოდგომაზე იხილავს დღის სინათლეს.

„ელის მანრომ მცირე ზომის მოთხრობებით გაითქვა სახელი, — განაცხადეს ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა, — თუმცა მის თითოეულ ნაწარმოებში იმხელა სიღრმე, სიბრძნე და მართებული დაკვირვებანია, რამდენსაც ბევრი მწერალი მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე ეძებს. როცა ელის მანროს ნაწარმოებებს კითხულობ, ყოველ ჯერზე იგებ რაღაც ახალს, რაზეც უნინ ფიქრს კი არ მოგსვლია აზრად.“

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი 25 ივნისს დუბლინის ტრიტიტი-კოლეჯში გაიმართება.

### პოეტების არჩევანი სკანდალით დასრულდა



მრთი შეხედვით, ოქსფორდის უნივერსიტეტის პოეზიის საპატიო პროფესორობა არ არის ის ტიტული, რომლისთვისაც კომპრომატების მოძიება, ძველი მეტოქეების ცოდვების გახსენება და მონინალმდეგეთა საქვეყნო დამცირება ღირდეს. თუმცა, ცნობილი პოეტების კამპანია არანაკლებ ბინძური გამოდგა, ვიდრე ბრძოლა მერის, გუბერნატორისა თუ პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად.

ოქსფორდის უნივერსიტეტის პოეზიის საპატიო პროფესორს ხუთი წლით ირჩევენ. მის მოვალეობაში შედის ყოველწლიურად სამი საჯარო ლექციის წაკითხვა, წელიწადში ორჯერ ფილანტროპ ბარონ კრიუს საპატივსაცემოდ სიტყვის წარმოთქმა. ამას გარდა, პოეზიის პროფესორმა მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს ოქსფორდის უნივერსიტეტის ლიტერატურული შემოქმედების განვითარებაში. საპატიო პროფესორი წელიწადში ფორმალურ გასამრჯელოს იღებს 6900 ფუნტ-სტერლინგის (11 ათასი დოლარი) ოდენობით.

2009 წლის იანვარში ოქსფორდის უნივერსიტეტმა პოეზიის საპატიო პროფესორის ადგილისთვის პრედენტენტების შერჩევა დაიწყო. ეს ტრადიცია უკვე სამი საუკუნეა არსებობს და ამ ადგილს იკავებდნენ როგორც აღიარებული პოეტები, ისე — ისტორიკოსები, ლიტერატორები, ჟურნალისტები... ამ ტიტულს ატარებდნენ ნობელის პრემიის ლაურეატები, პულიცერისა თუ სხვა პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის მფლობელები. გასაოცარი მხოლოდ ის იყო, რომ 1708 წლიდან 2008 წლის ჩათვლით ოქსფორდის პოეზიის საპატიო პროფესორი ვერც ერთხელ გახდა ქალი.

ამჯერად ოქსფორდის კურსდამთავრებულთა (რომელთაც სამეცნიერო ხარისხი აქვთ) და უნივერსიტეტის პედაგოგთა გადამწყვეტილებითა და ხმათა უმრავლესობით გამარჯვებულად ჩარლზ დარვინის შვილთაშვილი, პოეტესა და ჟურნალისტი რუთ პეიდელი დაასახელეს. მან 297 ხმა მიიღო. პეიდელს მხოლოდ ერთი მონინალმდეგე ჰყავდა, ინდური წარმომავლობის ცნობილი პოეტი არვინდ მერპოთრა, რომელმაც მხოლოდ და მხოლოდ 129 ხმას მიუყარა თავი.

თუმცა მილოცვების კვალდაკვალ პრესაში ერთი უსიამოვნო ცნობა გამოქვეყნდა — თითქოს რუთ პეიდელს გაუჭირდებოდა გამარჯვება, მის მონინალმდეგედ ნობელის პრემიის ლაურეატი დერეკ უოლქოთი რომ დარჩენილიყო, რომელსაც, სხვათა შორის, ჰქონდა შანსი, ოქსფორდის პოეზიის პირველი შავკანიანი საპატიო პროფესორი გამხდარიყო.

კუნძულ სენტ-ლიუსიას მკვიდრი, რომელმაც ლიტერატურაში ნობელის პრემია 1992 წელს მოიპოვა, თავიდანვე სახელდებოდა საპატიო პროფესორის კანდიდატებს შორის. თუმცა, მიზნის მიღწევაში მისი ბიოგრაფიის შავმა ლაქებმა შეუშალა ხელი. გავრცელებული ხმების თანახმად, 1982 წელს უოლქოთმა ჰარვარდის სტუდენტ გოგონას შეურაცხმყოფელი წინადადებებით მიმართა და თითქოს მას შემდეგ, რაც უარი მიიღო, გოგონას სასწავლო კურსის ბოლოს სამიანი დაუნერა. სწორედ ეს ამბავი აღწერეს ბილი ზიმბა და ლინდა ვეინერმა თავიანთ წიგნში „ულირსი პროფესორი: სექსუალური ძალადობა კამპუსში“.

თავად უოლქოთს სტუდენტი გოგონას საჩივარზე დღემდე არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია. 1996 წელს ბოსტონის უნივერსიტეტის სტუდენტმა ნიკოლ ნიმმა უოლქოთის სახელზე საჩივარი შეიტანა. გოგონამ პროფესორი სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულა და კომპენსაციის

სახით ნახევარი მილიონი დოლარი მოითხოვა. თუმცა, საქმე სასამართლო პროცესამდე არ მისულა. ნიმომ და უოლქოთმა შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის დეტალებიც არ გახმაურებულა.

2009 წლის გაზაფხულზე ოქსფორდის პროფესორებმა ფოსტიტ ანონიმური კონვერტი მიიღეს — დერეკ უოლქოთის „დოსიე“. ავტორი მხოლოდ ზემოთნახსენები



ამბის მსგავს უსიამოვნო ისტორიებს იხსენებდა. დერეკ უოლქოთის მომხრეები ყველანაირად არნმუნებდნენ პოეტს, ყურადღება არ მიექცია ავტორული შავი პიარისთვის და ბრძოლა გაეგრძელებინა.

ამისდა მიუხედავად, დერეკ უოლქოთმა მოხსნა თავისი კანდიდატურა და განაცხადა, რომ ამ პოსტისთვის ბრძოლა უსიამოვნო პროცესად იქცა როგორც მისთვის, ისე მისი მომხრეებისთვის.

ანონიმური წერილების გავრცელებაში პეიდელს სდებდნენ ბრალს. რუთმა ყველა ბრალდება უარყო და განაცხადა, რომ ის ძალიან დიდ პატივს სცემს თავის კოლეგას და მის ლექსებზე კრიტიკული წერილებიც კი გამოაქვეყნა. თუმცა პეიდელის გამარჯვებიდან ერთი კვირის თავზე ჟურნალისტიკისთვის არჩევნების პერიოდში მიცემული კომენტარები გამოქვეყნდა. აღმოჩნდა, რომ პეიდელი არც ისე კეთილგანწყობილი იყო მეტოქისადმი. ქალბატონმა პეიდელიმ გაიხსენა, რომ უოლქოთის პრობლემები ჰქონდა სამართლდამცავ ორგანოებთან თავისი მაღალი ტემპერამენტის გამო, რომლის შესახებაც ურიგო არ იქნებოდა, სტუდენტებსაც სცოდნოდათ. აქვე გაიხსენა წიგნი „ულირსი პროფესორი...“ და ამ ყველაფრის მერე პროფესორის ასაკზეც გაამახვილა ყურადღება — უოლქოთი სულ ახლახან 79 წლისა შესრულდა. პეიდელის რამდენიმე მომხრემ ყველაფერი ეს დაადასტურა კიდევ.

ამის შემდეგ რუთ პეიდელს ერთი გამოსავალია დარჩა — უარი ეთქვა დაკავებულ პოსტზე. ასეც მოიქცა. თავი კი იმით იმართლა, რომ ყველაფერი გულუბრყვილობით და არა — სიბოროტით მოუვიდა.

მოკლედ, საპატიო პროფესორის არჩევნები არცთუ აკადემიური აღმოჩნდა. საბედნიეროდ, ოქსფორდში არსად ეჩქარებათ და პროფესორ-მასწავლებლებსა და სამეცნიერო ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებსაც აქვთ დრო, ახალი კანდიდატებიდან ღირსეული აირჩიონ.

### შეცდომის განმარტება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში (N2) გამოქვეყნებულ ლია სტურუას ლექსებში გაიპარა რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა, რის გამოც ბოდიშს ვუხდით ავტორსა და მკითხველს.

## ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, თამარ ყურული

ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com